

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ინგლისური ფილოლოგიის კათედრა

ფარზინ ღობადილადიკოლაეი

სემანტიკური ცვლილებების მექანიზმის პარამეტრები
ინგლისური, სპარსული და რუსული ენების ინდოევროპული
წარმოშობის საბაზისო ლექსიკაში

დისერტაცია წარდგენილია ფილოლოგიის დოქტორის (PhD) აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. მანანა რუსიეშვილი

თბილისი

2019

სარჩევი

შესავალი.....	5
თავი I საკვლევო პრობლემატიკის ზოგადი დახასიათება	10
1.1 ენა როგორც კომუნიკაციური სისტემა.....	10
1.2 ენობრივი მნიშვნელობა.....	12
1.3 ლექსიკური სემანტიკა და სემასიოლოგია.....	13
1.4 სიტყვა როგორც ენობრივი ელემენტი.....	15
1.5 ენობრივი ცვლილება და მისი მექანიზმები.....	21
1.6 კვლევის ენები: ინგლისური, სპარსული და რუსული როგორც ინდოევროპული ენები.....	23
1.6.1 ინდოევროპულ ენათა ოჯახი.....	23
1.6.2 ინდოევროპული ლექსიკონი.....	28
1.6.3 გერმანიკული ენები.....	31
1.6.4 ინგლისური ენა.....	33
1.6.5 ინდოირანული ენების ჯგუფი.....	39
1.6.6 სლავური ენების ქვეჯგუფი.....	45
თავი II ცვლილებების მიზეზები და მახასიათებლები.....	51
2. 1 ენობრივი ცვლილებების შიდა და გარე მახასიათებლები.....	51
2. 2 სემანტიკური ცვლილებების მექანიზმი.....	52
2. 3 სემანტიკური ცვლილების ტიპები.....	53
2. 4 ლექსიკური კავშირები.....	59
თავი III სემანტიკური ცვლილებების მექანიზმის პარამეტრები ინგლისური, სპარსული და რუსული ენების ინდოევროპული წარმოშობის საბაზისო ლექსიკაში	68
3. 1 ჩვენი კვლევის მიზანი, მნიშვნელობა, მასალა და მეთოდოლოგია.....	68
3. 2 კვლევის შედეგების ანალიზის თეორიული ჩარჩო.....	72
3. 3 კვლევის ემპირიული მასალის შეგროვების პროცედურა და მისი ობიექტურობა.....	74
3.4 ემპირიული მასალის ანალიზი	110

3.4. 1. კვლევის შედეგები ანალიზის მიკროდონეზე.....	111
3. 4. 2 ემპირიული მასალის სემანტიკურ სტრუქტურაში გამოვლენილი ცვლილებების განხილვა-ანალიზი.....	116
3. 4. 3 კორელაციისა და დამოუკიდებლობის სტატისტიკური ტესტი.....	120
3.4.4 სემანტიკური ცვლილებების მექანიზმების ენათაშორისი შედარება თემატური ჯგუფების მიხედვით.....	124
3.5. სემანტიკური ცვლილებების მახასიათებლების სიხშირის ზოგადი დახასიათება ინგლისური, სპარსული და ინგლისური ენების მასალაზე.....	131
3.6. ზოგადი სემანტიკური დინამიურობისა და უცვლელობის ენათაშორისი შედარება.....	136
3.7. კვლევის შედეგები და დასკვნები მაკროდონეზე.....	137
3.7. 1 სემანტიკური ცვლილებების კვლევის შემაჯამებელი კომენტარი.....	137
3.8 დასკვნები სემანტიკური ცვლილებების ბუნების თაობაზე.....	142
3. 9 რეკომენდაციები შემდეგომი კვლევებისათვის.....	147
გამოყენებული ლიტერატურის სია.....	148
დანართი 1	155
დანართი 2	156

წინამდებარე დისერტაცია წარმოადგენს ბაზისური, ინდოევროპული ძირის მქონე ინგლისური, სპარსული და რუსული ლექსიკის სემანტიკური ცვლილებების მექანიზმებისა და მიზეზების დიაქრონიულ შესწავლას. კვლევა, რომელიც კომპლექსური და, გარკვეულწილად, ინტერდისციპლინური ხასიათისაა, ეყრდნობა რამდენიმე დარგის, კერძოდ, ეტიმოლოგიის, ლექსიკოლოგიისა და სემასიოლოგია-სემანტიკის მეთოდოლოგიასა და აპარატს. მისი თეორიული ღირებულებაა ის, რომ იგი, სემასიოლოგიური აპარატისა და კონკრეტულ სიტყვა-ფორმის სემანტიკურ სტრუქტურაზე დაყრდნობით, იკვლევს ინდო-ევროპული წარმომავლობის 119 ინგლისური, სპარსული და რუსული საბაზისო ლექსიკური ერთეულის სემანტიკურ სტრუქტურას მათში სემანტიკური ძვრებისა და მნიშვნელობის ცვლის რაგვარობისა და მნიშვნელობის ევოლუციის თვალსაზრისით. დასახელებული მიზნის დროს გამოვლენილი პრაქტიკული მაჩვენებლების გარდა, კვლევა ასევე ითვალისწინებს სემანტიკური ცვლილებების გამომწვევი შიდალინგვისტური და ექსტრალინგვისტური მიზეზების გამოვლენასა და შესწავლას ისტორიული ლექსიკოლოგიის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. დისერტაციაში მიღებულია საინტერესო დასკვნები, ხოლო კვლევის მეთოდოლოგია შეიძლება გამოდგეს ექსტრალინგვისტური სამყაროს მოვლენების ანალიზისათვის.

The present research is a diachronic and interdisciplinary study of the mechanisms of the semantic change in 119 basic English, Persian and Russian words of Indo-European origin. Specifically, it has different facets, employs a number of approaches and incorporates various disciplines including etymological studies, lexicology and semasiology.

The primary objective of the research is the investigation and identification of the mechanisms of the semantic change and their frequency in the selected Indo-European vocabulary present in English, Persian and Russian vocabulary. This will facilitate reaching the second goal of the research that is the identification of regularities and tendencies of semantic changes in the given data. The third range of objectives of the research concerns the motivation and causes of the semantic changes (both internally or externally). One of the lateral objectives of the research is the comparison of the results in terms of the frequent mechanisms of the semantic change in each of the three languages.

Theoretically this research attempts to apply a Semasiological approach which uses word forms to arrive at their content to investigate and compare mechanisms of semantic change in English, Persian and Russian basic lexical items of the Indo-European origin. Due to the emphasis on practical results, there is an attempt to identify theoretical implications concerning applying such an approach for arriving at objective intralinguistic and extralinguistic results. The research provides interesting conclusions and suggestions for the further research.

შესავალი

წინამდებარე კვლევა დიაქრონული ხასიათისაა და მიზნად ისახავს შეისწავლოს სემანტიკური ცვლილების მექანიზმების ტიპი და ზოგადი მახასიათებლები 119 საერთო, ინდოევროპული წარმომავლობის ინგლისური, ირანული და რუსული ლექსიკური ერთეულის მაგალითზე. კვლევა რამდენიმე ნაწილისგან შედგება, საჭიროებისამებრ, ეყრდნობა რამდენიმე საკვლევ მეთოდს და მოიცავს ისეთ დისციპლინებს, როგორცაა ლექსიკოლოგია და სემასიოლოგია და, ასევე, ეტიმოლოგიურ-დიაქრონული კვლევა.

როგორც ცნობილია, თანამედროვე ლექსიკოლოგია, სხვა საკითხებთან ერთად, შეისწავლის სიტყვის სემანტიკური და მორფოლოგიური სტრუქტურისა და ფორმათწარმოების პრობლემებსა და მთავარ პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავენ და გულისხმობენ ენის ლექსიკონში შემავალი ერთეულების გარკვეული ნიშნით კლასიფიკაციას. ამასთან ერთად, ლექსიკოლოგია განიხილავს ენის ლექსიკური სისტემის შრეებს შორის არსებულ კავშირებს, კონკრეტულ კანონებსა და რეგულაციებს, რომლებიც განაპირობებენ ენისა და ლექსიკური სისტემის ევოლუციას თანამედროვე ეპოქაში. ასევე ცნობილია, რომ დიაქრონული კვლევების საშუალებით შეიძლება შევისწავლოთ სიტყვათა წარმოშობის ფესვები და მათი განვითარება, ცვლილებები, რომლებსაც ისინი განიცდიან სოციალურ-ისტორიული ევოლუციის დროს. უფრო მეტიც, კვლევისას დიაქრონული მეთოდის გამოყენების დროს უაღრესად მნიშვნელოვანია ენის ლექსიკისა და ლექსიკონის შესაძლებლობებისა და განვითარების ტენდენციის ღრმა ცოდნა, რათა ჩავწვდეთ სიტყვების სემანტიკურ სტრუქტურას და აღვიქვათ მათი თანამედროვე ფორმის სპეციფიკა. სიტყვის დიაქრონული ევოლუცია, მისი სემანტიკური სტრუქტურის ცვლილება და სინქრონული სახე, ზოგადად, სიტყვის დიაქრონული, თვისობრივი და რაოდენობრივი განვითარების მაჩვენებელია და მაინც, შეუძლებელია სიტყვის სემანტიკური ცვლილების ფენომენის სიღრმისეულად შესწავლა, თუ არ განვიხილავთ ამ კონკრეტული ცვლილების მიზეზებსა და ქრონოლოგიას. ეს ფაქტორი უმნიშვნელოვანესად მიგვაჩნია, რადგანაც ამგვარმა კვლევამ შეიძლება

ენის განვითარების გზისა და თავისებურებების სწორხაზოვან ინტერპრეტაციამდე მიგვიყვანოს.

სიტყვის სემანტიკური ასპექტი წარმოადგენს მის ყველაზე სწრაფად და ადვილად ცვალებად მხარეს, რომელიც დამოკიდებულია კონკრეტულ ენაზე მოსაუბრე საზოგადოების საქმიანობისა და ცხოვრების კონკრეტული სფეროების განვითარების სპეციფიკაზე.

ცნობილი ფაქტია, რომ ენის ლექსიკური სისტემა, მისი ლექსიკური მარაგი საკმაოდ მყარია, თუმცა არ გვევლინება სტატიკურ და ჩაკეტილ ფენომენად, არამედ მუდმივად იცვლება, ფართოვდება და ვითარდება სოციუმთან ერთად. ცვლილებები ენის ლექსიკოლოგიურ სისტემაში გამოწვეულია როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური ფაქტორებით, ხანდახან კი მათი კომბინაციით. ცხადია, რომ ენის ლექსიკოლოგიურ სისტემაზე მოქმედი ექსტრალინგვისტური ფაქტორები შეიძლება აიხსნას საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-კულტურული პროცესებით. ლექსიკური ერთეული, მისი გამოხატვის პლანის მორფოლოგიურ-სინტაქსური მომენტებისაგან განსხვავებით, მუდმივი ცვლილებისა და განვითარების პროცესშია, რაც პირდაპირ კავშირშია საზოგადოების სოციალურ ცხოვრებასთან და, შესაბამისად, იგი უმაღლვე რეაგირებს საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებზე.

მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად მრავალი ახალი სიტყვა იქმნება და ფიქსირდება ენაში. შესაბამისად, ლექსიკოგრაფის მიზანია, რომ მუდმივად შეისწავლოს კავშირი წმინდად ლინგვისტურ და სოციალურ ფაქტებს შორის, რომლებმაც, ზოგადად, წარმოქმნეს ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული კვლევის საჭიროება, რომელიც, თავის მხრივ, დაფუძნებული იქნებოდა ენასა და მისი მომხმარებელი ეთნოსის სოციალურ ცხოვრებას შორის მეცნიერულად ჩამოყალიბებულ კავშირებსა და კონტაქტებზე.

კვლევის სიახლე და მნიშვნელობა. წინამდებარე კვლევის მნიშვნელობა რამდენიმე თვალსაზრისით შეიძლება განისაზღვროს და წარმოჩინდეს. უპირველეს ყოვლისა, მისი მნიშვნელობა შეიძლება განვიხილოთ როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ჭრილში. დისერტაციაში განხორციელებული ზოგადი ენათაშორისი

შეპირისპირებითი კვლევა ეყრდნობა ემპირიული მასალისადმი სემასიოლოგიურ მიდგომას, რომელიც, როგორც ცნობილია, ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობის ამოსაცნობად იყენებს განსაზღვრულ სიტყვათა ფორმებს, არგებს მათ კვლევის მიზნებს და ერთმანეთს ადარებს ინდოევროპული ენების ოჯახის, მაგრამ განსხვავებული ქვეჯგუფის სამი ენის (ინგლისური, სპარსული და რუსული) საბაზისო ლექსიკის გარკვეული პლასტებს. მეორე მხრივ, კვლევის პრაქტიკულ მიზნებზე კონცენტრირების გამო, დისერტაციაში არის მცდელობა, დავადგინოთ ზოგადთეორიული მოდელი, რომელიც შეესაბამება ზემოთაღწერილ მიდგომას და მივიღოთ ობიექტური, ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ ფაქტორებზე დაფუძნებული შედეგები. შესაბამისად, ეს კვლევა არა მხოლოდ ითვალისწინებს რელევანტურ თეორიულ მიდგომებს, არამედ, ასევე, იყენებს მათ გარე სამყაროს რეალობის ასახსნელად, რაც ცდება მხოლოდ სიტყვის სემასიოლოგიური სტრუქტურის კვლევას.

ინგლისური, სპარსული და რუსული ენები ყველაზე ხშირად და ყველა თვალსაზრისით კარგად გამოკვლეულ და შესწავლილ ენებს განეკუთვნება, არა მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ მათ ისტორიის მანძილზე განიცადეს უამრავი ლინგვისტური ცვლილება ფონეტიკური, ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქტიკური და სემანტიკური სისტემების თვალსაზრისით, არამედ, ასევე, იმ კონტექსტური და ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური მოტივაციის გამო, რამაც განაპირობა ეს ცვლილებები. კვლევისთვის არჩეულ ენებში არსებობს ავტორიტეტული ეტიმოლოგიური ლექსიკონები, სადაც თითოეული სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობა და მათი გამოყენების სპეციფიკა სრულადაა წარმოდგენილი. კიდევ ერთი, უადრესად მნიშვნელოვანი და რელევანტური ფაქტორი არის ისიც, რომ ინგლისური, სპარსული და რუსული ენების ისტორია საკმაოდ კარგად არის დაფიქსირებული და დადასტურებული, რაც საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ცვლილებები იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომელშიც ისინი განიხილება. ინგლისის, ირანისა და რუსეთის გასული საუკუნეების ცხოვრების ისტორიული, სოციო-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მოვლენების შესწავლა გვაძლევს საშუალებას, რომ დავადგინოთ ან ვივარაუდოთ

ლინგვისტური ცვლილების გამომწვევი გარე ფაქტორები და შვეისწავლოთ, თუ რა ზეგავლენა აქვთ მათ კონკრეტული ენის ლექსიკურ ელემენტებზე და როგორ იწვევენ ისინი სემანტიკურ ცვლილებებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი კვლევა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის იძლევა თეორიული ლინგვისტიკისთვის საყურადღებო სემანტიკურ შედეგებს, რომლებიც ასევე გვაჩვენებენ, თუ რა ზეგავლენას ახდენს მათზე ექსტრალინგვისტური ფაქტორები, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ინდოევროპული ენათა ოჯახის ენებზე, კერძოდ, ინგლისურ, სპარსულსა და რუსულ ენაზე მოლაპარაკე სოციუმის განვითარების სოციალურ-ისტორიული გარემოებები.

კვლევის მიზნები. წინამდებარე კვლევა რამდენიმე მიზანს ემსახურება, მათ შორის მთავარია გარკვეული, ინდოევროპული საბაზისო ლექსიკის გარკვეული ჯგუფის (119 ერთეული) სემანტიკური ცვლილებების მექანიზმების სახეების გამოკვლევა და იდენტიფიცირება ინგლისურ, სპარსულ და რუსულ ენებში. ასევე, კვლევის ერთ-ერთ მიზნად შეიძლება ჩაითვალოს გარკვეული სემანტიკური ცვლილებების სიხშირის გამოვლენა თითოეულ ენაში. ყოველივე ეს გაადვილებს კვლევის მეორე მიზნის მიღწევას, რომელიც გულისხმობს აღნიშნული საბაზისო ლექსიკის სემანტიკური ცვლილებების ტენდენციებისა და წესების გამოვლენას კვლევის ფარგლებში შესწავლილი ინდოევროპული ენების მაგალითზე. კვლევის მესამე მიზანს წარმოადგენს სემანტიკური ცვლილებების მოტივაციისა და გამომწვევი მიზეზების როგორც შიდალინგვისტური, ისე გარელინგვისტური თვალსაზრისით კვლევა. გარდა დასახელებულისა, კვლევის ერთ-ერთ მიზნად შეიძლება ჩაითვალოს თითოეულ ენაში მიღებული შედეგის გადატანა და შედარება ენათაშორის სიბრტყეზე. ამ თვალსაზრისით, მიზნად ვისახავთ დავადგინოთ, არის თუ არა რაიმე კონკრეტული ტენდენცია, ამ სამი საკვლევი ენის მაგალითზე, სემანტიკური ცვლილებების თვალსაზრისით, თუ თითოეული ენა საკუთარი, ინდივიდუალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მიზეზებით მოქმედებს და, შესაბამისად, არ იკვეთება ზოგადი ტენდენცია.

კვლევის სტრუქტურა. დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნების, გამოყენებული ლიტერატურის სიისა და ვრცელი დანართისაგან.

შესავალში წარმოდგენელია საკვლევი პრობლემის ზოგადი აღწერა, მოცულობა, სიახლე და მიზნები.

ნაშრომის პირველ თავში საუბარია იმ **თეორიულ პრობლემატიკაზე**, რომელთა გათვალისწინებითაც დაიწერა და რომლებსაც დაეყრდნო ნაშრომი, განმარტებულია რელევანტური სამუშაო ტერმინები; მეორე თავი ეძღვნება **სემანტიკური**

ცვლილებების ტიპებისა და მექანიზმების ზოგად დახასიათებას; დისერტაციის მესამე თავში აღწერილია ჩვენი **კვლევა და გაანალიზებულია მისი შედეგები**; საუბარია, ასევე, შემდგომი კვლევისათვის საინტერესო ასპექტებზე.

ნაშრომს ასრულებს გამოყენებითი ლიტერატურის სია და დანართი, რომელშიც მოცემულია დისერტაციაში გაანალიზებული კვლევის ემპირიული მასალა.

თავი 1

საკვლევო პრობლემატიკის ზოგადი დახასიათება

ნაშრომის ამ თავში განმარტებულია ძირითადი ტერმინები და ფუნდამენტური კონცეფციები, რომელთაც დავყვრდნობით კვლევის დროს. გარდა ამისა, მასში წამოჭრილია თეორიული საკითხები, მიმოხილულია თეორიული კონცეფციები და მოდელები, რომლებიც მოიცავს კვლევასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას, კერძოდ, სიტყვის მნიშვნელობის შესწავლის ისტორიას, ლინგვისტურ დისციპლინებს და სკოლებს, რომლებიც დაინტერესებული არიან მნიშვნელობის შესწავლით, იკვლევენ მნიშვნელობის ტიპებს, მნიშვნელობის ცვლილებას ან სემანტიკური ცვლილების მექანიზმებსა და ლინგვისტურ თუ არალინგვისტურ მოტივაციასა და მიზეზებს.

1. 1. ენა როგორც კომუნიკაციური სისტემა

ცხადია, რომ ადამიანის მიერ შექმნილი ენა, უპირველეს ყოვლისა, სასიგნალო და სემიოტიკური სისტემაა. ადამიანი, როგორც წესი, თავდაპირველად საუბარს ან სიგნალების გადაცემას სწავლობს, შემდგომ კი- წერას. დღემდე არსებობენ საზოგადოებები, სადაც არ არსებობს დამწერლობა და გამოიყენება მხოლოდ ზეპირმეტყველება, თუმცა არ არის ცნობილი არცერთი საზოგადოება, სადაც განვითარებული იქნებოდა დამწერლობა, მაგრამ არ იქნებოდა ზეპირმეტყველება (Barber, 2009). ჯერ კიდევ წინა საუკუნის 20-იან წლებში სეპირი (Sapir, 1921:8) ენას განიხილავს როგორც წმინდად ადამიანურ და არა ინსტინქტურ მოვლენას, რომელსაც აქვს გარკვეული ფუნქცია, კერძოდ, შეუძლია აზრების, ემოციებისა და სურვილების გადმოცემა გარკვეული სიმბოლოების მეშვეობით. ბლოხისა და ტრაგერის ფუნდამენტური ნაშრომის მიხედვით (Bloch and Trager, 1945:5) ენა არის პირობითი ხმოვანი სიმბოლოების სისტემა, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებრივ-სოციალური ჯგუფები ერთმანეთთან ურთიერთობენ. პოლი (Paul,1968:158) თავის ნაშრომში წარმოგვიდგენს ენას, როგორც პირობითი სასაუბრო და სმენითი

სიმბოლოების ერთობას, რომელთაც ადამიანები კომუნიკაციისა და ინტერაქციისთვის იყენებენ.

რობინსის მიერ (Robins, 1979: 9-14) მიღებული განმარტების მიხედვით, ენა არის სიმბოლოების სისტემა, რომელიც თითქმის მთლიანად ეფუძნება გარკვეულ კატეგორიულ ან პირობითად მიღებულ წესებს. მეორე მხრივ, ჩომსკი თავის სინტაქტურ სტრუქტურებში (Chomsky, 1957:13) ენას განიხილავს, როგორც სრული თუ უსრული წინადადებების ჯგუფს, რომელიც სასრული სიგრძისაა და, ასევე, შედგება სასრული ელემენტებისგან.

ცხადია, რომ თითქმის ყველა ზემოთხსენებულ ტრადიციულ განმარტებაში ხაზი ესმება ენის კომუნიკაციურ ფუნქციას; კერძოდ, იდეების, აზრების გადაცემისა და გაცვლის ფუნქციას, რომელიც არსებითად განასხვავებს სულიერს უსულოსგან (Ograd et al, 1996). ზოგადად, ბუნებრივი, ადამიანის მიერ საზოგადოებაში გამოყენებული ენის ფუნქციები შეიძლება ამგვარად შეჯამდეს:

- 1) ენა არის სემანტიკური სისტემა, რომელსაც აქვს მნიშვნელობა და გადასცემს მას ფიქსირებული ელემენტების მეშვეობით: აღმნიშვნელი, აღსანიშნი და მათი ერთობა - მნიშვნელობა.
- 2) ენა არის პირობითი სისტემა: არ არსებობს ბუნებრივი ან თანდაყოლილი კავშირი სიტყვასა და აღსანიშნს შორის.
- 3) ენა არის დანაწევრებული სისტემა: ადამიანის მიერ შექმნილი საკომუნიკაციო სისტემა შედგება დანაწევრებული და განმეორებადი ნაწილებისგან.
- 4) ტემპორალურობა და სივრცულობა: ენის როგორც სისტემის მომხმარებლებს შეუძლიათ ისაუბრონ ისეთ მოვლენებზე, რომელიც განფენილია როგორც სივრცეში, ისე დროში.
- 5) პროდუციულობა: ნებისმიერ თემაზე და ნებისმიერ დროს შეიძლება ახალი წინადადებების წარმოება, პროდუცირება
- 6) ტრადიცია და კულტურული გადაცემა : სისტემის ზოგიერთი ასპექტი აუცილებლად უნდა გადაეცეს ენის შედარებით გამოცდილი მომხმარებლიდან მას, ვინც სისტემას ახლა სწავლობს.

- 7) ენის ნიშნის ორმაგი ბუნება: მნიშვნელობის არმქონე ერთეულები (ფონემები) ერთიანდებიან, რათა შექმნან პირობითი ნიშნები. ნიშნები შეიძლება სხვადასხვანაირად დაჯგუფდეს, რომ წარმოქმნას უფრო დიდი, მაგრამ უკვე მნიშვნელობის მატარებელი ნაწილები (s-p-o-t, tops, pots).
- 8) ორაზროვნება: სისტემა მომხმარებელს აძლევს საშუალებას წარმოქმნას ორაზროვანი, იდიომატური ერთეულები
- 9) (შე)სწავლის უნარი: სისტემის მომხმარებელს შეუძლია ენის თუ ენების სხვა ვარიანტების შესწავლა.
- 10) უკუქცევადობა: ენას ახასიათებს თვისება, გამოყენებული იქნას საკომუნიკაციო სისტემის შესახებ საუბრისა და ანალიზის დროს.

თითოეული მოცემული პუნქტი ენის გამოყენების სხვადასხვა ასპექტს ეხება. იდეების, ემოციებისა თუ სურვილების გაზიარება სხვა სოციალურ ჯგუფთან ენის ფუნქციებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევა. პირობითი, სიტყვიერი და სმენითი სიმბოლოების გამოყენება კი უკვე ნახსენები განმარტებების მთავარი ნაწილია. უფრო მეტიც, ენა, რომელიც ერთი შეხედვით მარტივი სისტემაა, მსოფლიოში დღემდე ყველაზე განვითარებული საკომუნიკაციო სისტემაა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მრავალ მეცნიერს შეუსწავლია.

1. 2. ენობრივი მნიშვნელობა

შემდეგი ტერმინი, რომელიც ჩვენი კვლევისთვის რელევანტურად მიგვაჩნია, არის მნიშვნელობა და მისი განმარტება, რომელიც ენასთან მიმართებაში ლინგვისტიკისა და სემანტიკის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად განხილვადი საკითხია.

კონცეპტუალიზმის თეორიის თანახმად, მნიშვნელობა არის იდეის, ფიქრისა და კონცეპტის ერთობლიობა, რომელიც მოსაუბრიდან მსმენელს ისევ ენის საშუალებით გადაეცემა (Lyons, 1990). მეორე მხრივ, ეს განმარტება არ მიგვაჩნია საკმარისად სრულად, რადგანაც, კონცეპტი ლინგვისტური სემანტიკის ემპირიულად დასაშვები თეორიის ნაწილადაც შეიძლება განვიხილოთ.

მიუხედავად ტერმინის „მნიშვნელობა“ მრავალი განმარტებისა, არ არსებობს მისი ყველასთვის მისაღები განმარტება. შესაბამისად, ეს კიდევ მომავლის საქმეა. თუმცა, მაინც შეიძლება ვიმსჯელოთ რამდენიმე ვარიანტზე. მაგალითად, თრაქსი (Traks, 2007) აცხადებს, რომ მნიშვნელობა სპეციფიკური ლინგვისტური ფორმის მახასიათებელია, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ არალინგვისტური სამყაროს ასპექტები.

ენისა და ლინგვისტიკის რუტლეჯის ლექსიკონი არ გვთავაზობს ტერმინის „მნიშვნელობა“ განმარტებას, თუმცა გვხვდება მისი დეტალური ახსნა საკომუნიკაციო მნიშვნელობის ნიშნით. პირველ რიგში, ეს ლექსიკონი გვიხსნის, რომ მნიშვნელობა არ არის მხოლოდ ლინგვისტური მოვლენა და, ლინგვისტიკის გარდა, ეს პრობლემა ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხად გვევლინება ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში, სოციოლოგიაში, სემიოტიკაში, იურისპრუდენციასა და თეოლოგიაში. გარდა ამისა, ისეთი ტერმინების ხშირმა გამოყენებამ, როგორცაა „შინაარსი, მითითება, აზრი და მნიშვნელობა“ უცხოურ ტერმინებთან ერთად, (მაგალითად, გერმანულ სიტყვებთან Sinn & Bedeutung) გამოიწვია მათი მნიშვნელობის ნაწილობრივი გადაფარვა.

1.3. ლექსიკური სემანტიკა და სემასიოლოგია

ცნობილია, რომ სემანტიკა შეისწავლის ენის მეშვეობით გადმოცემულ მნიშვნელობას. ადამიანის ლინგვისტური შესაძლებლობები დაფუძნებულია სამყაროს გარკვეული მოდელის, ანუ მასში ლინგვისტურად ასახული სამყაროს გარკვეული ხარისხისა და მასშტაბის ცოდნასა და დეკოდირების უნარზე. ცხადია, რომ მოსაუბრეებს განსხვავებული ხარისხის ლინგვისტური ცოდნა აქვთ იმ ენაზე, რომელზეც საუბრობენ. ამ ცოდნას კი სწორი წარმოთქმისა და სინტაქსური კავშირების ასაგებად იყენებენ. სხვა ტიპის ენობრივი ცოდნა დაკავშირებულია ადამიანის შესაძლებლობებთან, აღიქვას ინდივიდუალური სიტყვებისა თუ წინადადებების მნიშვნელობები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლინგვისტური

ანალიზი ენის სხვადასხვა დონეზე შეიძლება წარმოებდეს. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს ენის ფონოლოგიური, სინტაქსური ან სემანტიკური ანალიზი.

მნიშვნელობის ცნების შესწავლას ადამიანები ანტიკური პერიოდიდან ცდილობდნენ, თუმცა სწრაფი პროგრესი ამ სფეროში მეცხრამეტე საუკუნეში მოხდა, როდესაც ფრანგი ლინგვისტი მიშელ ბრეალი თავის ნაშრომში *Essai de Sémantique* (1897) შეუდგა ამ საკითხის გამოკვლევას. მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე მისდამი განწყობა არ ყოფილა ერთგვაროვანი, სემანტიკა მაინც რჩება ენათმეცნიერების მნიშვნელოვან ნაწილად. მას შემდეგ, რაც მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურა დაიშალა ორ ფუნდამენტურად განსხვავებული ტიპის ლინგვისტურ მნიშვნელობად, დენოტაციურ და კონოტაციურ მნიშვნელობად, სემანტიკის კვლევებში აღმავლობის პერიოდი დადგა. დენოტაციური მნიშვნელობა არის სრულმნიშვნელოვანი ლინგვისტური ფორმის თანმხლები და ნაკლებად ცვალებადი ნაწილი. მეორე მხრივ, მნიშვნელობის მეორე კომპონენტი, კონოტაციური მნიშვნელობა კი გამომდინარეობს ლინგვისტური ფორმის, გამონათქვამისა და კონტექსტის ურთიერთობიდან. სამყაროს შესახებ ჩვენი სემანტიკური ცოდნა მომდინარეობს ამ ორივე კომპონენტის სინთეზის აღქმიდან. სემანტიკოსების უმეტესი ნაწილი ცდილობს სემანტიკის პრობლემატიკის განხილვას ფორმალური ლოგიკის მეშვეობით. მაგალითად, ლექსიკური სემანტიკა სწავლობს მნიშვნელობასა და წინადადებების სემანტიკურ ინტერპრეტაციებს, მაგრამ ასევე, არსებობს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმდინარეობაც, რომელიც ყურადღებას ამახვილებს სიტყვათა მნიშვნელობაზე (Kreidler, 1998).

ენისა და ლინგვისტიკის ლექსიკონში რუტლეჯი სემასიოლოგიას განიხილავს, როგორც სემანტიკის ქვედისციპლინას, რომელიც დაინტერესებულია ინდივიდუალური ლინგვისტური გამონათქვამების მნიშვნელობით, ლინგვისტურ გამონათქვამებს შორის სემანტიკური ურთიერთობებითა და იმ პრობლემებით, რომელიც დაკავშირებულია სემანტიკურ ცვლილებასთან (*The Rutledge dictionary of literary terms* , 2006). ამასთან ერთად, სემასიოლოგია ონომასიოლოგიის საპირისპირო მიმართულებაა, რადგანაც ეს უკანასკნელი შეისწავლის ნომინაციის პრობლემატიკას.

გარდა განხილული ტერმინებისა, სხვა მიმართულებებიც, როგორცაა, მაგალითად, ლექსიკოლოგია და ლექსიკური სემანტიკა, ასევე რელევანტურია ჩვენი კვლევისათვის. გინზბურგი ლექსიკოლოგიის შესწავლის მიზნად ისახავს სიტყვების, სიტყვების ცვლადი ჯგუფების, ფრაზეოლოგიზმებისა და მორფემების შესწავლას (Ginzburg, 1979). ლექსიკურ სემანტიკას გეერარტსი (Geeraerts, 2010) კი ძირითადად სიტყვათა მნიშვნელობის, იდენტიფიკაციის, კლასიფიკაციისა და სემანტიკური ცვლილებების ახსნას უკავშირებს. ლექსიკური სემანტიკის განვითარების ხუთი საფეხურის განხილვის შემდეგ, გეერარტსი მის მთავარ ეტაპად ისტორიულ კვლევით ორიენტაციას ასახელებს. მოგვიანებით, ამ დისციპლინის ყურადღების ცენტრმა ქვეგანხრებსა და მეთოდოლოგიის თვალსაზრისით დიდი ცვლილება განიცადა. ტრიის(Trier, 1934) მიერ სტრუქტურალისტურ სემანტიკაში მნიშვნელობის შესწავლა არ იყო ატომისტური ხასიათის, არამედ დაუკავშირდა მთლიან სემანტიკურ სტრუქტურებს. ამავე თვალსაზრისით, კვლევა უნდა იყოს სინქრონული და შესწავლილი სრულიად განსხვავებული ლინგვისტური მეთოდოლოგიით.

კატცისა და ფოდორის (Katz & Fodor, 2017) ლექსიკური სემანტიკის ნეოსტრუქტურალისტურ-გენერატიული მოდელის შემდეგ მთელი ინტერესი გენერატიულ გრამატიკაზე გადავიდა. კატცის მიმდევრებმა სემანტიკა კომპონენტურ ანალიზად ჩამოაყალიბეს. მათ აითვისეს ჩომსკის მენტალისტური თვითშეფასება და შემოგვთავაზეს ლექსიკური ერთეულების კომპონენტური შემადგენლობის მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს მოსაუბრის მიერ წარმოთქმული გამონათქვამის სემანტიკურ ჭრილში ახსნის შესაძლებლობას. რაც შეეხება კოგნიტურ სემანტიკას, მას ეფუძნება ბუნებრივი ენის კატეგორიების შიდა სტრუქტურების შემადგენელი მოდელები. აქვე განახლდა ინტერესი ეპისტომოლოგიური როლების შესწავლისადმი (Geeraerts, 2007).

1. 4 სიტყვა როგორც ენობრივი ელემენტი

რადგან სიტყვა ენათა სისტემის ცენტრალური ელემენტია, იგი ხშირად გვევლინება ფონოლოგიის, ლექსიკოლოგიის, სინტაქსის, მორფოლოგიის, სტილისტიკისა და სხვა

დისციპლინების მიერ განხილვის თემად. შესაბამისად, ლინგვისტური თვალთახედვიდან, სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა შეიძლება ხშირად და მნიშვნელოვნად შეიცვალოს. თავდაპირველად სიტყვა განიხილებოდა, როგორც ყველაზე მოკლე წინადადება, მოგვიანებით კი ბლუმფილდმა (Bloomfield, L. 1933) მას გამონათქვამის ყველაზე პატარა დამოუკიდებელი ელემენტი უწოდა. სეპირმა ყურადღება სიტყვის სინტაქსურ და სემანტიკურ ასპექტებს მიაქცია და იგი ყველაზე პატარა და თვითკმარ ელემენტად მონათლა (Sapir, 1945) ულმანი სიტყვის წმინდა სემანტიკურ განმარტებას გვამღევს, ხოლო ცნობილი ფრანგი ლინგვისტი მილე აერთიანებს სემანტიკურ, ფონოლოგიურ და გრამატიკულ კრიტერიუმებს და მიიჩნევს, რომ სიტყვა გადმოსცემს მნიშვნელობას იმის მიუხედავად, თუ რამდენი მორფემისგან შედგება მისი გარე სტრუქტურა (Antrushina, 1999).

რადგანაც სიტყვა არის მეტყველების ნაწილი, რომელიც ადამიანის საკომუნიკაციო ფუნქციას ემსახურება, იგი შეიძლება ჩაითვალოს საკომუნიკაციო ერთეულად.

სიტყვის შესწავლის ერთ-ერთი მიდგომის მიხედვით, განირჩევა სიტყვის შიდა და გარე სტრუქტურა (Antrushina, 1999). გარე სტრუქტურაში ვგულისხმობთ სიტყვის მორფოლოგიურ სტრუქტურას. სიტყვის შიდა სტრუქტურა ან მისი მნიშვნელობა, დღესდღეობით, ხშირად განიხილება, როგორც სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა და უდავოდ წარმოადგენს სიტყვის უმთავრეს ასპექტს. სიტყვებს საკუთარი ფუნქციის შესრულება მხოლოდ მათი სემანტიკის, მნიშვნელობიდან გამომდინარე შეუძლიათ.

როგორც ცნობილია, სიტყვებს ან ლექსიკურ ერთეულებს ფორმის (გამოხატვისა) და მნიშვნელობის პლანი აქვთ, რომლებიც ერთი მხრივ, სიტყვისა და მეორე მხრივ, ენის სტრუქტურულ თვისებებსა და ფუნქციებს წარმოაჩენენ მათ შემადგენელ მორფემებზე დაყრდნობით. ასევე, სიტყვა წერითი და ზეპირი დისკურსის ყველაზე მცირე შემადგენელი ერთეულია, მყარი მართლწერითა და წარმოთქმით. ენის მატარებელს აქვს სტაბილური აღქმა წინადადებაში სიტყვების განლაგებისა და მათი საზღვრების შესახებ. მაგალითად, სეპირის გამოცდილებით, წერა-კითხვის უცოდინარი ადგილობრივი ამერიკელებიც (ინდიელები) კი მარტივად კარნახობდნენ

მას ტექსტს თავიანთ ენაზე “სიტყვა სიტყვით”, როდესაც სეპირი მათ ამის გაკეთებას თხოვდა. (Sapir, 1945)

ამერიკელი დესკრიპტივისტებისათვის სირთულეს წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რომელია ძირითადი ერთეული- სიტყვა თუ მორფემა. სწორედ ამიტომ, ბევრი ამერიკელი ლინგვისტის (მაგალითად, ჰოკეტი, ჰარისი) ნაშრომებში გამონათქვამები მორფემებად არის დანაწევრებული და, ამდენად, მათ თეორიაში სიტყვები ხშირად უგულებელყოფილია. სიტყვა აქ ხშირად განიხილება, როგორც მინიმალური დამოუკიდებელი ფორმა, ე.ი. ენის ყველაზე პატარა ნაწილი, რომელსაც დამოუკიდებლად შეუძლია სრული ფორმის შექმნა, მაგრამ იგი არ არის ენის ყველაზე პატარა მნიშვნელობის მატარებელი ფორმა.” (Zikova, 1995).

ლექსიკოლოგიის საბჭოთა სკოლა დაეყრდნო თეორიას, რომლის მიხედვითაც სიტყვა არის ენისა და მეტყველების მთავარი ნაწილი. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ დამარწმუნებელი და ამომწურავი არგუმენტები, რომელსაც გვთავაზობს სიტყვის ფუნდამენტური თეორიის ავტორი უფიმცევა (Upimtseva, 1980). პრობლემის შესწავლის შემდეგ ცხადია, რომ ზღვარი მორფემასა და სიტყვას შორის ხანდახან ბუნდოვანია. თითოეული ენის სიტყვათა მარაგი მუდმივად იცვლება და ერგება კომუნიკაციის ფუნქციებს ასევე მუდმივად ცვალებად სამყაროში. ამ პროცესში ლექსიკონი იცვლება არა მხოლოდ რაოდენობრივად, რადგანაც ენის განვითარების პროცესში იქმნება ახალი სიტყვები უკვე არსებული მორფემების კორპუსიდან, არამედ თვისობრივადაც. თვისობრივი ცვლილებების ფარგლებში ყალიბდება ახალი მორფემული ერთეულები და იქმნება სიტყვის ახალი მოდელები, რომლებიც ზოგჯერ განსხვავებული სტრუქტურით წარმოდგებიან. გარდა ამისა, ლექსიკონში ხვდება ისეთი ლექსიკური ერთეულებიც, რომლებიც ორთოგრაფიულად ერთმანეთის იდენტურები არ არიან, თუმცა ეკვივალენტებად გვევლინებიან. ნებისმიერი მეტყველების ნაწილი შეიცავს სინტაქსურად ან მნიშვნელობის მხრივ დაუნაწევრებელ ერთეულ(ებ)ს ან ორივეს ერთად, თუმცა ისინი გრაფიკულად მაინც დანაწევრებულია. საინტერესოა წინადადებება-ფორმულებიც, რომლებიც მზა სახით მოიპოვება ენაში და ხასიათდება სემანტიკური ერთობითა და ფორმალური კლიშირებულობით. (Quite the contrary-ის ტიპისა), რომელთაც

შევითვისებთ, როგორც ერთობებს და შეიძლება განვიხილოთ, როგორც სიტყვათა ეკვივალენტები. ენის ლექსიკონი ერთფეროვანი არ არის. მისი ცენტრალური ნაწილი შედგება ლექსიკური ერთეულებისგან, რომლებიც ხასიათდება სიტყვის ყველა დიფერენცირებული თვისებით, კერძოდ, სემანტიკური, ორთოგრაფიული და მორფოლოგიური მთლიანობით და იმის შესაძლებლობით, რომ საუბრისას იზოლირებულად გამოვიყენოთ. რაც შეეხება სემანტიკური ველის მარგინალურ ელემენტებს, ისინი, როგორც ცნობილია, გარკვეული კრიტერიუმებით განსხვავდებიან ცენტრში განთავსებული ერთეულებისგან, თუმცა ინვარიანტულად კვლავ მისი წევრები არიან.(Arnold, 1986).

პლატონის, არისტოტელეს ეპოქიდან დაწყებული და სტოიკოსების მოდელიდან ცნობილია, რომ ცნება და სიტყვა კავშირშია იმ ობიექტთან, რომელსაც ეს სიტყვა აღნიშნავს. შეიძლება ითქვას, რომ ამ ეპოქაში ჩაისახა სემანტიკური სამკუთხედის პირველი ვარიანტი. ამის შემდეგ, ენათმეცნიერები მსჯელობენ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის პრობლემაზე. კერძოდ, კონკრეტულ პერიოდში სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის პრობლემატიკა განიხილებოდა თომას ჰობსის მიერ. ერთ-ერთ თავის ნაშრომში ეს უდიდესი ინგლისელი ფილოსოფოსი აღწერს ნომინაციის პრობლემებს მატერიალისტური პოზიციიდან, რომლის მიხედვითაც სიტყვებს არა მხოლოდ ფონეტიკური ფორმა, არამედ სახელდების ფუნქციაც აქვს. (Leijenhorst,2002). სამი საუკუნის შემდეგ რუსმა ფიზიოლოგმა, პავლოვმა (1849-1936) განიხილა სიტყვა და ნომინაციის პრობლემატიკა მეორე სასიგნალო სისტემის ფარგლებში და განმარტა ის, როგორც უნივერსალური სიგნალი, რომელმაც შეიძლება ჩაანაცვლოს ნებისმიერი სხვა სიგნალი. მეცნიერებისა და ინჟინერიის ერთ-ერთი მიღწევა, მანქანური თარგმანი, ეყრდნობა მეთოდუკას, რომელიც მიიჩნევს, რომ სიტყვა გრაფემებისგან შედგება, რომლებიც შეიძლება ერთმანეთისგან გარკვეული მანძილით იყოს გამოყოფილი, და არსებობს ასეთი კავშირების მორფემული დონეც. ლინგვისტიკაში სიტყვას მოეპოვება სინტაქსური, სემანტიკური, ფონოლოგიური ან ინტერდისციპლინური განმარტება. ბლუმფილდმა სიტყვა განიხილა, როგორც “მინიმალური თავისუფალი ფორმა”. (Bloomfield,1945)

სემანტიკის თვალსაზრისით სიტყვის შესწავლა სხვადასხვა მიმართულებებით მიმდინარეობს, კერძოდ, ლექსიკური სემანტიკის, ლექსიკოლოგიისა და სემასიოლოგიის მიმართულებებით და სემანტიკოსები ცდილობენ რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვას გასცენ პასუხი; კერძოდ, მათ აინტერესებთ, თუ როგორ კოდირდება სიტყვის მნიშვნელობა ენაში, როგორ განისაზღვრება მისი მნიშვნელობა და რა კანონზომიერებები უდევს საფუძვლად მნიშვნელობის ცვლილებას. ბოლო კითხვაზე პასუხის გაცემისას ყველაზე რელევანტური ისტორიულ- დიაქრონული მეთოდია, რადგანაც ის კარგად წარმოადგენს ენის განვითარების სისტემურ თვისებებს (Saeed , 2003).

ბლუმფილდი ფიქრობდა, რომ სემანტიკა ენის მეცნიერული კვლევის ყველაზე სუსტად განვითარებული მხარე იყო, იმის გამო, რომ ის დაკავშირებულია ადამიანის გამოცდილების ენაში ასახვის სპეციფიკასთან და ეს პრობლემატიკა სხვა მეცნიერებების პრეროგატივაა. ნაშრომში ბლუმფილდი განმარტავს ლინგვისტური ფორმის მნიშვნელობას, როგორც მოსაუბრისა და მსმენელის ურთიერთობას და იმ პასუხს, რასაც მოსაუბრის მიერ გაგზავნილი სიგნალი იწვევს მსმენელში. ცნობილია, რომ სიტყვის სრული მნიშვნელობა მხოლოდ კონტექსტთან და სიტუაციასთან კავშირში შეიძლება გავიაზროთ. მისი აზრით, მნიშვნელობა შეიძლება განიმარტოს სტიმულისა და რეაქციის, ანუ კონკრეტულ სტიმულზე მსმენელის მიერ გაცემული პასუხის ტერმინებით, მაგრამ კომუნიკაციური სიტუაციების შესწავლის ტრადიცია იმ პერიოდში არ იყო ყოვლისმომცველი და ძლიერი. შესაბამისად, ბლუმფილდი მიიჩნევს, რომ ლინგვისტებმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ ისეთ სიტუაციებს, რომლებზეც დაკვირვებაც ადვილად შეიძლება. (Bloomfield, 1945; Saeed, 2003).

ენათმეცნიერებაში ყოფილა ცდები, შეესწავლათ სიტყვის მნიშვნელობა მისი გამოყენების, ფუნქციიდან გამომდინარე. ამ მეცნიერთა აზრით, სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება იყოს განსაზღვრული გარკვეული კანონებით, რომლებიც ასევე განაპირობებენ მათ გამოყენებასა და აღქმას. ლუდვიგ ვინტგენშტაინმა ყურადღება გაამახვილა ფაქტორზე, რომლის მიხედვითაც სიტყვის მნიშვნელობა მისი ენაში გამოყენების სპეციფიკაა. კიდევ ერთი მცდელობა, რომ გადმოეცათ მნიშვნელობის დეტალური სპეციფიკა იყო ის, რომ სიტყვები შეესაბამება არა საგნებს,

არამედ მიემართება მათი ცნებების, კონცეპტების ან აზრებისადმი. ყველა სიტყვას აქვს არაპირდაპირ დაკავშირებული კონცეპტი. ეს „ირიზი“ მიმართება შეძლება სემანტიკური სამკუთხედის მეშვეობით გადმოიცეს, რომელიც ოგდენმა და რიჩარდსმა შემოგვთავაზეს (Kreidler, 1998)

ენობრივი ნიშნის სემანტიკური სტრუქტურა, სოსიურის მიხედვით, შედგება შემდეგი მხარეებისაგან: აღსანიშნი და აღმნიშვნელი. ოგდენისა და რიჩარდსის (Ogden & Richards, 1923). სამკუთხედი მოიცავდა შემდეგ მხარეებს: 1. აზრი/იდეა, 2. სიმბოლო და 3. რეფერენტი, არაენობრივი საგანი). მეორე მხრივ, იგივე პრობლემა პირსთან ასეთ სახეს იღებს: ნიშანი (აღმნიშვნელი), ობიექტი და ინტერპრეტანტი (Pierce, 1982). რეფერენტი მიემართება კომუნიკანტის მეხსიერებას, სადაც დაგროვილია წარსული გამოცდილება და განსხვავებული კონტექსტები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არ არსებობს პირდაპირი კავშირი სიტყვის შინაარსსა და მის კონცეპტს შორის. ჩვენ არ გვაქვს გონებაში ყველა იმ სიტყვის ზუსტი ვიზუალური სურათი, რომელსაც წარმოვთქვამთ. კუბრიაკოვას სიტყვებით რომ ვთქვათ, კონცეპტი გაიაზრება უფრო ფართოდ, როგორც არა მხოლოდ ყველა ხატი და გამოსახულება, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ სიტყვასთან ადამიანის გონებაში, ასევე აზრი თუ ასოციაცია. მნიშვნელობა, ამ თვალსაზრისით, არის კონცეპტუალური ინფორმაციის მატარებელი ინდივიდის გონებაში ასახული სტრუქტურა, რომელიც ავტომატურად მოსდევს სიტყვის რეაქტივიზაციას (Kubriakova, 1981). მნიშვნელობა, ამგვარად, სიტყვის გონებრივი გამოსახულებაა, და არა უბრალო, მექანიკური ასლი, ან გონებაში შენახული მექანიკური სურათი. ადამიანები გარემოსთან კონტაქტის შედეგად იძენენ გამოცდილებას, რომელიც სქემატურად რჩება გონებაში (Kreidler, 1998). მეორე მხრივ, სიტყვის მნიშვნელობას ვერ შევისწავლით იზოლირებულად, ანუ სხვა სიტყვებთან კავშირის დადგენის გარეშე, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ისინი ერთმანეთთან განსხვავებული ხერხებით არიან დაკავშირებული (Kreidler, 1998).

სემანტიკაში სიტყვის იდენტიფიცირების პროცესს ხშირად რეფერენციას, ანუ დენოტაციასაც ეძახიან, ხოლო ობიექტს - რეფერენტსა და დენოტატუმს. ზოგიერთი მეცნიერი, მაგალითად ჯონ ლაიონსი (Lyons, 1977: 396-409) ერთმანეთისგან ასხვავებს ამ ორ ტერმინს. იგი იყენებს ტერმინს „დენოტაცია“, რომ აღწეროს კავშირი

ლინგვისტურ გამონათქვამსა და სიტყვას შორის მაშინ, როცა ტერმინი „რეფერენტი“ გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც მოსაუბრე სამყაროში არსებულ საგნებზე მიუთითებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეფერენციას მოსაუბრე ახდენს, ხოლო დენოტაცია- სიტყვის კუთვნილებაა. აღსანიშნავია, რომ დენოტაცია მყარი, უცვლელი ფაქტორია, ხოლო მითითება კი დამოკიდებულია კონტექსტზე (Saeed, 2003).

სამყაროს დიფერენცია ენაში, ძირითადად, ორი მიდგომით შეიძლება მოხდეს: რეფერენტული და გამომსახველობითი გზებით. იმისთვის, რომ სემანტიკურად აღვწეროთ ენა, ჩვენ გვჭირდება იმის დემონსტრირება, თუ როგორ უკავშირდება მეტყველებაში აქტუალიზებული გამონათქვამები სამყაროს. შესაბამისად, სემანტიკური თეორია არის რეფერენტული ანუ დენოტატიური თეორია, ანუ, სიტყვებსა და წინადადებებს მნიშვნელობა ენიჭებათ მათი კავშირის მიხედვით სპეციფიკურ სიტუაციებთან. უფრო მეტიც, სხვადასხვა კონცეპტი გავლენას ახდენს ჭეშმარიტი სიტუაციების აღწერაზე.

მნიშვნელობის გამომსახველობითი თეორიები ხაზს უსვამენ, რომ ჩვენი რეალობის აღქმა განპირობებულია ენის კონცეპტუალური სტრუქტურებით. რეფერენტულ თეორიებში მნიშვნელობა მიემართება რეალობას, ექსპრესიულ თეორიებში კი მნიშვნელობა მომდინარეობს იმ მოსაზრებიდან, რომ ენა არის ჩვენი ენის კონცეპტუალური სტრუქტურების თავისებური ანარეკლი (Saeed, 2003).

1. 5 ენობრივი ცვლილება და მისი მექანიზმები

დროთა მსვლელობასთან ერთად იცვლებიან ენებიც, რაც, რა თქმა უნდა, ენაში მიმდინარე ევოლუციური პროცესების შედეგია. მოცემული ენის დიაქრონული და სინქრონული ცვლილებები ენის სხვადასხვა ასპექტსა და შემადგენელ კატეგორიაზე შეიძლება აისახოს, მაგალითად, ისეთ ერთეულებზე, როგორცაა ბგერა, ფონემა, მორფემა, სინტაქსური წესები და სტრუქტურები, ლექსიკური ერთეულების სისტემისა და მნიშვნელობის პრაგმატიკულ-კონოტაციური განზომილებანი. შესაბამისად, ენის ცვლილების ასპექტები ორ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: ცვლილებები ლინგვისტური სიმბოლოების წარმოქმნის თვალსაზრისით და ცვლილებები ლინგვისტური სიმბოლოების გამოყენების თვალსაზრისით.

კონკრეტულმა ლინგვისტურმა ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს, ზოგადად, ენის ბუნების ცვალებადობის ტიპი. მაგალითად, ცვლილებები ბგერათა სისტემაში შეიძლება გადაიზარდოს ლექსიკური ერთეულის წარმოთქმის ცვლელებაში, მაშინაც კი, თუ ერთეული შეინარჩუნებს დენოტაციურ მნიშვნელობას. მეორე მხრივ, ენობრივმა სინტაქტურმა ცვლილებებმა შეიძლება სრულიად შეუცვალოს მნიშვნელობა გამონათქვამს ისე, რომ იგი თავდაპირველ მნიშვნელობას საგრძნობლად არც კი დაშორდეს.

როგორც ცნობილია, ლინგვისტურ ცვლილებებს შეიძლება ჰქონდეთ შიდაენობრივი და გარეენობრივი მოტივები და მიზეზები. შიდაენობრივი მიზეზებიდან შეიძლება აღვნიშნოთ ბგერების ასიმილაცია ან დისიმილაცია, ელიზია, მეტათეზა, ბოლო თანხმოვნის გახმოვანება, ან გაქრობა, ბოლოკიდურა ხმოვნის დაყრუება, დაგრძელება, ანაპტიქსი, მონოფთონგიზაცია და დიფთონგიზაცია. ექსტრალინგვისტური ცვლილება შეიძლება გამოწვეული იყოს ეთნიკური კოლექტივის ცხოვრების პირობების ცვლილებებით, საზოგადოებრივი, გარემოს ან ტექნოლოგიური განვითარებით, რადგან ენა გამოიყენება ადამიანის გონებაში აქტუალიზებული მნიშვნელობის გადმოსაცემად. ადამიანის როლი ლინგვისტურ ცვლილებაში, როგორც მოსაუბრისა, ძალიან დიდია.

მნიშვნელობის ცვლილების შესწავლის ორი ძირითადი მიდგომა იკვეთება (Geraerts, 1997; Geeraerts & Cuyckens, H , 2007). სემასიოლოგიური მიდგომა კონცენტრირდება მნიშვნელობის ფუნქციურ ასპექტზე და აქ ყურადღება ექცევა ერთეულის სემანტიკური სტრუქტურის ცვლილებებს, მაშინ როდესაც მისი ფორმა მეტ-ნაკლებად უცვლელი რჩება, თუმცა შესაძლებელია გარკვეული ფონოლოგიური და მორფოსინტაქსური მოდიფიკაციები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა იმის გამოკვლევა, თუ რა სპეციფიკური მნიშვნელობების ნაკრები უკავშირდება სიტყვას, როგორ უკავშირდება ისინი ერთმანეთს და როგორ იცვლება მნიშვნელობა სემანტიკური სტრუქტურა დროსთან ერთად. ამ მიმართებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ეტიმოლოგიური ლექსიკონის მონაცემები.

მნიშვნელობის კვლევის მეორე მიდგომა არის ონომასიოლოგიური მიდგომა, რომელიც იკვლევს კონცეპტის ან მნიშვნელობის ლექსიკურ ისტორიას. ტიპიურად, სიტყვის მნიშვნელობების განტოტვასა და მსგავსი მნიშვნელობების შექმნას.

1.6. კვლევის ენები: ინგლისური, სპარსული და რუსული როგორც ინდოევროპული ენები

1. 6.1 ინდოევროპულ ენათა ოჯახი

ინდოევროპული ენათა ოჯახი, უამრავი განშტოებითა და მილიონობით მოსაუბრით, ერთი წინარე, პროტო-ევროპული ენისგან (PIE) ჩამოყალიბდა, რომელიც ათასობით წლის წინ იხმარებოდა შედარებით შეზღუდულ გეოგრაფიულ არეალზე. დღეს ბევრი სხვადასხვა კულტურისა თუ რასის წარმომადგენელი საუბრობს რომელიმე ინდოევროპულ ენაზე, როგორც მშობლიურზე. ბუნებრივია, რომ პროტოინდო-ევროპულზე მოსაუბრე ხალხს, რომლებიც შედარებით შეზღუდულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა, საზიარო კულტურა ჰქონდათ, განურჩევლად რასისა.

ტრადიციული შეხედულების მიხედვით, ინდოევროპელები იყვნენ მომთაბარე ან ნახევრად მომთაბარე ხალხები, რომლებიც იპყრობდნენ მეზობელ სამეურნეო მიწებს და ავრცელებდნენ თავიანთ ენას. არქეოლოგი კოლინ რენფრიუ მიიჩნევს, რომ ინდოევროპელების გაფართოება გულისხმობდა მეურნეობით დაკავებული ხალხის გადასვლას უფრო ნაკლებად ათვისებულ და, ძირითადად, მონადირეებისა და საკვების შემგროვებელ ხალხებით დასახლებულ პერიფერიებზე. ეს პროცესი უფრო მეტ დროს მოითხოვდა, ვიდრე ტრადიციული, გააზრებული მასობრივი მიგრაცია; რენფრიუ ასევე მიიჩნევს, რომ ამგვარი გაფართოება ჩვენ წელთაღრიცხვამდე 7000 წელს დაიწყო, ტრადიციული წყაროების მიხედვით კი ის ჩვ.წ.აღ. 4000-მდე ან კიდევ უფრო მოგვიანებით. (Renfrew, 1989) სტივენ ოპენჰაიმერი ირწმუნება, რომ ბრიტანეთის კუნძულის მოსახლეობის გენეტიკური შემადგენლობის უმეტესობა მომდინარეობს ნეოლითური ადამიანების გადაადგილებიდან, ეს ფაქტი კი რენფრიუს მიერ მოწოდებულ თარიღს ეთანხმება. (Oppenheimer, 2006). გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ენებს არ სჭირდებათ ფართომასშტაბიანი მიგრაცია, რომ ახალ არეალზე გავრცელდნენ. ევროპაში ყველაზე ადრინდელი

ჩანაწერები, ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ჯგუფების თვალსაზრისით, მოგვეპოვება მხოლოდ ბერძნულად. ბერძნულის ერთ-ერთი, მიკენური, დიალექტი გამოიყენებოდა კრეტასა და საბერძნეთში ძვ.წ.ად. 1400 წელს. ჩანაწერები იტალიკურ ენაზე მოგვიანებით, ძვ.წ.ად. მეექვსე საუკუნიდან თარიღდება, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დავაკავშიროთ იტალიკურზე მოსაუბრე ხალხი იმ არქეოლოგიურ კულტურასთან, რომელიც ჩრდილოეთ იტალიაში დაახლოებით ძვ.წ.ად. 1500 წელს გამოჩნდა და გავრცელდა სამხრეთით. კელტურად მოსაუბრე ხალხი პირველად ძვ.წ.ად. მეხუთე საუკუნის წარწერებით ფიქსირდება, ხოლო გერმანიკულის პროტონაზე მოსაუბრე ხალხზე პირველად ბერძენი და რომაელი ავტორებიდან ვიგებთ, ქრისტესშობამდე პირველ საუკუნეში. ეს ტომები, ძირითადად, რაინის აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ იმ ტერიტორიებზე, სადაც ახლა გერმანია და ჰოლანდია მდებარეობს. გერმანიკულ ენაზე ყველაზე ადრინდელი ჩანაწერები გაკეთებულია რუნულ ანბანზე და მეოთხე საუკუნით თარიღდება, თუმცა ცნობილია ადრინდელი პერიოდის მაგალითებიც, რომლებიც პირველი საუკუნით თარიღდება. რომაული იმპერიის პერიოდის ლათინურ ტექსტებსა და ჩანაწერებში გვხვდება გერმანიკული კერძო სახელები და ტოპონიმები.

დასახელებულ პერიოდში სლავურად მოსაუბრე ხალხი ცხოვრობდა კარპატების ჩრდილოეთით, ვისტულასა და დნეპრს შორის. როგორც ჩანს, ისინი ამ ტერიტორიაზე ბევრად უფრო ადრე განთავსდნენ, სანამ გაფართოვდებოდნენ, ქრისტიანული პერიოდის დასაწყისში, თუმცა შუასაუკუნეებამდე არ მოიპოვება მნიშვნელოვანი ჩანაწერები სლავურ პროტონაზე. ინდოევროპული ენები, რომელთა შესახებაც ადრინდელი ჩანაწერებიც მოგვეპოვება, ერთმანეთისგან განსხვავებულად განვითარდნენ. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა ჩვენ წელთაღრიცხვამდე, სულ მცირე, 3000 წელს უნდა დაწყებულიყო, ან კიდევ უფრო ადრე (Barber et al, 2009). არიული და ინდოევროპულ-გერმანიკული ის ტერმინებია, რომლებიც გამოიყენებოდა იმ ენების აღსაწერად, რომლებსაც აზიისა და ევროპის კონკრეტულ ნაწილებში იყენებდნენ. ტერმინი „ინდოევროპული“ შემოიღეს იმიტომ, რომ იგი უფრო ნათლად გამოხატავდა იმ გეოგრაფიულ არეალს, სადაც ეს ენები იყო გავრცელებული (Baugh & Cable, 2002).

ინდოევროპული ენების ოჯახის ერთ-ერთი განშტოება ინდოირანულია, იგივე არიული ენა, რადგანაც უძველესი ხალხები, რომლებიც ამ ენაზე ლაპარაკობდნენ, თავს ამგვარად მოიხსენიებდნენ. თავად დასახელება მომდინარეობს ძირიდან ārya- ან airya- და ნიშნავს „ღირსეულს“. სიტყვა „ირანიც“ ამ სიტყვის კუთვნილებითი ბრუნვის, მრავლობითი რიცხვის ფორმიდან მომდინარეობს. ეს განშტოება ორი ჯგუფისგან შედგება- ინდური და ირანული ჯგუფებისაგან. ინდური ჯგუფის შემოქმედების ერთ-ერთი პროდუქტია ვედების ჰიმნები ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთიდან, რომლებიც, ძველი წელთაღრიცხვით, 1200 წელს ითვლის, ხოლო წერილობითი წყაროები ბევრად უფრო მოგვიანებით გამოჩნდა. მეორე ფორმა ამ ენისა არის კლასიკური სანსკრიტი, რომლის სტანდარტიზება ქრისტესშობამდე მეოთხე საუკუნეში მოხდა და იქიდან მოყოლებული, ინდური კულტურის ერთ-ერთ ძირითად ენად იქცა (როგორც ლათინური დასავლეთ ევროპაში). ამ ენის თანამედროვე მემკვიდრეები არიან ბენგალური, ჰინდი და ჩრდილოეთ ინდოეთის სხვა ენები რამდენიმე სამხრეთულ ენასთან ერთად.

მეორე ჯგუფის წარმომადგენელი ენაა თანამედროვე სპარსული და მის მეზობლად გავრცელებული ენები, როგორცაა ოსური, ქურთული, (ან პუშტუ), ავღანეთის ორი ოფიციალური ენიდან ერთ-ერთი პუშტუა, ირანულის ანტიკური ფორმა აღმოჩენილია ავესტაში, ზოროასტრიზმის წმინდა ნაწერებში, რომლებიც დაახლოებით ძვ. წ. აღ. 600 წლით თარიღდება.

კიდევ ერთ განშტოებად, ანტიკური ტექსტებით, გვევლინება ბერძნული, რომლის ლიტერატურაც ძვ.წ.აღ. მეშვიდე საუკუნით თარიღდება. ჰომეროსის ეპოსი, რომელიც დიდი პერიოდის განმავლობაში ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას, კიდევ უფრო ძველი პერიოდიდან მოდის, დაახლოებით მეცხრე, მეათე საუკუნიდან (თუმცა, არა ტროას ომის პერიოდში, რომელიც ძვ.წ.აღ. 1200 წლებია). რამდენიმე წლის წინ მაიკლ ვენტრისმა გაშიფრა კრეტას ნაწერები, რომელმაც გამოავლინა ბერძნულის ვარიანტი, რომელსაც ძვ.წ.აღ.-ით 1400 წელს იყენებდნენ. ბერძნული განშტოება მოიცავს სხვადასხვა ანტიკურ ელინურ დიალექტებს და ერთ-ერთი მათგანის, ატიკურის შთამომავალია თანამედროვე ბერძნული. ორი განშტოება, რომელთაც საერთო ნიშნები ახასიათებთ, გახლავთ იტალიკური და კელტური ენები.

მაგალითად, ორივე განშტოებას აქვს ზმნის ინფლექცია, -r გამოიყენება პასივის საწარმოებლად, როგორც ლათინურში amātur- უყვართ და უელსურად cerir fi- ვუყვარვარ.

იტალიკური ანტიკური იტალიის რამდენიმე დიალექტს მოიცავდა, მათ შორის ლათინურს. ყველაზე ადრინდელი ლათინური ტექსტები ძვ.წ.ად. მესამე საუკუნით თარიღდება, სხვა იტალიკური ენებიდან კი მხოლოდ ფრაგმენტები შემოგვრჩა. კელტური, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ევროპაში, სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: გოიდელური, ბრიტული და გალიური. ზოგჯერ გამოიყოფოდა ჰისპანო-კელტურიც. გალიურად ლაპარაკობდნენ საფრანგეთსა და ჩრდილოეთ იტალიაში რომაული პერიოდის დროს. საბრძოლო ექსპედიციების შედეგად გავრცელდა ევროპასა და მცირე აზიაში. ეს ენა გადაშენდა ქრისტიანულ პერიოდში და მხოლოდ ჩანაწერებით, ასევე კერძო სახელებითა და ტოპონიმების დასახელებებით არის შემონახული ლათინურ ტექსტებში. ბრიტული იყო კელტური განშტოება, რომელიც ანგლო-საქსების შემოსევამდე ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა ბრიტანეთში. ის თანამედროვეობაში სამი ენის სახით შემორჩა: კორნული, რომელიც მეთხუთმეტე საუკუნის ტექსტებიდანაა ცნობილი; უელსური, რომელზეც მოიპოვება ლიტერატურული ტექსტები მეთერთმეტე საუკუნიდან და ბრეტონული, რომლის ლიტერატურული ტექსტები მეთოთხმეტე საუკუნით თარიღდება. გალიური ირლანდიაში გავრცელებული კელტური ენა იყო. შემდეგ ჩამოყალიბდა მისი სამი მთავარი განშტოება- ირლანდიური გალიური, შოტლანდიური გალიური და მენური. ამ ენაზე შემორჩენილი ყველაზე ადრეული ჩანაწერები მეოთხე-მეხუთე საუკუნისაა. ერთ-ერთი ხშირად მოყვანილი განსხვავება ბრიტანულ კელტურსა და გალიურ კელტურს შორის არის ინდოევროპული kw, რომელიც ბრიტანულში გადადის როგორც p, ხოლო გალიურში- როგორც c. მაგალითად, უელსურად კალამი არის 'head', წყვილი 'cauldron', მაგრამ ძველ ირლანდიურში გვევლინებოდა, როგორც -cenn, coire .ამიტომ ამ ორი ჯგუფის ენებს ხანდახან 'P-Celtic' და 'Q-Celtic' უწოდებენ. ასევე განსხვავებულია ინდოევროპული p და გრძელი ē. უმეტეს შემთხვევაში, ინდოევროპული p დაიკარგა კელტურში. მაგალითად, ლათინური plēnus and ბერძნული plērēs - ძველი ირლანდიური lan და

უელსური llawn 'სავსე', ლათინური pater ძველი ირლანდიური athir 'მამა'. კელტურში, ინდოევროპული გრძელი ē გადაიქცა გრძელ ī-დ: ლათინური rēx 'მეფე' - ძველი ირლანდიული rī (genitive rīg), გალური -rīx and უელსური rhi.

კიდევ ორი განშტოება ინდოევროპულისა, რომელთაც საერთო მახასიათებლები აქვთ, გახლავთ ბალტიკური და სლავური. ბალტიკური ენები მოიცავენ ლიტვურს, ლატვიურს და ძველ პრუსიულს (რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეში გაქრა). სლავური განშტოება სამ მთავარ ჯგუფში ერთიანდება: აღმოსავლეთსლავური მოიცავს რუსულს, უკრაინულს და ბელორუსულს; დასავლეთსლავური ენებია პოლონური, ჩეხური, ვენდური, ხოლო სამხრეთსლავურ ჯგუფში შედის სერბო-ხორვატიული, სლოვაკური და ბულგარული. ყველაზე ადრინდელი ჩანაწერები სლავურზე ძველ საეკლესიო სლავურ ენაზეა შემორჩენილი, რომელსაც იყენებდნენ რელიგიურ წერილებში და დათარიღებულია მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებით. ყველაზე მასშტაბურად გერმანიკული განშტოება შეიძლება ჩაითვალოს. ასევე უნდა ვახსენოთ ანატოლიურიც, რომელიც ხეთურის მთავარი წარმომადგენელია და გვევლინება მცირე აზიის ხეთების იმპერიის ერთ-ერთ ენად დაახლოებით ქრ.შ.მდე 1500 წლებში, რომელზეც ბევრი ტექსტშია ჩაწერილი. ხეთური აშკარად დაკავშირებულია ინდოევროპულთან, მიუხედავად იმისა, რომ მისი ლექსიკონი არ არის ინდოევროპული. ზოგიერთი მეცნიერი ირწმუნება, რომ ის წარმოადგენს მშობელი, ძირი ენიდან (PIE) განცალკევების საწყის ეტაპს.

ამ მოკლე მიმოხილვითაც მარტივი მისახვედრია, რამდენად რთული და დიდია ინდოევროპულ ენათა ჯგუფი და ეთნოლოგების მიერ მოწოდებული რიცხვებით თუ ვიმსჯელებთ, ამ ენებზე მოსაუბრე ხალხის რაოდენობის მიხედვით, ის თანამედროვე სამყაროს უდიდეს ნაწილს მოიცავს. 2500 მილიონი ადამიანი საუბრობს რომელიმე ინდოევროპულ ენაზე, როგორც მშობლიურ ენაზე, აქედან 400 მილიონი გერმანიკულ ენებზე საუბრობს, 600 მილიონზე მეტი რომანულ ენებზე, 500 მილიონზე მეტი ინდურ ენაზე და 280 მილიონზე მეტი-სლავურ ენებზე. (Barber et al, 2009).

1.6.2 ინდოევროპული ლექსიკონი

სიტყვები, რომლებიც გვხვდება ბევრ ინდოევროპულ ენაში და რომლებიც არ შეიძლება იყვნენ ნასესხები სიტყვები, სავარაუდოდ, პროტო-ინდოევროპულის ნაწილი იყო. ლექსიკონი ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ ინდოევროპელები მომთაბარე ან ნახევრად მომთაბარე ხალხები იყვნენ. სავარაუდოდ, მათ ჰყავდათ პირუტყვი და ცხვარი, რადგანაც მათი აღმნიშვნელი, საზიარო ბევრი სიტყვა არსებობს ამ ენებში. მაგალითად, ინგლისური ox უელსურად არის ych, სანსკრიტზე uksan- და თოხარულზე oks; ინგლისური ewe დაკავშირებულია ლათინურ ovis-თან და სანსკრიტულ avi-სთან; შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირუტყვი ძვირფასი იყო ამ ტომებისათვის: ძველი ინგლისურისიტყვა feoh, რომელიც შეესაბამება სანსკრიტულ pacu- და ლათინურ pecu, ნიშნავდა ორივეს- 'პირუტყვი' და 'სიმდიდრე'; ლათინური სიტყვა, რომელიც ფულსა და სიმდიდრეს აღნიშნავდა, იყო pecunia, რომელიც ასევე ნიშნავდა პირუტყვსაც. ინდოევროპელებს ნამდვილად ჰყავდათ ცხენები, რომელთა აღმნიშვნელი მდიდარი ლექსიკა შემოგვრჩა. მათ ასევე ჰქონდათ უცხო ტიპის ტრანსპორტი, რადგანაც ენაში მოეპოვებათ ისეთი სიტყვები, როგორცაა wheel, axle, nave და yoke. ინდოევროპულის არსებული ლექსიკონი ადასტურებს, რომ მეურნეობის აღმნიშვნელი მცირე რაოდენობით სიტყვა შემორჩა, თუმცა, არსებობს საერთო სიტყვები მარცვლეულის აღსანიშნად; ბერძნულსა და სანსკრიტს ნათესაური სიტყვები აქვთ ხენისთვისაც, რაც რუფინუსის მოსაზრებას, რომ პროტო-ინდოევროპელები მეურნეობას მისდევდნენ, კიდევ უფრო ამყარებს (Vessey, 2010: 324). ინდოევროპელებს არ აქვთ საერთო, ლუდის აღმნიშვნელი სიტყვა. მეორე მხრივ, მათ არ მოეპოვებათ არც ნადირობისა და თევზაობის აღმნიშვნელი საერთო სიტყვებიც. საერთო სიტყვების მარაგში მოიპოვება ინსტრუმენტებისა და იარაღების, მათ შორის, ისრების ტერმინები და, ასევე, არსებობს მტკიცებულება, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ისინი იარაღს ქვისგან აკეთებდნენ. ლათინური ზმნა secāre „გაჭრა“ დაკავშირებულია saxum-თან „ქვა“, ეს უკანასკნელი კი ძველი ინგლისური სიტყვის seax იდენტურია, რომელიც დანას ნიშნავდა. კონკრეტულ პერიოდში ქვას საჭრელ ინსტრუმენტადაც იყენებდნენ. პროტო-ინდო-ევროპულზე მოსაუბრე ხალხს ჰქონდა ინფორმაცია ლითონის შესახებ, მაგრამ სპილენძისა და ბრინჯაოს ერთი სიტყვით აღნიშნავდნენ, რომელიც ინგლისურ ენაზე

შემორჩენილია, როგორც ore (ლათინური aes, სანსკრიტული ayas). ასევე შეგვიძლია აღვადგინოთ ვერცხლის აღმნიშვნელი სიტყვა პროტო-ინდოევროპულ წინარე ენაში. პროტო-ინდოევროპულ ენაში მეტალურგიის ტერმინები არ მოიპოვება, თუმცა ლექსიკონში არის თიხის აღმნიშვნელი სიტყვა. ასევე, სიტყვათა მარაგში მოიპოვება სახლის, კარის, სახურავის აღმნიშვნელი სიტყვები, რომელიც განვითარებულ სამოსახლო სისტემაზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ აქ არ მოიპოვება სიტყვა „ფანჯარა“. გარეული ცხოველების სახელები მოიცავდა მგელს, დათვს, წავს, თავს, ბოცვერსა და თხუნელას, მაგრამ არა ლომს, ვეფხვს, სპილოს ან აქლემს, რაც მიგვითითებს იმაზე, რომ ადრინდელი ინდოევროპული ტომები გრილ კლიმატში ცხოვრობდნენ. როგორც ცნობილია, ისეთი ტერმინების არსებობა, როგორცაა წიფელი, გველთევზა და ორაგული საკამათო საკითხს იძლევა. წიფელი არ იზრდება ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპაში ან კასპიის ზღვის აღმოსავლეთით, რაც იმას მიგვითითებს, რომ ზოგიერთი ინდოევროპელი მოშორებით, დასავლეთში ცხოვრობდა. ორაგული და გველთევზა არ მოიპოვება იმ მდინარეებში, რომლებიც შავ ზღვაში ჩაედინება, რის გამოც ეს რეგიონი უნდა გამოირიცხოს, თუმცა ამ მოსაზრებებში ორი სუსტი არგუმენტია. პირველი არის ის, რომ კლიმატი ცვალებადია: ქრისტეშობამდე 4000 წელს, რუსეთის კლიმატი უფრო ნესტიანი და თბილი იყო, ვიდრე ახლაა. გარდა ამისა, მდინარეების ნაპირებზე ბევრად უფრო მეტი ხე იყო გაშენებული, რომელთა შორისაც უნდა ყოფილიყო წიფელიც. მეორე მხრივ, რთულია იმის მტკიცება, რომ ეს ტერმინები გამოიყენებოდა იმ მნიშვნელობით, რომლებითაც მათ ახლა ვიყენებთ. მაგალითად, შესაძლოა, რომ სიტყვა ორაგული (გერმანული Lachs, შვედური lax, რუსული losósi, თოხარული 'fish') თავდაპირველად ნიშნავდა არა ორაგულს, არამედ თევზის სახეობას Salmo, რომელიც შავ ზღვაში მოიპოვება. პროტო-ინდოევროპულ ლექსიკონში მოიპოვება მდინარეებისა და ნაკადულების აღმნიშვნელი სიტყვები, თუმცა არ არის ზღვისა და ოკეანის აღმნიშვნელი სიტყვები, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ამ ტომების ტერიტორია არ იყო წყლით შემოსაზღვრული. ასევე მოიპოვება გემის აღმნიშვნელი სიტყვა, რომელიც ლათინურად navis, ხოლო სანსკრიტულში naus იყო. თუმცა, შესაძლოა, რომ ეს სიტყვა, უბრალოდ, აღნიშნავდა მდინარის გადაკვეთის ან თევზაობის საშუალებას.

ინდოევროპული სიტყვების დიდი ნაწილი ეხება ოჯახურ ურთიერთობებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ოჯახი მათ სოციალურ ორგანიზაციაში დიდ როლს თამაშობდა. ინდოევროპული წინარე ენის ლინგვისტური ანალიზი აჩვენებს, რომ ოჯახი მამის ხაზით გადაეცემოდა და როდესაც ქალი თხოვდებოდა, ის ქმრის ოჯახში გადადიოდა საცხოვრებლად. მაგალითად, ინდოევროპულ წინარე ენაში გავრცელებულია სიტყვა რძალი (Latin *nurus*, Greek *nuos*, Sanskrit *snusā*), მაგრამ არ არსებობს კონცეპტის „სიმე“ აღმნიშვნელი სიტყვა. ასევე, გავრცელებულია ქმრის ძმის (მაზლის), დის ან ქმრის ძმების ცოლების (რძალი) დასახელებები, თუმცა იგივე ტერმინებს ცოლის მხრიდან არ ვხვდებით. აზიელებსა და ევროპელებს რამდენიმე საერთო ღმერთიც ჰყავდათ და ისინი ბუნებრივ ძალებს აღნიშნავენ, თუმცა, ასევე საინტერესოა, რომ ისინი არ შეიცავენ დედა ქალღმერთის ან მიწის ქალღმერთის ცნებებს. ღმერთებს შორის უმთავრესი ცის ღმერთია, რომელიც ბერძნულად Zeus, სანსკრიტულად Dyaus და ძველ ინგლისურში Tīw-ად არის მოხსენიებული (Tīw- შემორჩენილია ინგლისურ სიტყვაში სამშაბათი- Tuesday). საინტერესოა, რომ ყველა ეს ტერმინი პროტო-ინდოევროპული სიტყვის ფორმებია. Zeus და Dyaus თავისუფლად შეიძლება განვიხილოთ, როგორც ცის ღმერთის სახელები. ისტორიულ პერიოდში, ინდოევროპული ენების ქვეყნებში ჰყავდათ ქალღმერთები- მაგალითად Minoan Crete. ინდოევროპული წარმოშობის ქალღმერთები ხშირად გვხვდება ზოგიერთ ინდოევროპულ საზოგადოებაში (მაგალითად, კელტურ და გერმანიკულ საზოგადოებაში), თუმცა ცნობილია ისიც, რომ ამ კულტურების პანთეონს ძლიერი ქალღმერთები არ ახასიათებდა (Beeks, 2011).

1. 6. 3 გერმანიკული ენები

პროტოგერმანიკულიდან წარმოშობილი ენები სამ ნაწილადაიყოფა: ჩრდილოეთ, დასავლეთ და აღმოსავლეთგერმანიკულ ჯგუფებად (Harbert, 2007).

აღმოსავლეთგერმანიკულის მთავარი ენა გოთურია. მესამე საუკუნისთვის გოთები უკვე გავრცელებული იყვნენ ვისტულადან შავი ზღვის სანაპიროებისკენ და შემდგომი საუკუნისთვის მისიონერმა ულფილამ ისინი გააქრისტიანა (322-383).

სკანდინავიაში აღმოჩენილი რუნული ჩანაწერების გარდა, ულფილას ჩანაწერები პირველი წყაროა გერმანიკულ ენაზე. გოთებმა ევროპულ ისტორიაში დიდი როლი ითამაშეს, მათ შორისაა მათ მიერ იტალიისა (ოსტგოთები/ოსტგუთები) და ესპანეთის (ვისიგოთები) დაპყრობა. მათი ენა მალე ჩანაცვლდა ლათინურით. გოთური ყველაზე დიდხანს ყირიმში შემორჩა, სადაც მისი ნაშთები მეთექვსმეტე საუკუნეშიც კი აღმოჩნდა. ბურგუნდული და ვანდალური ენები ასევე მიეკუთვნება აღმოსავლეთ გერმანიკულ ენებს, მაგრამ ამ ენებზე მხოლოდ რამდენიმე კერძო სახელიდაა შემორჩენილი (Beeks, 2011).

ტერმინი “საერთოსკანდინავიური” ხშირად გამოიყენება იმ გერმანიკული ენების აღსანიშნად, რომლებზეც სკანდინავიაში საუბრობდნენ დიდი მიგრაციის შემდეგ, სადაც ძალის გადანაწილება ისევ ტომობრივი იყო (C.550-1050). იორდანესა (550) და პროკოპიუსის (554) მიხედვით, სკანდინავიის თანამედროვე ტერიტორიაზე ბევრი ტომობრივი მმართველი არსებობდა, მათ შორის, დინასტიებიც. დანია (the Skjoldungs) და შვედეთსა და ნორვეგიაში (the Ynglings), რომლებიც რუნულ ჩანაწერებშიც არიან ნახსენები, როგორც ძლიერნი. ვიკინგური ხანის (800-1050) ენა ჯერ ისევ ერთსახოვანი იყო, რომელსაც შუა საუკუნეებში Donsk Tunga-დ (დანის ენა) მოიხსენებდნენ. რადგანაც ამ პერიოდიდან არ შემორჩენილა ადგილობრივი ჩანაწერები, ინფორმაცია მათ შესახებ მოპოვებულია უცხოური ტექსტებიდან, სხვა ენებში ასახული ნასესხობებიდან, ტოპონიმიკიდან, რომლებიც ამ პერიოდს მიეკუთვნება, რუნული ჩანაწერებით და გვიანი ჩანაწერებიდან, რომლებიც ასახავენ ან ზეპირ სიტყვიერ ტრადიციებს ან ადრინდელი, უკვე დაკარგული ჩანაწერების ასლებია. რუნულ ჩანაწერებში მცირე რაოდენობით დანიური ტექსტები მოიპოვება, რომელიც დათარიღებულია 600-800 წლებით; ასევე ძალიან მცირე რაოდენობით, , მაგრამ მნიშვნელოვანი ჩანაწერები მოიპოვება შვედურსა და ნორვეგიულ ენებზეც. რუნული დამწერლობა ბრიტანეთის კუნძულზეცაა დადასტურებული, ასევე გრენლანდიასა და ფარერის კუნძულებზე, თუმცა ისლანდიური გასაკვირად იშვიათი და გვიანი პერიოდისაა. შვედეთში დიდი რაოდენობით რუნული ეპიგრაფიკა მოიპოვება ფურტაკზე (Futhark), რომელზეც 2500-მდე ჩანაწერია შემორჩენილი. პოეზიის ფრაგმენტები, რომლებიც რუნულ დამწერლობაზეა აღმოჩენილი,

მიეკუთვნება ძველი ისლანდიური ჩანაწერების მდიდარ პოეტურ ტრადიციას. ვიკინგური ერის ბოლო პერიოდში უკვე აღინიშნება საერთო სკანდინავიურის დაცალკეება ორ განშტოებად- აღმოსავლეთსკანდინავიური, რომელიც მოიცავს დანიისა და სამხრეთ შვედეთის ორ მესამედს და ნორვეგიის რამდენიმე ნაწილს; დასავლეთსკანდინავიური კი მოიცავს ნორვეგიის უმეტეს ნაწილს და ისლანდიას (Beeks, 2011).

დასავლეთგერმანიკული ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეჯგუფია, რადგანაც სწორედ მას მიეკუთვნება ჩვენი კვლევის ერთ-ერთი წამყვანი ენა, ინგლისური. ის იყოფა ორ ნაწილად- ქვედა და ზედაგერმანიკულად, ბგერათა მეორე გადანაცვლების პერიოდიდან გამომდინარე. ამ ცვლილების მიხედვით, გერმანიკული p,t,k ჩანაცვლდა 600 წელს, გერმანიკული არეალის სამხრეთ მთიან რეგიონში, თუმცა იგივე მომენტი არ აისახა ჩრდილოეთში. დასავლეთგერმანიკული ტომები უფრო მცირე ტერიტორიაზე გაფართოვდნენ, აღმოსავლეთ გერმანიკულ ტომებთან შედარებით. დასავლეთგერმანიკული ენის აღმოსავლეთი ქვეჯგუფი ცხოვრობდა დღევანდელი აღმოსავლეთ გერმანიის, ავსტრიისა და შვეიცარიის ტერიტორიაზე. გერმანიკული ჯგუფის დასავლეთი-ნაწილი შუა და ქვედა რაინის ტერიტორიაზე და შემდეგ ჩრდილოეთ საფრანგეთში გავრცელდა. შუა საუკუნეებსა და თანამედროვე პერიოდში დასავლეთგერმანიკული ტომები ცხოვრობდნენ გერმანულად მოსაუბრე ტერიტორიაზე და საუბრობდნენ ზედაგერმანულ ენაზე. ამ ენის სხვადასხვა დიალექტი შემონახულია მერვე საუკუნის წერილობით წყაროებში. კერძოდ, ძველი ზედაგერმანული (OHG) დათარიღებულია 750-1050 წლებით; შუაზედაგერმანული (MHG) თარიღდება 1050-1350 წლით. ახალი, ანუ თანამედროვე გერმანული გამოიყენებოდა ოდერისა და ელბის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ანგლებმა, საქსებმა და იუტებმა ჩამოაყალიბეს ახალი გერმანიკული დიდი ბრიტანეთის მოსახლეობა, რომელთა ენაც გარკვეული პერიოდის შემდეგ იწოდა ინგლისურად და შემორჩენილია მერვე საუკუნის ჩანაწერებიდან.

ძველი ინგლისურის პერიოდებია c 700-110 BC, მას შემდეგ მოსდევს შუაინგლისური C 1100-1450 და ახალი ინგლისური c 1450-დან დღემდე. (ზიკი, 2009).

1. 6. 4 ინგლისური ენა

ინგლისური ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი და პოპულარული ენაა, რომელზეც მხოლოდ გაერთიანებულ სამეფოში, ამერიკასა და ბრიტანეთის ყოფილი შემადგენლობის ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანების ჩათვლით, 380 მილიონი საუბრობს. ის ყველაზე ფართოდ გავრცელებულია დასავლეთ ევროპულ ენებს შორის და ითვლება დომინანტ ენად იქ, სადაც ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობა მნიშვნელოვანია. როგორც აღვნიშნეთ, ინგლისური ენა, თანამედროვე სახით, ჩამოყალიბდა ბრიტანეთში როგორც “ემიგრანტების ენა”, რადგანაც ბრიტანეთის თავდაპირველი მოსახლეობა, როგორც ვიცით, კელტურ ენებზე საუბრობდა. ინგლისური ენა სათავეს იღებს ინდოევროპული ენების გერმანიკული ჯგუფიდან, ხოლო იგი ბრიტანეთის კუნძულზე ანგლო-საქსონებთან ერთად მოვიდა ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნეში. მანამდე ამ ენას ჩრდილოეთის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე იყენებდნენ აქ მცხოვრები ტომები (Baugh & Cable, 2002).

რადგანაც ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვანია ინგლისური ენის პერიოდიზაციის მონაცემები, გვინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ინგლისური ენის ისტორია სამ ძირითად პერიოდად იყოფა, რომელთაგანაც თითოეული რამდენიმე საუკუნე გრძელდებოდა. ყველაზე ადრეული პერიოდი ძველი ინგლისურია, რომელიც 440 წელს ბრიტანეთის კუნძულზე გერმანიკული ტომების გამოჩენით იწყება, რომლებმაც, მოგვიანდებით, ინგლისელი ერის შექმნაში მიიღეს მონაწილეობა. ძველი ინგლისურის პერიოდი ინგლისური ენის ისტორიაში დასრულდა 1066 წელს, ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობით. ინგლისური ენის ევოლუციის მეორე პერიოდი, საშუალო ინგლისური 1100 წელს დაიწყო და 1500 წელს დასრულდა. ეს პერიოდი ძალზედ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ინგლისური ენისთვის, რადგანაც ამ დროს განხორციელდა უამრავი უმნიშვნელოვანესი ცვლილება. ზოგიერთი ამ ცვლილებათაგანი გამოწვეული იყო ნორმანების შემოსევით, ზოგიერთი კი უკავშირდებოდა ჯერ კიდევ ძველ ინგლისურში დაწყებულ მოვლენებს. შუა ინგლისურისთვის ასევე დამახასიათებელი იყო სიტყვების აქტიური სესხება ფრანგულიდან. ბოლო პერიოდი, რომელიც ცნობილია თანამედროვე ინგლისურის სახელით, დაიწყო 1500 წელს და გაყოფილია ორ ნაწილად. ადრეული

თანამედროვე ინგლისურის პერიოდად ითვლება 1500-1800 წლები, ხოლო გვიანი თანამედროვე ინგლისური დაიწყო 1800 წელს და დღემდე გრძელდება. ადრეული პერიოდისთვის დამახასიათებელია მრავალი მნიშვნელოვანი განვითარება, მაგალითად საბეჭდი მანქანის გამოგონება და მასობრივი განათლების სწრაფი განვითარება, მზარდი კომუნიკაცია და კომუნიკაციის საშუალებების განვითარება, სპეციალიზებული ცოდნის ზრდა და ენასთან დაკავშირებული ცნობიერების ამღვლეების დასაწყისი (Baugh & Cable, 2002). ომების, შემოსევების, მოგზაურობებისა და სოციალური, ინდუსტრიული და მეცნიერული განვითარების ფონზე ინგლისური ენა დინამიურ და სწრაფად ცვალებად ენად ჩამოყალიბდა. ითვლება, რომ ინგლისურის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია მისი სიტყვების მრავალფეროვნება და დიდი რაოდენობა, რომელიც მეცნიერების განვითარებისა და მიღწევების შედეგად დაიწყო და რომელიც ბოლო 200 წელია მიმდინარეობს (Baugh & Cable, 2002).

გერმანიკული ტომების ბრიტანეთის კუნძულზე გადმოსახლება და მათი განცალკევება გადამწყვეტი მოვლენა აღმოჩნდა მომავალი ინგლისური ენის ისტორიაში. მონათესავე ენებისგან განცალკევების შემდეგ, დასავლეთგერმანიკული დიალექტი ცალკე ენად - ინგლისურად, ჩამოყალიბდა. თუმცა, მისი ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე დიალექტები სხვაგვარად განვითარდნენ. ერთი მხრივ, ძველმა ინგლისურმა (OE) მიიღო რაღაც საერთო მახასიათებლები, რომლებიც განასხვავებდა მას კონტინენტური გერმანიკული ენისგან. მეორე მხრივ, ის ხელს უწყობდა ადგილობრივი დიალექტების განსხვავებასა და მათ ჩამოყალიბებას ოთხ დიალექტად- კენტურ, დასავლეთ საქსონურ, მერციულ და ნორთუმბრიულ დიალექტებად. ლათინური ენიდან ამ პერიოდში შემოსული სიტყვების უმეტესობა ვაჭრობასა და სამხედრო თემატიკას ეხება; მაგალითად. სიტყვები *segn* (ალამი, დროშა), *camp* (ბრძოლა) *pīl* (შუბი), *pytt* (ორმო) მიეკუთნებიან ომის სფეროს, ხოლო სიტყვები *cēap* (იაფი, იაფად ყიდვა), *mangunghūs* (მაღაზია, ვაჭრობა *mangian*), *mydd* (საწყაო), *seam* (ტვირთი, სესხი) მიეკუთვნება ვაჭრობის სფეროს; გარდა ამისა, გამოიყოფა სახლთან, კერასთან დაკავშირებული ერთეულები, როგორცაა *wīn* (ღვინო), *eced* (ძმარი), *flasce* (ბოთლი), *cytel* (ჩაიდანის *catillus*, *catinus*), *mēse* (მაგიდა),

pyle (pulvinus: ბალიში), cuppe (cuppa: ფინჯანი), cycne (სამზარეულო: coquina), disc (თეფში, ჭურჭელი: discus).

ცხადია, ლათინურის ყველაზე დიდი გავლენა ძველ ინგლისურზე განპირობებული იყო ბრიტანეთის გაქრისტიანებით 597 წელს. ლათინური ეკლესიის ენა იყო. გაქრისტიანების შემდეგ უმეტეს სკოლებსა და მონასტრებში დააარსდა სკოლები და ზოგიერი თავიანთი მასწავლებლებითაც კი გახდა ცნობილი. საინტერესოა, რომ ქრისტიანობის შემოსვლისა და ძველი ინგლისურის დასასრულს შორის 500 წელია. საფიქრებელია, რომ ქრისტიანობის პირველი ტალღა მეშვიდე საუკუნეში დაიწყო, რამაც გამოიწვია ლათინური სიტყვების ლექსიკონში სწრაფი დაფიქსიერება. ახალ რელიგიას თან აუცილებლად სდევს ახალი კონცეპტების დამკვიდრება და ადგილობრივი ენაა მისთვის არაადექვატური აღმოჩნდა. ენის გამდიდრება ეტაპობრივად მოხდა. თუმცა, ამ პერიოდში ნასესხები ტიპიურ სიტყვათა უმრავლესობა რელიგიური შინაარსის იყო (Baugh & Cable, 2002).

მე-10 საუკუნის დასასრულს, ათელვორდმა მოამზადა ბენედიქტური კანონების ვერსია, რომელიც ცნობილია, როგორც Concordia Regularis. ამ რეფორმის შედეგად დაარსდა სკოლები და ხელი შეეწყო საეკლესიო პირებთან და მონაზვნებთან ერთად სწავლას. ზოგადად, ეს რეფორმა შეიძლება შევაფასოთ, როგორც რელიგიის გამოცოცხლება და განათლების გაუმჯობესება.

ამ პერიოდში, განახლებული ლიტერატურული პროცესებიდან გამომდინარე, ბევრი ლათინური სიტყვა გადმოვიდა ენაში და საინტერესოა, რომ ამ პერიოდს ემთხვევა მეცნიერული აზრის ევოლუციაც. მაგალითად, ალფრიკის ნამუშევრები ასახავს თეოლოგიურ და პედაგოგიკურ თეორიებს. ინგლისური ყოველთვის არ იღებდა ახალ სიტყვას ახალი კონცეპტების აღსანიშნად. ხშირად ხალხი ცვლიდა ძველ სიტყვას ახალი მნიშვნელობის გადმოსაცემად. მაგალითად, ლათინური deus ანგლო-საქსურში გადმოვიდა, როგორც ღმერთი, სამოთხე და ჯოჯოხეთი; პატრიარქი-hēahfæder (high father, მაღალი მამა), prophet (wītega, წინასწარმეტყველი), martyr (prōwere, მოწამე) და saint (hālga, წმინდანი). ინგლისელები იყენებდნენ „საკუთარ“ სიტყვებს ისეთი ცნებების აღსანიშნად, როგორცაა læran (სწავლება), biddan (ლოცვა; Latin precāre) or bodian (ინფორმაციის გადაცემა). ძველი ინგლისური

პერიოდის დამთავრებამდე, ბრიტანეთის გაქრისტიანების გამო ლექსიკაში 450-მდე ლათინური სიტყვა გვხვდება. ეს რიცხვი არ მოიცავს ბიბლიურ სახელებსა და ფორმებს. უცხოური გავლენის ყველაზე დიდი გამოცდა მისი ასიმილაციის ხარისხია. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, საინტერესოა, როგორ შეერწყა შემოტანილი სიტყვა უკვე არსებულ სიტყვათა მარაგს ან როგორ შეიცვალეს სიტყვებმა ფორმა, მაგალითად, ლათინური *planta* ინგლისურში შემოვიდა, როგორც *plant* და მოგვიანებით, როგორც *plantain* ინფინიტივის ფორმით–*ian* (Baugh & Cable, 2002).

ვიკინგების ხანა, რომელიც მერვე საუკუნიდან მეთერთმეტე საუკუნემდე გაგრძელდა, ხასიათდება დიდი სკანდინავიური ელემენტების შემოტანით არა მხოლოდ გეოგრაფიული ადგილების სახელებში, არამედ ისეთ საკითხებშიც კი, როგორცაა მიცვალებულების დაკრძალვის რიტუალები, ადგილობრივი მმართველობა, იურიდიული პროცედურები და მისთანანი. შემოსევებისა და სკანდინავიური დასახლებების დაარსების შემდეგ ორი ენა თანაცხოვრობდა. არსებობდა საზოგადოებები, სადაც დანიური და ნორვეგიული შემორჩა ძირითად ენად. შოტლანდიის გარკვეულ ნაწილებში ნორვეგიულად მეჩვიდმეტე საუკუნეშიც კი საუბრობდნენ. ამ ორი ენის სიტყვები ხშირად იდენტური იყო და რომ არა ძველ ინგლისურ ენაზე შემორჩენილი ლიტერატურა, დანიელების შემოსევების შემდეგ ჩვენ ვეღარ შევძლებდითი მის გარჩევას, თუ რომელი სიტყვა იყო ან არ იყოს სკანდინავიური წარმოშობისა. მაგალითად, OE *scyrte* გახდა *shirt*, მაშინ როცა შესაბამისი ON ფორმა *skyrta* გვაძლევს ფორმას *skirt*. ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი გავლენა სკანდინავიელებმა მოახდინეს ინგლისურ ტოპონიმიკაზე. ასეთი წარმოშობის 600-მდე ადგილის პოვნაა შესაძლებელი- Grimsby, Whitby, Rugby, Thoresby, ყველა მათგანი by-ზე მთავრდება და ნიშნავს ქალაქს ან ფერმას. სკანდინავიური სიტყვები ინგლისურში ნაკლები რაოდენობითაა, რადგანაც მათ ინგლისელებთან, მტრული დამოკიდებულების გამო, ნაკლები ურთიერთობა ჰქონდათ.

რადგანაც სკანდინავიელები, ძირითადად, ასოცირდებიან მეზღვაურ და მტაცებელ ხალხთან, შესაბამისი სიტყვები შენარჩუნდა ინგლისური ლექსიკის

სისტემაში: *barda* (ბარჟა), *cnearr* (მცირე ზომის საბრძოლო გემი), *scegp* (ხომალდი), *lip* (ფლოტი), *dreng* (მეომარი), *bātswegen* (მენავე), *orrest* (ბრძოლა). საკმაოდ ბევრი ძველი ინგლისური სიტყვა სკანდინავიური ტერმინის თარგმანია, მაგალითად: *bōtlēas* (ის, რისი კომპენსირებაც არ შეიძლება); *hāmsōcn* (მტრის საკუთარ ბანაკში, ტერიტორიაზე დაჯახბნა); *landcēap* (მიწის ნაკვეთის ყიდვის დროს გადახდილი ბეგარა).

სკანდინავიური ელემენტები ინგლისურში, ძირითადად, ყოველდღიური ცხოვრების გზით შემოვიდა, რომლებიც მოიცავს არსებით სახელებს: *band*, *bank*, *brink*, *gap*, *rift*, *root*, *scab*, *dregs*, *egg*; ზედსართავეებს: *awkward*, *flat*, *ill*, *loose*, *low*, *meak*, *odd*; ზმნებს: *bait*, *bask*, *batten*, *call*, *cast*, *clip*, *crave*, *flit*, *gape*, *get*, *give*, *glitter*, *take thrive*, *thrust* და ასე შემდეგ. სკანდინავიური ტერმინები არ მოიცავდა მხოლოდ არსებით სახელებს, ზედსართავეებსა თუ ზმნებს, არამედ ისინი გავრცელდა წინდებულებზეც, ნაცვალსახელებზე, ზმნიზედებზე და ზმნა *to be*-ს გარკვეულ ფორმებზე, მაგალითად:

სკანდინავიური	ძველი ინგლისური
They	hīe
Their	hiera
Them	him (Baugh & Cable, 2002).

ნორმანების დაპყრობის შემდეგ, ძველი ინგლისური უცხად არ გამქრალა, რადგანაც დასავლეთსაქსონური ლიტერატურული ტრადიცია გარკვეულ მონასტრებში კიდევ რამდენიმე ხანს გაგრძელდა. მაგრამ დაპყრობის შემდეგ, ის ცვლილებები, რომლებიც მათ შემოსევამდე დაიწყო, კვლავ გაგრძელდა. ის ცვლილებები, რომლებიც არ აისახა ძველ ინგლისურში ან მხოლოდ იშვიათად ჩანდა მართლწერაში, ახლა უფრო აშკარად გამოჩნდა (Barber et al, 2009).

საშუალო ინგლისურზე უმნიშვნელოვანესი და ყველაზე დიდი გავლენა მაინც ფრანგულს ჰქონდა. ნორმანების დაპყრობამ დიდი გავლენა იქონია ინგლისურ ენაზე, როგორც თავის დროზე სკანდინავიელების შემოსევამ საშუალო ინგლისურზე. მაგალითისთვის მოგვყავს ნაწყვეტი, რომელშიც პირველი სიტყვა ან ფრაზა არის “უძღები შვილის” ძველი ინგლისური თარგმანი (მოცემულია ბიბლიოგრაფიაში),

ხოლო მეორე არის მისი საშუალო ინგლისურის თარგმანი (ასევე მოცემულია ბიბლიოგრაფიაში):

æhta catel 'property' burhsittende man citeseyn 'citizen' dæġ porcioun 'portion' dæġde departide 'divided' forwear ð perischid 'perished' gælsa lecherously 'lechery, lecherously' genōh plente 'enough, plenty' gewilnode coueitide 'wanted, coveted' gewistfullian make we feeste 'let us feast' mildheortness mercy 'mercy' rīce cuntre 'country' þ ēow seruaunt 'servant' wræclīce in pilgrymage 'abroad, traveling'

თითოეულ შემთხვევაში, პირველი სიტყვა ინგლისურია, მეორე კი წარმოადგენს ან შეიცავს ფრანგულ სიტყვას. რამდენიმე შემთხვევაში თანამედროვე ინგლისურის თარგმანი განსხვავებულია ძველი ფორმებისგან: მიუხედავად იმისა, რომ საშუალო ინგლისურის catel შემონახულია, როგორც cattle, მისი მნიშვნელობა დაზუსტდა. თუმცა, უმეტესობა ფრანგული სიტყვებისა უცვლელად მოიპოვება დღევანდელ ინგლისურ ენაში. ფრანგული სიტყვებით ინგლისურის გაჯერება, რომელიც საშუალო ინგლისურში დაიწყო, თანამედროვე პერიოდში კიდევ უფრო გამძაფრდა (Algeo & Pyles, 2005).

თანამედროვე ინგლისურის პერიოდი გაყოფილია ორ ნაწილად, ადრეულ და გვიან თანამედროვე ინგლისურად. ეს პერიოდები განიცდიან სხვადასხვა ცვლილებებს და სოციო-პოლიტიკურ პერიოდებს.

მეთექვსმეტე-მეთვრამეტე საუკუნეები მიიჩნეოდა რევოლუციური განვითარებების პერიოდად, რომელმაც ინგლისურს კარი გაუღო მსოფლიო ენის სტატუსის მოსაპოვებლად. 1800 წლიდან მოყოლებული ინგლისური ენის ისტორია არის ენის არეალის გაფართოების ისტორია. გეოგრაფიულად, ინგლისური მსოფლიოში გავრცელდა ჯერ ბრიტანული კოლონიზაციის, მოგვიანებით კი ამერიკული პოლიტიკის შედეგად. (Barber, 2009).

1.6.5 ინდოირანული ენების ჯგუფი

ინდოირანული ენათა ჯგუფი (ირანულს აქვს იგივე ძირი, როგორც სიტყვას „არიული“) ერთ-ერთი ყველაზე ძველი ენათა ჯგუფია, რომელზეც ისტორიული

ჩანაწერები მოგვეპოვება. ვედური ჰიმნები, სანსკრიტის ძველ ფორმაზე დაწერილი, ქრისტესშობიდან 1000 წელს ითვლის, მაგრამ ასახავს პოეტურ ტრადიციას, რომელიც ორი ათასწლეულის წინანდელია. კლასიკური სანსკრიტი ქრისტესშობიდან 500 წელს ჩნდება. ის ბევრად უფრო სისტემურია, ვიდრე ვედური სანსკრიტი, რადგანაც მასზე გრამატიკოსებმა იმუშავეს და შეადგინეს მისი გამოყენების წესები; თვითონ სახელწოდება „სანსკრიტი“ ნიშნავს „გაუმჯობესებულს“. ინდოელ გრამატიკოსებს შორის ყველაზე გამორჩეული პანინი იყო, რომელმაც მაშინ, როცა (დაახლოებით, ქრ.შ.-მდე მეოთხე საუკუნე) როდესაც ბერძნები ჩართულები იყვნენ ეტიმოლოგიის კვლევის საკითხებში, მან სანსკრიტის გრამატიკა შექმნა, რომელიც დღემდე იმსახურებს ყურადღებას. ანტიკური ხანის სხვა ინდოელმა მეცნიერებმაც დაწერეს ნაშრომები, რომელთა მეშვეობითაც შემონახულია ძველი საეკლესიო ლიტერატურა, რომელიც ბერძნულსა და რომაულს ბევრად უსწრებს წინ ქრონოლოგიურად. საინტერესოა, რომ სანსკრიტი როგორც წერილობითი ენა, არ მომკვდარა და აქვს ისეთივე სტატუსი, როგორც ლათინურს შუა საუკუნეებისა და რენესანსის ევროპაში. ინდური დიალექტები ბევრად უფრო ადრე განვითარდა, ვიდრე სანსკრიტი გახდებოდა დახვეწილი და გამოყენებული ენა. ცნობილია, რომ მათ პრაკრიტებს (ეს ტერმინი ნიშნავს ბუნებრივს, რომელიც ეწინააღმდეგება სანსკრიტს - კარგად შექმნილს, გაუმჯობესებულს) უწოდებენ და მათ შორის რამდენიმემ, განსაკუთრებით პალიმ, რომელიც ცნობილია როგორც ბუდიზმის რელიგიური ენა, მაღალ ლიტერატურულ სტატუსს მიაღწია. პრაკრიტებიდან მოდის რამდენიმე ინდური, არადრავიდული ენა, რომელთა შორისაც ყველაზე ცნობილია ბენგალური, ჰინდი და ურდუ. ძველი სპარსული თანამედროვე ირანულის წინაპარია. ეს ენა გამოიყენებოდა იმ რეგიონში, რომელსაც ბერძნები პერსისად მოიხსნიებდნენ, თავად ირანელები კი ფარსად და რომლის მაცხოვრებლებიც ჩვენ წელთაღრიცხვამდე მეექვსე საუკუნეში დარიოს დიდის მმართველობის ქვეშ მთავარი ტომი გახდა. ბევრი სპარსი ინდოეთში გადასახლდა, განსაკუთრებით კი ირანის მუსლიმური დაპყრობის შემდეგ მერვე საუკუნეში. ავესტური, კიდევ ერთი ირანული ენა, წმინდა ენაა, რომელზეც ზოროასტრელთა რელიგიური წიგნი ავესტაა დაწერილი. ამ წიგნის მიხედვით დაერქვა ენას ავესტის ენა ან ავესტური. ავესტას, რომელიც იყო ზარათუშტრას

(ბერძნული წარმოთქმით, ზოროასტერის) ენა, არ ჰყავს უშუალო მემკვიდრე ენები (Algeo & Pyles, 2005)

ირანულ ენათა შორის უმნიშვნელოვანესი ენაა სპარსული, თავისი სამი ძველი, საშუალო და ახალი პერიოდით (ირანული), რომელიც არის ანტიკურობისა და, ასევე, თანამედროვე ირანის უპირველესი ენა. სხვა ენებია პუშტუ, რომელსაც იყენებენ ავღანეთსა და პაკისტანში, ქურთული- ქურთების ენა, ტაჯიკური, რომელიც გამოიყენება ტაჯიკეთში, ოსური- გამოიყენება რუსეთსა და საქართველოში და ბელუჯი, რომელსაც იყენებენ პაკისტანსა და ირანში. ირანულ ენებზე დაახლოებით 125 მილიონი ადამიანი საუბრობს. ირანული და ინდური ენები წარმოადგენენ ინდოევროპული ენათა ოჯახის ინდოირანულ ქვეჯგუფს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეშვიდე საუკუნეში ჩამოყალიბდა ზოროასტრიზმი, რომლის წმინდა ტექსტები დაწერილია ირანული ჯგუფის ენაზე- ავესტაზე. შემდგომ საუკუნეში, სპარსეთის იმპერიის ძლიერებიდან გამომდინარე, სპარსული ძველი მსოფლიოს ერთ-ერთ მთავარ ენად იქცა. მეშვიდე საუკუნეში ისლამური დაპყრობის შემდეგ, (ირანული) სპარსული არაბულ დამწერლობაზე გადავიდა. მეორე მსოფლიო ომამდე, საბჭოთა მთავრობამ შექმნა კირილიცაზე დაფუძნებული ანბანი ტაჯიკებისა და ოსებისთვის, ასევე ქურთებისთვის, რომლებიც საბჭოთა კავშირში გამოიყენებოდა.

ქრისტესშობამდე პირველ ათასწლეულში ირანული ენები გადანაწილებული იყო დიდ ტერიტორიაზე და მოიცავდა არა მხოლოდ ირანსა და ავღანეთს, არამედ ცენტრალურ აზიასა და მთელ ევრაზიულ სტეპებს, სულ მცირე დნეპრისა და ენისეის დელტებს. ირანული ენები დაყოფილია ორ მთავარ ჯგუფად- აღმოსავლურ და დასავლურ ენებად. აღმოსავლური განშტოება მოიცავს ავესტურს¹, რომელიც ზარატუშტრას რჯულის ლიტურგიული ენაა. ავესტა არის რელიგიური ჰიმნებისა და ჰაგიოგრაფიული ნაშრომების ნაკრები, რომელიც მეოთხე საუკუნემდე არ ჩაწერილა და ზეპირსიტყვიერებით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. რიგვედისგან განსხვავებით, მისი ზეპირსიტყვიერებით გადაცემისას ბევრი პრობლემა წარმოიშვა და რთულია საწყისი ნაწილების ზუსტად აღდგენა. ესენია გათები, ჰიმნები,

¹ თუმცა ავესტის წარმომავლობის საკითხი დღემდე გაურკვეველია. დაბეჯითებით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ის არ მიეკუთვნება ირანულ ენათა სამხრეთ-დასავლურ ჯგუფს.

რომლებიც თვით ზარატუსტრამ დაწერა. ავესტაში უფრო გვიანი პერიოდის მასალაც მოიპოვება. უძველესი ელემენტები და თარიღებულია ქრისტესშობამდე ათასწლეულით და ემთხვევა რიგვედას პერიოდს. აღმოსავლეთირანული ენები მოიცავს ისეთ ენებს, რომლებიც საშუალო ირანულ პერიოდს მიეკუთვნებიან. აღმოსავლეთ ირანის ენების უმეტესობა გაქრა იმ ენების გარდა, რომელზეც მთიან რეგიონებში საუბრობდნენ და ისინი შემორჩნენ ახალ ირანულ ენობრივ პერიოდში. აღმოსავლეთ ირანული ტომები დასახლნენ კავკასიაში. ისინი დღეს ოსების ან ალანების სახელით არიან ცნობილი². მათი ენა ღირებულ წყაროს წარმოადგენს ირანულ ენათა ისტორიის შესასწავლად. თანამედროვე აღმოსავლურ ირანულ ენებს მიეკუთვნება ასევე პუშტუ - ავღანეთის ერთ-ერთი სახელმწიფო ენა, პამირული ენები, იაღნობური და მუნჯან-იიდლა.

ძველ სპარსთა და მიდიელთა ენები, რომლებიც დასავლეთირანულ ჯგუფს მიეკუთვნებიან შუა აზიიდან გავრცელდა ჩრდილო-დასავლეთ ირანში. ძველი სპარსული ტექსტები შემონახულია კლდეზე ამოკვეთილი ლურსმული დამწერლობით. ეს მასალა არაა ვრცელი და მასში ხშირად მეორდება მთელი პასაჟები, თუმცა იგი ავესტის ენასთან წარმოადგენს უმთავრეს წყაროს ძველ ირანულ ენათა შესასწავლად.

საშუალო ირანული პერიოდისთვის ცენტრალურ ენად საშუალო სპარსული გვევლინება თავისი იდეოგრაფიული დამწერლობით.

ირანულ ენათა ჯგუფს ბევრად უფრო მეტი ენა მიეკუთვნება, ვიდრე ეს ამ ნაშრომშია მითითებული. ავესტის ენასა და ძველი სპარსულზე დაწერილი დოკუმენტები ხშირად შედარებულია სანსკრიტულ წყაროებთან. მეცნიერები ხშირად იყენებენ საშუალო და თანამედროვე ირანულ ენათა მასალას ინდოირანული ლექსიკონის შესავსებად (მალროი და ადამსი, 2006).

არაბთა შემოსევების შემდეგ ირანულ ენათა ისტორიაში იწყება ახალირანული პერიოდი. ამ პერიოდიდან სპარსული განიცდის არაბულის მძლავრი გავლენას.

სპარსული მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძველი ენაა, რომელიც ქრისტესშობამდე მეექვსე საუკუნეში წარმოქმნილი სპარსეთის იმპერიის

² მათ წინაპრებს ბერძნები სკვითებად მოიხსენიებდნენ.

ოფიციალური ენა იყო. ის ყველაზე მნიშვნელოვანია ინდოევროპულ ენათა ჯგუფის ირანულ ენათა შორის. ცნობილია, რომ სპარსეთის იმპერიას დასაბამი დაედო დარიოს დიდის მიერ ქრ.შ.-მდე 550 წელს. მისი ენა, რომელიც ცნობილია, როგორც ძველი სპარსული, იყენებდა ლურსმულ დამწერლობას, რომელსაც ძველი მსოფლიოს ბევრი ხალხი იყენებდა. იმპერიის რელიგია ზოროასტრიზმი იყო, რომლის წმინდა ტექსტები დაწერილი იყო ავესტზე. იმპერია დაინგრა ქრ.შ.-მდე 330 წელს, როდესაც იგი ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო.

საშუალო სპარსული სასანიანთა დინასტიის მეფობის პერიოდის ენა³. ეს დინასტია 226 წელს გამეფდა. საშუალო სპარსული ხშირად შეცდომით მოიხსენიება ფალაურ ენად, თუმცა ფალაურ, ანუ pahlavik რეალურად ნიშნავს პართულს - საშუალო ირანული პერიოდის კიდევ ერთ სამწერლობო ენას. საშუალო სპარსული დამწერლობა იდეოგრაფიულია და იყენებს არამეულ ანბანს.

651 წელს სპარსეთი არაბებმა დაიპყრეს, რომლებმაც ისლამი დაამკვიდრეს და ირანში შემდგომი 4 საუკუნის განმავლობაში იმეფეს. მიუხედავად იმისა, რომ საშუალო სპარსული, როგორც ოფიციალური ენა საუკუნეების მანძილზე ჩანაცვლდა არაბულით, სპარსეთმა ზოგადად მაინც მოახერხა იდენტობის შენარჩუნება და ენობრივი აღორძინება ახალი სპარსულის ხარჯზე.

არაბების შემდეგ სპარსეთს სელჩუკები შეესივნენ, თურქული ტომები, რომლებიც მეთერთმეტე საუკუნეში გაძლიერდნენ. სელჩუკები ისლამის მიმდევრები გახდნენ და შეისწავლეს თავიანთი სპარსი მასწავლებლებისა და მრჩეველების ენა. სპარსული იყო ასევე მოგოლთა იმპერიის ოფიციალური ენა, მისი ვარიანტები გამოიყენება ტაჯიკეთში და იყენებს კირილიცას ანბანს (კატზნერი, 2002).

ავესტის ენა შემონახულია სპარსეთის წმინდა წიგნებში. ავესტური ენა, ძველ სპარსულთან ერთად, ყველაზე ძველი ირანული ენაა. საჭიროა სიზუსტე, როდესაც ვიყენებთ ტერმინს “ირანული”, რადგანაც ამ ტერმინების ლინგვისტური და გეოგრაფიული გამოყენება ერთმანეთისგან განსხვავდება. ავესტის ორი ვარიანტი არსებობს: ძველი ავესტა, ასევე ცნობილი როგორც გათების ავესტი [Gāthās] და ახალი

³ უცნობია საშუალო სპარსულის ჩამოყალიბების ათვლის წერტილი, რადგან ძველ და საშუალო სპარსულ ტექსტებს შორის ექვსსაუკუნოვანი ნაპრალია და ამ მონაკვეთში არ ჩანს არცერთი ირანული ტექსტი.

ავესტი. მათ შორის განსხვავება არის როგორც ქრონოლოგიური (დიაქრონული), ისე დიალექტური (გეოგრაფიული).

არსებობს სხვა ძველი ირანული ენებიც, თუმცა მათზე ძალიან მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება. მათ შორისაა, მაგალითად, სკვითური, ოსურის წინაპარი ენა. აღსანიშნავია, რომ ენათა ოჯახის ხე ბოლომდე არ ასახავს ისტორიულ სინამდვილეს და მასში მოიძებნება რამდენიმე პრობლემა, თუ ამ ხეს სინქრონული პოზიციიდან შევხედავთ. დღემდე უცნობია, თუ ზუსტად სად და როდის საუბრობდნენ ავესტურ ენაზე, თუმცა, იქიდან გამომდინარე, თუ როდის და სად ცხოვრობდა ზარატუშტრა, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ეს ენა გამოიყენებოდა აღმოსავლეთ ირანში, დაახლოებით ქრ.შ.-მდე მეათე საუკუნეში (მარტინესი და დევანი, 2014).

ავესტა დღემდე ხელნაწერების სახით შემოგვრჩა, რომელთაგანაც უძველესი დათარიღებულია 1288 წლით. გელდნერის მნიშვნელოვან გამოცემას პროლეგომენას სერიები მოჰყვა, სადაც ყველა ხელნაწერი დეტალურად დანაწილებული და განხილულია კლასიკური ფილოლოგიის თვალთახედვით. პროლეგომენაში წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ინფორმაცია, განსაკუთრებით კი იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გელდნერის მიერ წარმოდგენილი მასალის გარკვეული ნაწილი სრულიად დაკარგულია. ერლანგენის წრემ, ჰოფმანის ხელმძღვანელობით, დიდად განავითარა ავესტის შესწავლა ბოლო ათწლეულების განმავლობაში. საშუალო სპარსულ ლიტერატურაში, ბევრი ისეთი ტექსტია ნახსენები, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოსულა. არქეტიპი, რომელსაც აირეკლავს ავესტის ხელნაწერები, სავარაუდოდ, სასანიანთა პერიოდის ტრადიციას (დაახ. 224-651).

ახალი სპარსული, რომელიც ინდოევროპული ოჯახის ინდოირანული ჯგუფის წევრი, სტრუქტურული თვალსაზრისით, მკვეთრად განსხვავდება ძველი სპარსულისგან, რომელიც აქემენიდური იმპერიის ძირითადი ენა იყო (ძველი წელთაღრიცხვით VI-IV საუკუნეები). ის ასევე განსხვავდება საშუალო სპარსულისგან, სასანიანების ენისგან, რომელიც III-VII საუკუნეებში გამოიყენებოდა. თანამედროვე ფორმა სპარსულმა მე-10 საუკუნეში მიიღო და მას შემდეგ შედარებით მცირედ შეიცვალა როგორც ლექსიკონის, ლექსიკოლოგიური სისტემების, ისე

გრამატიკული და სინტაქსური კონსტრუქციების თვალსაზრისით (Thackston, 2009). კლასიკური სპარსული იქცა პოეზიისა და მისტიური გამონათქვამების ენად. მონღოლების შემოსევების შემდეგ, მეცამეტე საუკუნეში, სპარსული გახდა ლიტერატურისა და კულტურის მედიუმი არაარაბულ ისლამურ სამყაროებს შორის, კონსტანტინოპოლიდან ბენგალამდე და ცენტრალური აზიიდან ინდოეთამდე. სპარსულმა საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნა მაღალი კულტურის მქონე და ლამაზი დამწერლობის ენის რეპუტაცია და სახელი. ახლა სპარსული ენა ირანის ოფიციალური ენაა, თუმცა არის ისეთი ტერიტორიებიც, სადაც სპარსული არ ითვლება მშობლიურ ენად. სპარსულად საუბრობენ ავღანეთში, სადაც ის პუშტუსთან ერთად ოფიციალური სტატუსის მქონე ენაა და დარიდ იწოდება. ავღანეთში სპარსული მშობლიური ენაა მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის და უფრო მეტიც, ის ითვლება საზოგადოების განათლებული წრის სალაპარაკო ენად. ტაჯიკეთში სპარსული ენის ნაირსახეობას ეწოდება ტაჯიკური და არის ქვეყნის ოფიციალური ენა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, კირილიცას ანბანს იყენებს. სპარსული ანალიზური წყობისა და გრამატიკული თვალსაზრისით საკმაოდ მარტივი ენაა მასში არ ჩანს სქესი, არსებითი სახელის ინფლექციები, არ სჭირდება ზედსართავების შეთანხმება და არ აქვს არაწესიერი ზმნის უღლება. თუმცა, მეორე მხრივ, მისი სინტაქსი და იდიომატური გამონათქვამები დიდ ყურდღებასა და სიფრთხილეს მოითხოვს (Thackston, 2009).

1.6.6 სლავური ენების ქვეჯგუფი

სლავური ენების ქვეჯგუფი სამ მთავარ ჯგუფად იყოფა. დასავლურსლავური მოიცავს პოლონურს, ჩეხურს, სლოვაკურს, სორბიულს (ენა, რომელსაც აღმოსავლეთ გერმანიის ხალხი იყენებს). სამხრეთსლავური ენები მოიცავს ბულგარულს, სერბო-ხორვატიულს. ყველაზე ძველი სლავური ჩანაწერი ცნობილია, როგორც ძველი ეკლესიური სლავური (იგივე სლავური), რომელიც გამოყენების შეწყვეტის შემდეგ კიდევ დიდხანს დარჩა ლიტურგიის ენად (Algeo & Pyles (2005).

თავად სლავური ენები მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ქვეჯგუფს, რომელიც, ასევე, მოიცავს ბალტიკურს, ინდურ და ირანულ ენებს. ეს ცნობილი კლასიფიკაცია მომდინარეობს იქიდან, თუ როგორ იყენებს PIE წინასასისმიერ *k'-სიტყვის *k'm ° tom '100'. "სატემის" ენებიდან (ავესტანური სიტყვა, რომელიც 100 ნიშნავს) ყველას ახასიათებს ფრიკატივები და აფრიკატები *k'-სთვის. "კენტუმის" ენები, რომელიც ლათინური 100-დან მომდინარეობს, ინარჩუნებენ უკანა ენის მიერ სტოპს:

- 'Hundred' PIE k'm ° tom > Avestan (Old Persian) satem, PSI su ~to (syto)
- > Lat centum Gk (he) kato 'n Germanic/Gothic hund(ert)

ერთ-ერთი ყველაზე ხშირად განხილვად თემას სლავური ენების ისტორიიდან წარმოადგენს სლავურისა და ბალტიკური ენების კავშირი და მათი ურთიერთობა. ამკარაა, რომ მათ საერთო წინაპარი- პროტო-ინდოევროპულიჰქონდათ. ასევე ნათელია, რომ ბალტიკური ენები (ლიტვური, ლატვიური და ახლა უკვე გადაშენებული ძველი პრუსიული) სლავურისგან განსხვავებულ ჯგუფს ქმნიან. იმ იდეას, რომ სლავურსა და ბალტიკურს საერთო წინაპარი ჰქონდათ პროტო-ინდოევროპულიდან გამოყოფის შემდეგ "ბალტო-სლავური ჰიპოთეზა" ეწოდება. მისი ერთ-ერთი ავტორი, ბრუგმანი ამ საკითხს განიხილავს თავის Grundriß der vergleichenden Grammatik der indogermanischen Sprachen (Vol. 1) (1886).

დღეს მიიჩნევა, რომ სლავური ბალტიკურ ენებთან უფრო ახლო კავშირშია, ვიდრე სხვა ინდოევროპული ენები. ეს საკმარისი არ არის იმისთვის, რომ განვიხილოთ და შევისწავლოთ ბალტო-სლავური პერიოდი, რადგანაც ბევრი ბალტიკურ-სლავური პარალელური ელემენტი ბევრ სხვა ინდოევროპულ ენაში გვხვდება (Fortson, 2010).

თანამედროვე სამხრეთსლავური ენები ორი მთავარი ჯგუფისგან შედგება: ჩრდილო-დასავლური ჯგუფი მოიცავს სლოვაკურსა და B/C/S-ჯგუფს (ბოსნიური, ხორვატული და სერბიული), სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთსლავურ ენებს- ბულგარულსა და მაკედონიურს. სლავური ქვეყნები მოიცავს დასავლეთით ადრიატიკის, აღმოსავლეთით-შავიზღვის, ჩრდილოეთით-იტალიის, ავსტრიის,

უნგრეთისა და რუმინეთის, ხოლო სამხრეთით- ალბანეთის, საბერძნეთისა და თურქეთის მიმდებარე ტერიტორიებს.

სლავურად მოსაუბრე უმცირესობები ზემოთჩამოთვლილ არასლავურ ტერიტორიებზეც გვხვდება. ყველა ზემოთჩამოთვლილი ენა, ბულგარულის გარდა, ადრე იუგოსლავიის რესპუბლიკაში გამოიყენებოდა მანამ, სანამ თითოეული ცალკეულ დამოუკიდებელ ქვეყნად არ ჩამოყალიბდა. სამხრეთსლავური ენების ისტორია დიდწილად განპირობებული იყო მათი რელიგიური, სავაჭრო და სამხედრო ისტორიით. მაშინ როდესაც დასავლეთსლავები კათოლიკურსა და პროტესტანტულ რელიგიას შორის აკეთებდნენ არჩევანს, ხოლო აღმოსავლეთ სლავები- კათოლიკურსა და მართლმადიდებლურს შორის, სამხრეთსლავებს ჰქონდათ როგორც კათოლიკური და ორთოდოქსული ეკლესია, ასევე ისლამიც. უცხოელმა დამპყრობლებმა, რომლებიც მოიცავდნენ თურქებს, გერმანელებს უნგრელებს და იტალიელებს, შეაფერხეს სლავური ეთნიკური იდენტობისა და კულტურის განვითარება.

ჩეხური და სლოვაკური სხვადასხვა ენები და თანამედროვე ჩეხეთისა და სლოვაკეთის ოფიციალური ენებია. “Sorbian” და “Sorbian” ექვივალენტებია, მაგრამ ამ ენას ხანდახან “Wendish”-საც უწოდებენ, ტერმინს რომელსაც დამამცირებელი კონოტაციები აქვს გერმანულში, რომელიც ასევე უნდა განსხვავდეს „Windish” ან “Windisch”-გან, სლოვაკურის ავსტრიული დიალექტისგან. “Lusatian”, სხვა სახელი ამ ენის გამოსახატად ასევე აღნიშნავს ლუსატიის მაცხოვრებლებს, სორბების ტერიტორიას გერმანიაში, მათი რასისა და ენის განურჩევლად.

პოლონური ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად საკამათო ენაა სლავურ ენებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთის პოლიტიკური სტატუსი საუკუნეების განმავლობაში ძალიან განსხვავდებოდა, პოლონელების ტერიტორია ძირითადად ვარშავის ტერიტორიის ირგვლივ ვრცელდებოდა და შედარებით უფრო სტაბილური იყო. (Comrie & Corbett (2002).

რაც შეეხება **რუსულს**, ჩვენ წელთაღიგებამდე დაახლოებით 3500-2500 წლებში

პროტონდოევროპულ ენაზე მოსაუბრე ხალხმა დაიწყო ცალკე დიალექტების შექმნა და ერთმანეთისგან განცალკევება. ინდოევროპელი ტომები გადავიდნენ

დასავლეთსა და აღმოსავლეთში, სლავური ტომები გამოეყვნენ მასას და ჩამოაყალიბეს პროტოსლავური ენა. (Sokolsky, 1965).

დაახლოებით 500 წელს, პროტოსლავურ ენაზე მოსაუბრე ხალხები დაიყვნენ დასავლეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის ჯგუფებად. აღმოსავლეთის სლავები დასახლდნენ მდინარე დნეპრთან, რომელიც თანამედროვე უკრაინის ტერიტორიაზეა (Sokolsky, 1965). კიპარსკის მიხედვით, ამ პროცესების კონკრეტული თარიღი უცნობია, რადგანაც უძველესი ისტორიული ინფორმაცია, რომელიც აღმოსავლეთ სლავებს ეხებათ, მეცხრე საუკუნიდან იღებს სათავეს, წერილობითი წყაროების სიმცირის გამო. (Kiparsky, 1979).

ძველი რუსული, სლავურის სამ ნაწილად დაშლიდან დღემდე პერიოდში, სამ მთავარ დამატებით დიალექტად დაიყო, რომელთაც დღეს ვიცნობთ როგორც უკრაინულს, ბელორუსულს და რუსულს. თარიღი, რის შემდეგაც ბელორუსული დამოუკიდებელ ენად იწოდება, მოიპოვება წყაროებში. როგორც კიპარსკი აღნიშნავს, [ბელორუსულად] ლაპარაკი რუსეთის 1917 წლის რევოლუციის შემდეგ დაიწყო, როდესაც ბელორუსებმა თავი გამოაცხადეს დამოუკიდებლად და შექმნეს საკუთარი ენა, რომელიც დაფუძნებულია მინსკის რეგიონის დიალექტზე (Kiparsky, 1979).

მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ძველი რუსული დიალექტი დღეს დამოუკიდებელ ენებადაა აღიარებული, სხვა ასობით, შედარებით „პატარა“ ენა კვლავ რუსული ენის დიალექტად ითვლება, რომლებიც საკმაოდ ფართო გეოგრაფიულ არეალზე იშლება. ეს ტერიტორიაა კენინსბერგიდან (კალინინგრადი) ბერინგის სრუტემდე, ასევე ჩრდილოეთის პოლუსიდან სპარსეთის საზღვრამდე“. ეს უზარმაზარი ენის ტრადიცია, რომელიც დედამიწის უდიდეს ნაწილს მოიცავს საუკუნოვანი ლინგვისტური ცვლილების მდიდარი წყაროა. (Kiparsky, 1979).

რუსული ენისა და მისი წინამორბედების ისტორიის განმავლობაში რამდენჯერმე მოხდა ენის დამწერლობის რადიკალური ცვლილება, რომელიც ნაწილობრივ გამოწვეული იყო მუდმივი შეუსაბამობით ენის ზეპირსა და წერილობით ფორმებს შორის. როგორც სოკოლსკი ირწმუნება, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ 1453 წელს, უამრავი ბიზანტიელი და ბულგარელი განსწავლული ადამიანი გადასახლდა მოსკოვში. მათ რელიგიურ ტექსტებსა და ჩანაწერებში,

რომლებიც ძველ სლავურ ენაზე იყო დაწერილი, უზუსტობები და რუსიფიკაციის მცდელობები შეამჩნიეს და ეცადნენ ლიტერატურული ენის სტანდარტიზაციას. უფრო კონკრეტულად, მათ მიზანს წარმოადგენდა ენის დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა. უმთავრესი შედეგები ამ რეფორმისა ცნობილია, როგორც “მეორე სამხრეთ-სლავური გავლენა” (პირველ გავლენად მაკედონიური დიალექტის გავლენა მიიჩნევა), რომელთა მიხედვითაც ენაში დააბრუნეს ბევრი არქაული გამონათქვამები, რომლებიც, იმ პერიოდისათვის უკვე თანამედროვე ფორმით იხმარებოდა, თავიდან შემოიტანეს ფონემები /d/ და /ts/სხვა ფონეტიკური ცვლილებებიც განახორციელეს.

მეორე დაგეგმილი ენის ცვლილება მეთვრამეტე საუკუნეში განხორციელდა პეტრე I დიდის მეფობის დროს. სოკოლსკის მიხედვით, პეტრეს სურდა, რომ საზოგადოებაში წერა-კითხვა გაეგრძელებინა. ამ მიზნით მან 1708-1719 წლებში ახალი, უფრო მარტივი ანბანი შექმნა, რომელიც ცნობილია, როგორც “*grazhdanskij shrift*”. ამ დროსახალიანბანიდან ამოიღეს იყო რამდენიმე ბერძნული ასო (Sokolsky, 1965).

რუსული, ასევე ცნობილი, როგორც დიდი რუსული, იმპერიული რუსეთიდან მოყოლებული გვხვდება (1917), რომელსაც ასევე იყენებდნენ საბჭოთა კავშირის იმპერიალისტური პოლიტიკის გასატარებლად 1930-იან, 40-იან წლებში. დიდი რუსული ახლა მხოლოდ ისტორიის ნაწილია. “რუსეთი” ინგლისურში ხანდახან თვითონ საბჭოთა კავშირზე საუბრისასაც კი გამოიყენებოდა. უკრაინული ადრე მცირე რუსულად მოიხსენიებოდა, რომელიც დიდი რუსულისგან განსხვავდებოდა, თუმცა ეს ტერმინი ასევე გამოხატავდა, რომ უკრაინული რუსულის დაქვემდებარებული ვარიანტი იყო. უკრაინულს ხანდახან კარპატული დიალექტის სახელით, “Ruthenian”-საც უწოდებდნენ, განსაკუთრებით კი 1945 წლამდე, როდესაც მისი უმეტესი ნაწილი საბჭოთა კავშირში შედიოდა და აღნიშნავდა კარპატულ დიალექტებს პრეშოვამდე. (Shevelev, 1993: 996).

რუსულის (ან დიდი რუსულის) ისტორია დიდ ისტორიულ-კულტურულ განვითარებას წარმოგვიჩენს. რუსეთისთვის ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ საფრთხეს ტარტარების (თათრების) მიერ მე-13-15 საუკუნეებში 250 წლიანი ოკუპაცია იყო, მაგრამ მათი გამანადგურებელი პოლიტიკისა და კულტურული

გავლენის მიუხედავად, ტარტარები ლინგვიტური თვალსაზრისით საშიში არ იყვნენ რუსებისთვის. აღმოსავლეთის სლავები 988 წელს პრინც ვლადიმერის მეფობის ქვეშ გაქრისტიანდნენ და რუსებში წერა-კითხვის ცოდნა რელიგიური და ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების საშუალებით გავრცელდა. დროის მსვლელობასთან ერთად, რუსული დიალექტი აღმოსავლეთსლავურს გამოეყო. კიევის დაცემის შემდეგ, 1240 წელს, ძალაუფლების ცენტრი გადავიდა ნოვგოროდში და მოგვიანებით მოსკოვში, რაც იმას ნიშნავდა, რომ რუსულის, როგორც ლიტერატურული ენის გეოგრაფიულმა ცენტრმა კიდევ უფრო ჩრდილოეთით გადაიწია. შესაბამისად, მოსკოვის დიალექტი მოგვიანებით, მეთვრამეტე საუკუნეში სტანდარტული, სალიტერატურო რუსულის ბაზისადიქცა.

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისშიც კი, რუსეთი კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. კანცელარიის ენა, რომელიც რეგისტრით ახლოს იყო სალაპარაკო რუსულთან, ასევე კონსერვატიულობითა და არაფლექსიურობით ხასიათდებოდა. ძალა, რომელმაც რუსებსა და რუსულზე დასავლური გავლენა მოახდინა, პეტრე პირველი (1672-1725) იყო, რომელმაც, როგორც მიიჩნევენ, აამოძრავა და გაახალისა რუსეთი. (Hughes , 2002)

პეტრე პირველის რეფორმების საშუალებით ქვეყანაში შევიდა იმ დროისათვის თანამედროვე დასავლური ტექნოლოგიები, სამხედრო მრჩეველები და კულტურული და ლინგვისტური მოდელები. მისი თანამედროვეები მას ხშირად არადისკრიმინაციულ პოლიტიკასა და რეფორმებში ადანაშაულებენ. ეს, ზოგიერთ შემთხვევაში, ნამდვილად ასეც იყო. პეტრე პირველი, ლინგვისტური გადმოსახედიდან, თანამედროვე რეფორმების მიმდევარი იყო. მან განათლება რუსული კალიგრაფიის, ტიპოგრაფიის და ორთოგრაფიის რეფორმებით განავითარა და მოუწოდებდა ხალხს რუსულად ესაუბრათ. მეთვრამეტე საუკუნეში რუსულის განვითარება ცოტა ხნით შეწყდა (Cubberley, (2002).), რაც დაემთხვა რუსულისა და საეკლესიო სლავურის დიგლოსიას და სალიტერატურო რუსულის ახალი მოდელების ჩამოყალიბების პირველ ეტაპებს, განსაკუთრებით კი ფრანგული ნორმების გავლენას.

დასავლეთიზაციის ეს მოძრაობა აყალიბებს რუსულის კულტურულ თემატიკას მეთვრამეტე საუკუნეში. ხშირად ხდებოდა ფრანგულის, გერმანულის, იტალიურისა და პოლონური ლიტერატურის, ფილოსოფიისა და პუბლიცისტური ნაშრომების იმიტაცია ან პირდაპირი თარგმანი. ლომონოსოვმა 1755 წელს რუსულ აკადემიურ სივრცეში შემოიტანა ანტიკურობიდან ცნობილი “სამი სტილის” კლასიკურ თეორია, რათა დაეხმებინა საეკლესიო სლავური და რუსული ელემენტები სალიტერატურო ენაში: მაღალი სტილი ჰეროიკული პოემებისთვის, უდიდესი საეკლესიო სლავურის გავლენით; საშუალო სტილი, რომელიც გამოყენებული იქნებოდა არაფორმალურ ეპისტოლეებში, სატირულ ნაწარმოებებში, ლექსებსა თუ ელეგიებში და დაბალი სტილი, რომელიც გამოყენებული იქნებოდა კომედიებში, ეპიგრამებში, პროზასა და სხვა ჩვეულებრივ საკითხებში. ამ დაყოფამ გარკვეულწილად დახმარება გაუწია იმ პერიოდის სტილისტური გაუგებრობის პრობლემის მოგვარებას. საუკუნეების ბოლოს, ისეთმა მწერლებმა, როგორც იყო, მაგალითად, კრილოვი, ხელი შეუწყო რუსული ენის ხშირად გამოყენებასა და რუსული ფოლკლორის პოპულარიზაციას (Sussex & Cubberley 2006) ძველი საეკლესიო სლავურის ტექსტები ბალკანური დიალექტის თვისებებს ავლენენ, რადგან 863 წელს კირილესა და მეთოდეს მიერ შესრულებული ბიბლიის პირველი ძველი სლავური თარგმანები ფაქტობრივად ძველბულგარულ თარგმანს წარმოადგენს ძველი სლავურისა და ძველი ბულგარულის იდენტურობის გამო.

თავი II

ენობრივი ცვლილებების მიზეზები და მახასიათებლები

2. 1 ენობრივი ცვლილებების შიდა და გარე მახასიათებლები

როგორც აღვნიშნეთ, ენობრივ ცვლილებებზე საუბრის დროს ხშირად გამოყოფენ ცვლილების შიდა და გარე გამომწვევ მიზეზებს. ცვლილებების შიდა მიზეზები დაფუძნებულია ადამიანის აზოვნებისა და ენის სტრუქტურულ თავისებურებებსა და შეზღუდვებზე. აქედან გამომდინარე, ისინი, ძირითადად,

განპირობებულია ადამიანის ბიოლოგიური შესაძლებლობებით- სასაუბრო ორგანოების, სმენისა და გონებრივი შესაძლებლობების შეზღუდვების გათვალისწინებით. ენობრივი ცვლილებების შიდა ფაქტორები ასევე მოიცავს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. ფიზიკური ფაქტორის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ადამიანის ხმის ორგანოების ფიზიოლოგიური განსხვავებები თანხმონებისა და ხმონების წარმოქმნისას; ფიზიოლოგიური ან კოგნიტიური პროცესის ახსნის დროს იშველებენ ინფორმაციის აღქმის, გადამუშავებისა და ენის შესწავლის ფაქტორებს. მაგალითად, ცხვირისმიერი ბგერების შერბილებას ($l > i$). ეს პროცესი ხშირად გვხვდება ისეთ ენებში, რომლებიც კონტრასტული ცხვირისმიერი ბგერებით ხასიათდება. ეს პროცესი აიხსნება იმით, რომ ნაზალიზაციის დროს მაღალი ხმონები დადაბლებულად გვეჩვენება. შესაბამისად, [i] ძირითადად გვემის, როგორც [ee], რის გამოც მსმენელი მას აღიქვამს, როგორც ძირითადი ხმონის ერთ-ერთ ცვლილებას. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ფრანგული ნაზალიზებული ხმონები: e>a (მეთერთმეტე საუკუნეში), pendre > [poor(e)]- დაკიდება, i>e (მეცამეტე საუკუნე) voisin > [vwa'ze]- მეზობელი, y >re (მეცამეტე საუკუნე) [brʏI (spelled brun) > [bere]- ყავისფერი.

გარე, ანუ ექსტრალინგვისტური ცვლილებები, ძირითადად, გამოწვეულია ენის გარე სტრუქტურით ან ისეთი ცვლილებებით, რომლებიც მიმდინარეობს ადამიანის ორგანიზმს გარეთ. უფრო კონკრეტულად, ისინი მოიცავს ენის პოზიტიური და უარყოფითი სოციალური ფაქტორების (მაგალითად, პრესტიჟი, სტიგმა) გამოყენებას, განათლების გავლენას, პოლიტიკური კანონებს, ენის დაგეგმვის პოლიტიკას, ენებს შორის კავშირს და ასე შემდეგ.

გარე ცვლილების მაგალითებად შეიძლება ჩაითვალოს (1) ფინეთში ხმოვანი O-ს d-ში გადასვლა (veoen > veden წყალი (კუთვნილებითი, მხოლოდითი რიცხვი), რომელიც გამოწვეული იყო შვედურ წარმოთქმაზე, რომელიც ფინეთის სკოლებში დომინანტური იყო. (2) პიპილში (სალვადორი) ყრუ ფრიკატივი t გადავიდა r-ში, რადგანაც ადგილობრივი ესპანური [t] [r]-ს სტიგმატურ ვარიანტად ითვლება. ამ შემთხვევაში, ესპანური დომინანტი ეროვნული ენაა და /r/ ბგერის სოციოლინგვისტური დამოკიდებულებები უმცირესობის ენებზეც გავრცელდა.

საინტერესოა, რომ პიპილს თვითონ /r/ ზგერა არ გააჩნია. (3) t და d ზგერების ფლაპინგი, როდესაც ისინი ხმოვნებს შორის ექცევიან (თუ პირველ მარცვალზე მოდის მახვილი, t, d > f/ V_V) ავტომატურია ამერიკული ინგლისურს უმეტეს ვარიანტებში, ტუმცა პრესტიჟის გამო, ზოგიერთი მოსაუბრე ხელოვნურად იყენებს ფლაპინგს ისეთ სიტყვებში, როგორცაა Plato ['phleithou] და Latin ['lrethm] (კემპბელი, 1998).

2. 2 სემანტიკური ცვლილებების მექანიზმი

სემანტიკური ცვლილებების მექანიზმის აღწერაში ძირითადი განსხვავება

მდგომარეობს სემასიოლოგიურ და ონომასიოლოგიურ მექანიზმებში.

სემასიოლოგიური მექანიზმები გულისხმობს ახალი ერთეულების შექმნას უკვე არსებული ლექსიკური ერთეულების გამოყენებით. ონომასიოლოგიური მექანიზმები კი, საპირისპიროდ, გულისხმობს ცვლილებებს, რომელთა მეშვეობითაც კონცეპტი, განურჩევლად იმისა, აქამდე იყო თუ არა ლექსიკალიზებული, ახალი ლექსიკური ელემენტით გამოიხატება. სემასიოლოგიური ინოვაცია ძველ სიტყვას ახალ მნიშვნელობას ანიჭებს. ონომასიოლოგიური ცვლილება კი აერთიანებს სიტყვას და კონცეპტს და ქმნის ენის ახალ ლექსიკურ ერთეულს (Geeraerts, 2010.; Riemer, 2010).

სემასიოლოგიური მექანიზმები: 1. დენოტაციური მნიშვნელობის ცვლილება

2. კონოტაციური მნიშვნელობის ცვლილება

დენოტაციური მნიშვნელობის ცვლილება:

1: ანალოგიაზე დაფუძნებული ცვლილებები;

2. ცვლილებები, რომლებიც არ არიან დაფუძნებული ანალოგიაზე

ანალოგიაზე დაფუძნებული ცვლილებები:

1. მნიშვნელობის სპეციალიზაცია, შვეიწროვება;

2. მნიშვნელობის გაფართოვება, განზოგადება

3. მეტონიმია

4. მეტაფორა

ცვლილებები, რომლებიც არ არის დაფუძნებული ანალოგიაზე:

1. ნასესხები ერთეულები, პოლისემია
2. მნიშვნელობის სემასიოლოგიური გაფართოება ერთი და იმავე ლექსიკური ველის წევრების მნიშვნელობიდან.

2.. 3 სემანტიკური ცვლილების ტიპები

სემანტიკური ცვლილების მიზეზები ხშირად ისეთივე გაურკვეველია, როგორც მისი სინქრონული ბაზისი და ცვლილება აფართოებს ან ავიწროებს გარკვეულ სიტყვათა მნიშვნელობას. სემანტიკური ცვლილების ზოგიერთი ტიპის სიხშირე ადვილად მათ იდენტიფიკაციას. მაგალითად, მნიშვნელობის დაზუსტება, შევიწროება-სპეციალიზაცია, მნიშვნელობის გაფართოება, განზოგადება, გაკეთილშობილება, დაკნინება, ტაბუ. სემანტიკური ცვლილების მაგალითად შეიძლება გამოვიყენოთ ინგლისური სიტყვა “king”, რომელსაც ამჟამად ვიყენებთ სახელმწიფოს მმართველი მონარქის აღსანიშნად. თუმცა, ეს სიტყვა ასევე შეიძლება გამოვიყენოთ აბსოლუტურ მონარქზე საუბრის დროსაც. იმის მაგივრად, რომ ერთმა, სოციალურ- პოლიტიკური ხასიათის ცვლილებამ მეორე ჩაანაცვლოს, სემანტიკური ცვლილება აფართოებს სიტყვის „მეფე“ მნიშვნელობას ისე, რომ იგი მოიცავს ორივეს, როგორც სახელმწიფოს პირველ პირს, ისე აბსოლუტურ მონარქს (Trask, 2003).

მნიშვნელობის განზოგადება

ტერმინი „მნიშვნელობის განზოგადება“ აღნიშნავს მისი გაფართოების ტენდენციას. მაგალითად, სიტყვა “dog” თავიდან ამ ცხოველის კონკრეტულ ჯიშს აღნიშნავდა, ახლა კი ზოგადად „ძაღვს“ აღნიშნავს.

მნიშვნელობის სპეციალიზაცია/დავიწროება

მნიშვნელობის სპეციალიზაცია მისი განზოგადების საწინააღმდეგო ცნებაა და აღნიშნავს სიტყვის მნიშვნელობის დავიწროებას. მაგალითად, სიტყვა “girl” ნიშნავდა ორივე სქესის ახალგაზრდას, ახლა კი ის მხოლოდ ახალგაზრდა მდედრობითი სქესის წარმომადგენელს ეწოდება.

მნიშვნელობის გაკეთილშობილება

ერთ-ერთი გავრცელებული და საინტერესო მოვლენა, რომელიც ხშირად განიხილება სამეცნიერო ლიტერატურაში, არის კონკრეტული სიტყვის კონოტაციის ცვლილება დროთა განმავლობაში. ასე მაგალითად, სემანტიკური ცვლილებების შედეგად სიტყვა შეიძლება ან დადებითი თალსაზრისით შეიცვალოს (მნიშვნელობის გაკეთილშობილება), ან უარყოფითი თვალსაზრისით (მნიშვნელობის დაკნინება). მაგალითად, სიტყვები “queen” და “knight” ადრე ქალსა და ბიჭს აღნიშნავდნენ, მაგრამ დღეს ეს ტერმინები მხოლოდ მაღალ იერარქიულ პოზიციაზე მყოფი ხალხის აღსანიშნად იხმარება.

სიტყვის მნიშვნელობის დაკნინება

სიტყვის მნიშვნელობის გაუარესება. მისი დაკნინება გულისხმობს სიტყვისთვის უარყოფითი მახასიათებლების, ანუ უარყოფითი კონოტაციური ელემენტების დამატებას. მაგალითად, სიტყვა “knave” ბიჭს ნიშნავდა, თუმცა ახლა შეურაცმყოფელი კონოტაციის სიტყვაა.

ტაბუ

ზოგიერთ საზოგადოებაში სიტყვის ჩანაცვლების გარკვეულმა სახემ შეიძლება მასშტაბური ხასიათი მიიღოს. ამ მიმართებით, ხშირად ხდება ტაბუდადებული ლექსიკური ერთეულების ფონეტიკური ფორმის ცვლა, რადგანაც ლინგვისტური რეკონსტრუქცია დიდწილად ეყრდნობა ლექსიკურად ახლობელი ელემენტების არსებობას, ასეთი ტაბუდადებული სიტყვების ჩანაცვლებამ შეიძლება მნიშვნელოვნად დააზიანოს ენის კვლავწარმოების შესაძლებლობა (Trask, 2003)

მეტაფორა

სემანტიკურ ცვლილებათა შორის ყველაზე გავრცელებული მეტაფორაა. მეტაფორის სემანტიკურ სტრუქტურაში საგნებს ისეთი თვისებები აქვთ მინიჭებული, რომელიც მათ პირდაპირ არ ახასიათებს, მიუხედავად მათი გარკვეული მსგავსებებისა.

მეტაფორა იმდენად ხშირად ხმარებული ტროპია, რომ სემანტიკური ცვლილებების პარადიგმულ ტიპადაც შეიძლება ჩათვალოს. მაგალითად, სიტყვა “precocious” ლათინური წარმოშობისაა, თავდაპირველად დამწიფებას ნიშნავდა და, ძირითადად, ხილზე საუბრისას გამოიყენებოდა. ამჟამად მას მეტაფორულად ისეთ ბავშვებზე საუბრისას იყენებენ, რომლებიც თანატოლებთან შედარებით ადრე ყალიბდებიან. ზმნა “govern” მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან, რომელიც ნიშნავდა გემის მართვას ან მის კაპიტანს, ამჟამად ეს სიტყვა ზოგადად მართვის პროცესს აღნიშნავს. მეტაფორა ერთ სიტყვას მეორესთან აკავშირებს, ადარებს ასოციაციის პრინციპზე დაყრდნობით. ის იყენებს აღწერის მეთოდს, რომელიც ერთ საგანს მეორეს ადარებს მასზე მითითების მეშვეობით. ბევრ ენაში, ეშმაკ ადამიანს, მაგალითად, მელას ადარებენ. ქალი შეიძლება განვიხილოთ შემდეგი სიტყვების სემანტიკური სტრუქტურების ანალოგიით peach, lemon, cat, goose, bitch, lioness (Arnold, 1986).

მეტონიმია

მეტონიმია და სინექდოქე განსხვავდებიან მეტაფორისგან, მაგრამ ისინიც ასევე ხშირად გვხვდება მხატვრულ და არამხატვრულ დისკურსში. მეტონიმია ეწოდება კონკრეტული ატრიბუტის გამოყენებას მის უკან „მდგომი“ სიტყვის სანაცვლოდ. მაგალითად, როდესაც ვამბობთ “crown”, ვგულისხმობთ მეფეს ან დედოფალს, ან როდესაც ვამბობთ “stage”, ვგულისხმობთ თეატრალურ პროფესიას. მსგავსად ამისა, სიტყვა “White House” ამერიკის პრეზიდენტის და მისი ადმინისტრაციის ნაცვლად იხმარება. ამ შემთხვევაშიც ვეყრდნობით მეტონიმიურ გადააზრებას. მეტონიმიური გადააზრების დროს ერთი სიტყვის მეორისადმი მიმართება დაფუძნებულია ასოციაციურ მსგავსებაზე (a woman — a skirt).

აღსანიშნავია, რომ მეტაფორა და მეტონიმია განსხვავდება სემანტიკური ცვლილებების ზემოთნახსენები ტიპებისაგან, კერძოდ, განზოგადებისა და სპეციალიზაციისგან, რადგანაც ისინი არ ქმნიან ჰიპონიმურ მიმართებებს და დროებით „გადადიან“ ერთი საგნის აღმნიშვნელი სიტყვიდან რეალობის სფეროში (Remier, 2010).

მეტაფორასა და მეტონიმის შესახებ ლინგვისტური დისკუსიების დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი განსხვავდებიან „ლიტერატურული“ თვალსაზრისიდან განხილული მეტაფორისა და მეტონიმისგან. მხედველობაში გვაქვს ის, რომ საენათმეცნიერო დისკურსში საუბარია ტროპის აღქმის თავისებურებებსა და მის სპეციფიკურ ანალიზზე, ხოლო ლიტერატურულ კონტექსტში, განსაკუთრებით პოეზიაში, პოეტური მეტაფორა ავტორის შემოქმედებითობის ნაყოფია და მის დეკოდირებაზეა საუბარი. მაგალითად, ინგლისს შექსპირი უწოდებს (“King Richard II”) ძვირფასს ქვას ვერცხლის ზღვაში (the precious stone in the sea of silver). პირველ შემთხვევაში მეტაფორის აღქმა, დეკოდირება ხდება მისი ლინგვისტური გასაღების გარეშე, მაშინ როცა ლინგვისტური ანალიზის დროს ზედაპირზე ამოდის ტროპის „დამალული“ მხარეც. სამართლიანობისათვის, აქვე გვინდა დავძინოთ, რომ ხშირად ეს ორი მიმართება უერთიერთს კვეთს, ლინგვისტური მეთოდის სასარგებლოდ.

სინექდოქე

სინექდოქე არის მთელის გამოყენება ნაწილის აღსაწერად და პირიქით, ნაწილის გამოყენება მთელის აღსაწერად. ამ ტროპის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი გამონათქვამი: “Ireland play Italy in the first round of the world cup finals”, როდესაც მხოლოდ საფეხბურთო გუნდები იგულისხმება.

მეტონიმია და სინექდოქე, გარკვეული თვალსაზრისით, ერთმანეთს ემთხვევიან, თუმცა ზოგადად, მათი გადაფარვა არც თუ ისე ხშირია. ლინგვისტური ანალიზის მიზნისათვის სხვა ტიპის სემანტიკური ცვლილებებიც შეიძლება ვახსენოთ. ესენია ჰიპერბოლა, ლილოტესი, ირონია, ევფემიზმი.

ჰიპერბოლა (ბერძნული hyperbolē- გადაჭარბება) რაიმეს გადაჭარბებული განცხადებაა, რომელიც პირდაპირ არ უნდა დეკოდირდეს, არამედ უნდა გავიაზროთ, როგორც კონტექსტთან დაკავშირებული გაზვიადებული ემოცია. მაგალითად: A fresh egg has a world of power (Bellow). ხშირად, გამონათქვამის ემოციური ტონი გამოწვეულია მისი არალოგიკური ექსპლიციტური ხასიათით, რომელშიც დენოტატიური და კონტექსტუალურ-ემოციური მნიშვნელობებია გადანაკვეთული. ჰიპერბოლის ძალიან კარგი მაგალითი მოყავს გალპერინს:

When people say “I’ve told you fifty times,” They mean to scold and very often do.

ლიტოტესი ეწოდება სინექდოქეს „შებრუნებულ“ ფიგურას (ბერძნული litos - სადა, მცირე). შეგვიძლია ეს ფიგურა განვმარტოთ, როგორც სტილისტური ხერხი, რომელიც უარყოფითით გამოხატავს დადებითს და პირიქით, მაგალითად not bad or not half bad იხმარება როგორც ‘good’, „not small“ აღნიშნავს ‘great’, „no coward“ აღნიშნოს ‘brave’. ლიტოტა არ მოიცავს უარყოფას, მაგალითად, rather decent; I could do with a cup of tea. მეორე მხრივ, ხანდახან მიჩნევა, რომ ლიტოტესი საერთოდ არ უნდა მოიაზრებოდეს სემანტიკური ცვლილების ერთ-ერთ სახედ, რადგანაც იგი მხოლოდ კონტექსტურად იყენებს სიტყვების მნიშვნელობებს.

“But this is frightful, Jeeves!” “Certainly somewhat disturbing, sir.” (Wodehouse) “Long time since we met.” “It is a bit, isn’t it?” (Wodehouse).

ტერმინი „**ირონია**“ ასევე რიტორიკიდან მოდის და გულისხმობს ადამიანის სიტყვების საპირისპირო მნიშვნელობით გაგებას, განსაკუთრებით დაცინვისა და მასხრად აგდების მიზნით. ზედსართავი ‘nice’-ის ერთ-ერთი მნიშვნელობა არის ‘bad’, ‘unsatisfactory’. ირონიულად ის შეიძლება ასე გამოვიყენოთ: You’ve got us into a nice mess! The same may be said about the adjective pretty: A pretty mess you’ve made of it! რაც შეეხება ევფემიზმს, იგი იხმარება რაიმე არასასიამოვნო სიტყვის უფრო რბილი, სასიამოვნო სიტყვით ჩასანაცვლებად: pass away ‘die’. ევფემიზმებს განვიხილავთ სემანტიკური ცვლილების ექსტრალინგვისტურ ფაქტორებთან ერთად, ასევე სინონიმებზე საუბრის დროს. (Arnold, 1986).

საინტერესოა, რომ ბევრი ენათმეცნიერი ეცადა სემანტიკური ცვლილებების ზოგადი პრინციპების დადგენას. მაგალითად, ანტუან მეიე თავის ცნობილ წიგნში (Meillet, Antoine., *Les origines indo-européennes des mètres grecs*, Paris: Presses Universitaires de France, 1923:61), გვთავაზობს სემანტიკური ცვლილების სამ პრინციპს. პირველი გულისხმობს ცვლილების მიზეზის ძიებას გარე სამყაროში. მეორე ცვლილება უკვე ლინგვისტურ კონტექსტში განიხილება. ეს პარამეტრი მოიცავს ტაბუირებული სიტყვების მაგალითებსაც, სადაც ევფემიზმებს ისეთი კონტექსტური მნიშვნელობები ენიჭება, რომელიც ადრე მათთან დაკავშირებული არ იყო. ამ მექანიზმის მესამე პრინციპი გულისხმობს ცვლილებას, რომელიც მომდინარეობს ნასესხები სიტყვებისგან, ანუ როდესაც „ახალი“ სიტყვა იწვევს ცვლილებას „ძველი“ სიტყვის მნიშვნელობაში. მაგალითად, ასეთია ბასკური სიტყვა “urdin”, რომელიც ფერთა გამის სამ წევრს მოიცავდა: მწვანეს, ლურჯსა და ნაცრისფერს. დროთა განმავლობაში ბასკურმა ისესხა სიტყვები “berde (green) და “gris” (grey) მონათესავე რომანული ენებიდან და ახლა სიტყვა urdin მხოლოდ ლურჯს აღნიშნავს. უფრო საინტერესოა ელიზაბეტ ტრაუგოს (Traugott, 1989) კლასიფიკაცია, რომელიც სემანტიკური ცვლილების სამ ტენდენციას გვთავაზობს:

1. რეალობის გარეგანი აღწერით ხდება გარკვეული აღქმის პროცესის შინაგანი აღწერა, მაგალითად ინგლისური სიტყვა feel, რომელიც ადრე მხოლოდ შეხებას (გარეგანი აღწერა) ნიშნავდა, ახლა აღნიშნავს შეგრძნებას, რომელსაც ადამიანი რაიმეს შეხებისას განიცდის.
2. გარეგანი და შინაგანი აღწერა გადაიზრდება ტექსტურ მნიშვნელობად. მაგალითად, ინგლისურმა სიტყვამ while, რომელიც ადრე მხოლოდ “period of time” აღნიშნავდა, დროთა განმავლობაში მიიღო დროის იმ პერიოდის მნიშვნელობა (“the period of time”), რომლის დროსაც რაღაც ხდება: while my wife was away, I lived on Pizza. მოგვიანებით, ამავე ფორმამ ასევე შეითავსა “although” (თუმცას) ფუნქცია”: (while she’s very talented, she’s somewhat careless).
3. მნიშვნელობა უფრო დამოკიდებული ხდება მოსაუბრის სუბიექტურ რწმენასა და დამოკიდებულებაზე. მაგალითად, სიტყვა „ apparently“ ადრე ნიშნავდა პირდაპირ,ღიად (openly). მოგვიანებით, მან შეითავსა შეფასების სუსტი ფუნქცია “to

all appearances”. მეცხრამეტე საუკუნეში კი მან შედარებით ძლიერი ხარისხის შეფასების ფუნქცია შეითვისა, რომელიც მას დღესაც აქვს: (“she apparently determined to pursue this”).

სამივე დასახელებულ ტენდენციას ერთი თვისება აქვთ საერთო. სამივე ტენდენციაში სუბიექტური და შინაგანი დისკურსი ერთი ნაბიჯითაა დაცილებული გარეგანსა და ობიექტურს. ტრუგოს დაკვირვებით, ასეთი თვისება ძალიან გავრცელებული ძალაა სემანტიკურ ცვლილებაში. (Traugott, 1989)

2.. 4 ლექსიკური კავშირები

ენობრივი ლექსიკური კავშირების აღწერის ორი ფუნდამენტური მეთოდი არსებობს- სემანტიკური ველის თეორია და ჭეშმარიტების პირობების სემანტიკა. სემანტიკური ველის თეორია ცდილობს, რომ განარჩიოს ლექსემები ზიარი და განმასხვავებელი თვისებების მეშვეობით, მაგალითად- ბზიკი, კრაზანა და ფუტკარი მიეკუთვნება გარკვეული ნიშნით გაერთიანებული მწერების ჯგუფს. უფრო მეტიც, ლექსემის განმარტების კრიტერიუმი შეიძლება დაეყრდნოს სიტყვათა სისტემურ ჯგუფს, რომელსაც იგი მიეკუთვნება და/ან განსხვავდება მათგან. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია არა იმის გამოკვლევა, თუ რა საერთო აქვთ ჯგუფის წევრებს, არამედ იმ მახასიათებლების დადგენა, რომელიც ჭეშმარიტად განასხვავებს თითოეულ ლექსემას ჯგუფის სხვა წევრებისგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამგვარი კვლევის შემთხვევაში უნდა ჩამოყალიბდეს სემანტიკური თვისებების აღწერის ყველაზე ეკონომიური სისტემა, რომელიც ახსნიდა, თუ როგორ არიან ჯგუფის წევრები დაკავშირებული ერთმანეთთან. ლექსემების ასეთი თვისებების განსაზღვრას კომპონენტური ანალიზი ეწოდება. (Leech, 1987). მეორე მხრივ, ჭეშმარიტი პირობების სემანტიკას მნიშვნელობა დაჰყავს მათი ჭეშმარიტების პირობების აღწერამდე. (Cruse, 1986; Lyons, 1977; Hurford et al, 2007).

ომონიმია

ომონიმები ერთი და იგივე ფონოლოგიური გამოხატულების მქონე სიტყვის მნიშვნელობით განსხვავებული ფორმებია. ზოგიერთი ავტორი განასხვავებს

ომოგრაფებს, რომლებიც გრაფემულად მსგავსი ან იდენტური სიტყვის მნიშვნელობებია და ომოფონები, რომლებიც იდენტურად წარმოთქმული სიტყვის განსხვავებული მნიშვნელობებია. ომონიმებს ყოფენ რამდენიმე ტიპად, იმის მიხედვით თუ რა სინტაქსური ქცევა და მართლწერა ახასიათებს მათ.

1. გრამატიკული კატეგორიით იდენტური, მაგრამ მართლწერით განსხვავებული: ზმნები “ring” და “wring”;
2. განსხვავებული გრამატიკული კატეგორიის, მაგრამ მსგავსი მართლწერით გაერთიანებული ერთეულები: “keep” არსებითი და ზმნა “keep”.
3. ერთეულები, რომლებიც განსხვავებულ გრამატიკულ კატეგორიას და განსხვავებული მართლწერას ამჟღავნებენ: “not” და “knot”

სინონიმია

სინონიმები განსხვავებული ფონეტიკის სიტყვებია, რომელთაც იგივე ან ძალიან ახლო მნიშვნელობებით ხასიათდება: მაგალითად: Couch/ sofa; boy/ lad; lawyer/ attorney; toilet/ lavatory; large/ big

ზუსტი სინონიმები ენაში ძალიან იშვიათია. როგორც პალმერი (Palmer, 1981) აღნიშნავს, სინონიმები ხშირად განსხვავებული დისტრიბუციით ხასიათდება. მაგალითად, ისინი შეიძლება განსხვავებული დიალექტში წარმოიშვან და შემდეგ გახდნენ სინონიმური იმ მოსაუბრეთვის, რომელსაც ორივე დიალექტი ესმის, მაგალითად, ირლანდიური “press” და ბრიტანული “cupboard”. იგივე პრინციპით, სიტყვები შეიძლება სხვადასხვა ენებიდან წარმოიქმნას. მაგალითად ძველი ინგლისური “cloth” და ლათინური “fabric”.

ტაბუ სინონიმების წარმოშობის მდიდარი წყაროა, სადაც ევფემიზმებიც შედის. ტაბუდადებული თემები შეიძლება მოიცავდეს სექსს, სიკვდილსა და ადამიანის სხეულს. სინონიმური სიტყვები, ასევე, შეძლება ენის სხვადასხვა რეგისტრს განეკუთვნებოდნენ- ყოველდღიური, ფორმალური, ლიტერატურული და ასე შემდეგ. ყველა მათგანიდ განსხვავებულ კონტექსტსა და სიტუაციებს ერგება. მაგალითად “wife” ან “spouse” უფრო ფორმალურია ვიდრე “old lady” ან “missus”. სინონიმები ასევე გამოხატავენ მოსაუბრის დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას. მაგალითად, naïve ან gullible უფრო კრიტიკულია, ვიდრე

ingenuous. შესაძლებელია, სინონიმები კოლოკაციურ-დისტრიბუციული თვალსაზრისით შეზღუდული იყვნენ. ქვემოთ მოყვანილი წინადადებები შეიძლება იდენტურ მნიშვნელობას ავლენდნენ ზოგიერთ კონტექსტში:

She called out to their young lad

She called out to their young boy

მეორე მხრივ, სხვა კონტექსტებში სიტყვებს lad და boy შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული კონოტაციები. მაგალითად, შესადარებლად მოგვყავს შემდეგი მაგალითები:

He always was a bit of a lad

He always was a bit of a boy

ანტონიმია

ანტონომები საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებია. შესაძლებელია ანტონიმის ქვეშ სხვადასხვა ტიპის კავშირის იდენტიფიცირება. არსებობს შემდეგნაირი ტიპის ანტონიმია:

მარტივი ანტონიმია

მარტივი ანტონომია გულისხმობს, რომ ერთი სიტყვის უარყოფითი თვისება მეორე სიტყვის დადებით მახასიათებელს აღნიშნავს. ასეთ წყვილებს ხშირად ბინარულ წყვილებსაც ეძახიან. მაგალითად: Dead/ alive (of animals) pass/ fail (a test) hit/ miss (a target)

გარკვეულ შემთხვევებში, მოსაუბრეს შეუძლია განსაკუთრებული შედეგისთვის შეცვალოს ეს კლასიფიკაცია. მაგალითად- “half-dead” ან “undead”, რომლებიც საშინელებათა ფილმებში “alive”-ის ანტონიმებია.

გრადაციული ანტონიმია

ეს არის კავშირი საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებისა, რომლის ანტონიმები არ განსხვავდებიან კონოტაციით:

Fast/ slow young/ old

ამგვარი კავშირი, უმეტესწილად, დაკავშირებულია ზედსართავებთან და აქვს ორი მთავარი დიფერენციალური მახასიათებელი: პირველ რიგში, გრადაციულ ანტონიმებს შორის შეიძლება სკალირება და სხვა, მსგავსი სემანტიკის სიტყვის მოძებნა და ჩასმა პოლარულ ელემენტებს შორის. მაგალითად, “hot და “cold” მოიცავს შემდეგ შკალას: Hot (warm tepid cool) cold

ასევე, ამ ტერმინების კონტექსტიც ხშირად შედარებითია. გრადაციული ანტონიმის მესამე ნიშანი არის ის, რომ ზოგიერთ წყვილებში ორი ტერმინიდან ერთი უფრო ფართოდ გავრცელებულია, მაგალითად, long/short. How long უფრო გავრცელებული ფორმაა, ვიდრე how short. მეორე მხრივ, ეს მახასიათებელი არ არის აქტიური ყველა წყვილისთვის და მათ, კონტექსტიდან გამომდინარე, შეიძლება მათი თანაბარი სიხშირის გამოყენებაც დადასტურდეს.

საწინააღმდეგო ლექსიკურ-სემანტიკური კავშირები

ამ ტიპის საწინააღმდეგო კავშირები გამოხატავენ საწინააღმდეგო მიმართულების მოძრაობებს. მაგალითად: Pull/ push go/ come go/ return ascend/ descend;

ან(Go) up/ down (go) in/ out (turn) right/ left

ეს ტერმინი აღნიშნავს ყველა სემანტიკურ პროცესს, რომელსაც საპირისპირო მოქმედება გააჩნია: Inflate/ deflate expand/ contract fill/ empty knit/ unrave

კონვერსია

კონვერსია არის სიტყვათწარმოების ერთ-ერთი სახე, რომელიც მდგომარეობს არსებული სიტყვის ბაზაზე სხვა გრამატიკული კატეგორიის ახალი სიტყვის წარმოქმნაში მისი ფორმის შეუცვლელად. employer/ employee

ტაქსონომიური კავშირები

ტაქსონომიური წყვილები ტაქსონომიის ერთი დონით ხასიათდებიან. ცნობილია, რომ ტაქსონომიები კლასიფიკაციის აღიარებული სისტემებია.

Red orange yellow green blue purple brown

სხვა ტაქსონომიები შეიძლება მოიცავდეს კვირის დღეებს; ძაღლის ჯიშების ტერმინებს, და ა.შ ტაქსონომიები შეიძლება იყოს ჩაკეტილი- როგორც კვირის დღეები, ან ღია, როგორც ნაყინის არომატების აღწერა.

ჰიპონიმია

ჰიპონიმები ხასიათდება ჩართულობის კავშირით. უფრო ზუსტად, ჰიპონიმი მოიცავს უფრო ზოგადი სიტყვის მნიშვნელობას. მაგალითად, ძაღლი და კატა ცხოველის ჰიპონიმებია; და და დედა- ქალის ჰიპონიმები. უფრო ზოგადი კონცეპტის აღმნიშვნელი ტერმინი მოიცავს სიტყვებს- სუპერორდინატი და ჰიპონიმი.

Bird

Crow hawk duck etc.

Kestrel sparrow hawk etc.

ასეთი ტაქსონომიური აღწერიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორივე ტერმინი (ჰიპონიმია და ტაქსონიმია) ერთმანეთთან დაკავშირებულია. ჰიპონიმია ტაქსონომიაში მოთავსებული ვერტიკალური კავშირია. ამიტომ, ქორი ჩიტის ჰიპონიმია, მაშინ, როცა ტაქსონომიური ბმით დაკავშირებული სიტყვები ჰორიზონტალურ კავშირშია ერთმანეთთან, ანუ კირკიტა, ბელურა და ქორი სხვა ტიპის ქორებთან ერთად ტაქსონომიური ბმით დაკავშირებული სიტყვები არიან, რომლებიც ხშირად მოხსენებიება ტერმინით „Taxonomic sisters“. ასეთი კლასიფიკაციები ბევრს გვეუბნება ადამიანის კულტურასა და გონებაზე. უფრო

მეტიც, ანთროპოლოგებმა და ლინგვისტებმა შეისწავლეს ასეთი ფოლკლორული ტაქსონომიები სხვადასხვა ენებსა და კულტურაში, მათ შორის ფერების ტერმინებიც. ასეთი ლექსიკური კავშირები განხილულია, მაგალითად, ჯორჯ ლაკოფის (Lakoff, 1987) მიერ.

მერონიმია

მერონიმი აღწერს გარკვეული მთლიანობის ნაწილის ლექსიკურ კავშირებს. მაგალითად, ყდა და გვერდები წიგნის მერონიმებია. ჩვენ შეგვიძლია კავშირის იდენტიფიცირება ისეთი წინადადებების გამოყენებით, როგორცაა X არის Y-ის ნაწილი, ან Y აქვს X, როგორც მაგალითად- “a page is part of a book”, “a book has pages”. მერონიმია აირეკლავს სიტყვების კლასიფიკაციის იერარქიას და მჭიდროდ არის დაკავშირებული ტაქსონომიასთან. მაგალითად, სისტემის მანქანის სისტემის ტაქსონომები შეიძლება იყოს:

Car

Wheel engine door window etc.

Piston valve etc.

მერონიმიული იერარქიები ნაკლებად ნათელი და რეგულარულია ხასიათდება(?), ვიდრე ტაქსონომები. მერონიმია განსხვავდება იმისა და მიხედვით, თუ რამდენად მწმუნელოვანია ნაწილი მთელისთვის. ზოგიერთი ნაწილი აუცილებელია სისტემის ფუნქციონირებისათვის, მაგალითად, ცხვირი არის სახის მერონიმი. მეორე მხრივ, ზოგი მერონიმი არ არის აუცილებელი. მაგალითად, საყელო არის პერანგის მერონიმი, სარდაფი- სახლის. მერონიმისა და ჰიპონიმის შორის განსხვავება მდგომარეობს კონცეპტის გარდამავლობაში უფრო ზუსტად, ჰიპონიმი ყოველთვის გარდამავალია. მერონიმისთვის ეს თვისება არ არის დიფერენციული. გარდამავალი მერონიმის მაგალითია: ფრჩხილი- თითის მერონიმი, თითი კი ხელის მერონიმი. მეორე მხრივ, არაგარდამავალი მერონიმია “ფანჯრის მინა”. ფანჯრის მინა არის ფანჯრის მერონიმი, ფანჯარა ოთახისაა, მაგრამ ფანჯრის მინა არ არის ოთახის მადიფერენცირებელი მერონიმი. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ მერონიმები

ლექსიკური ერთეულებია: აზრობრივად შესაძლებელია, რომ დავანაწილოთ ნივთი სეგმენტებად, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთი ნაწილი არის კოდირებული ენის სიტყვათა მარაგში.

სიმრავლის წევრი და კრებითი სიტყვა

ასეთი კავშირია ერთეულის გამომხატველ სიტყვასა და კრებით სიტყვას შორის:

Tree forest

bird flock

sheep flock

ship fleet

პორცია და მასა

პორცია-მასა არის კავშირი მასის გამომხატველ სახელებსა და საზომ ერთეულს შორის.

Drop of liquid

Grain of salt, wheat

Sheet of paper

Lump of coal

Strand of hair

პოლისემია

ლექსიკოლოგიაში ტრადიციულად ანსხვავებენ ომონიმიასა და პოლისემიას. ორივე ტერმინი ეხება ერთი, ფონოლოგიურად გამოხატული სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობას. პოლისემია აქტუალიზდება მაშინ, როცა მნიშვნელობები ერთმანეთთან გარკვეულ სემანტიკურ კავშირშია. ეს მნიშვნელოვანი განმარტებაა ლექსიკოგრაფებისთვის, რადგანაც ლექსიკონებში პოლისემიური სიტყვები ერთად, ერთი ლექსიკური ერთეულის ქვეშ არის განთავსებული, მაშინ, როდესაც ომონიმური

ერთეულები განცალკევებულადაა წარმოდგენილი. ლექსიკოლოგები ეყრდნობიან “ნათესაურობის” კრიტერიუმს პოლისემიის ამოსაცნობად. ეს კრიტერიუმები მოიცავს მოსაუბრის ინტუიციას და ან რელევანტური ისტორიული ფაქტების ცოდნას. მაგალითად, სიტყვა “sole” ინგლისურად ნიშნავს როგორც ფეხსაცმლის ძირს, ასევე თევზის ჯიშსაც. რადგანაც ეს სიტყვები ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის, ისინი ომონიმური წყვილი გვგონია. თუმცა, ისტორიის მიხედვით ორივე გადმოტანილია ფრანგულიდან, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოიშვა საერთო ლათინური სიტყვიდან “solea” (სანდალი). შესაბამისად, ნამდვილი კავშირი მდგომარეობს ლათინური ძირის მსგავსებაში და ორივე სიტყვა ინგლისურში ფრანგულიდან მოხვდა, თანაც სხვადასხვა დროს. შესაბამისად, ისინი ლექსიკონში ცალ-ცალკეა წარმოდგენილი.

სემანტიკური ცვლილება, ანუ ცვლილება ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობაში შეიძლება ონომასიოლოგიური ან სემასიოლოგიური მეთოდიკით შევისწავლოთ. პირველ შემთხვევაში შესწავლა იწყება კონცეპტებიდან გამომდინარე; ხოლო, მეორე შემთხვევაში, ყურადღება ექცევა მათში აქტუალიზებულ მნიშვნელობებს.

წინამდებარე ნაშრომი ეყრდნობა სემასიოლოგიურ მეთოდოლოგიას, რათა განახორციელოს კვლევის დასახული გეგმები და შეეცადოს, თვალი გაადევნოს ერთი სიტყვის მიერ განვითარების სხვადასხვა პერიოდში გამოვლენილ სხვადასხვა მნიშვნელობებს. ეს, პირველ რიგში, ხდება თეორიული ჩარჩოს განხილვის საშუალებით, რომლის მიხედვითაც შეიძლება ტიპური ცვლილებების დადგენა და მათი ევოლუციისათვის თვალის გადევნება. სხვადასხვა სემანტიკური ცვლილების მექანიზმი ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც ძირფესვიანად შეისწავლეს სემანტიკური ცვლილებები. აქედან გამომდინარე, შეკრებილ და გაანალიზებულ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით გამოვლინდა ექვსი მთავარი სემანტიკური ცვლილება, მათ შორის ინდოევროპული ძირის ჩვენს საკვლევ ენებში გადატანის დროს მნიშვნელობის სემანტიკური ცვლილების შემდეგი სახეები- მეტაფორიზაცია, მეტონიმიზაცია, განზოგადება, დავიწროება- სპეციალიზაცია, მნიშვნელობის გაუარესება-დაკნინება და მისი გაკეთილშობილება, გაუმჯობესება. ეს მექანიზმები

განსხვავებული პრინციპებით ფუნქციონირებენ და ლექსიკური ერთეულის განსხვავებულ ასპექტებზე ახდენენ გავლენას. მაგალითად, მნიშვნელობის განზოგადება და მისი დავიწროვება-სპეციალიზაცია სიტყვის დენოტაციურ მნიშვნელობას ცვლის, ხოლო მნიშვნელობის გაკეთილშობილება/დაკნინება სიტყვის კონოტაციურ მნიშვნელობაზე მოქმედებს. შესაბამისად, მეტაფორიზაცია და მეტონიმიზაცია სამყაროს მენტალურ-ლინგვისტური სურათით ფუნქციონირებენ.

თავი III

სემანტიკური ცვლილებების მექანიზმის პარამეტრები ინგლისური, სპარსული და რუსული ენების ინდოევროპული წარმოშობის საბაზისო ლექსიკაში

3.1 ჩვენი კვლევის მიზანი, მნიშვნელობა, მასალა და მეთოდოლოგია

დისერტაციის ეს თავი ეძღვნება საკვლევ თემისათვის მნიშვნელოვანი ემპირიული მასალის, მეთოდისა და საკვლევ ერთეულების ვარიანტების დადგენას დიაქრონიული განვითარების კრილში, მათ სემანტიკურ განვითარებაზე დაკვირვებას და სემანტიკური სტრუქტურის ცვლილებების ანალიზს.

დისერტაციაში ასახული კვლევის მნიშვნელობა და შედეგები რამდენიმე თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული ლექსიკოლოგია და სემასიოლოგია, რომლებიც ზოგჯერ თანხვედრას განიცდიან, ობიექტური მიდგომებისა და მეთოდოლოგიის მხრივ ლინგვისტიკის ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად პროდუქტიული მიმდინარეობებია. შესაბამისად, წინამდებარე კვლევაში შევეცდებით, სემასიოლოგიური მიდგომა, რომელიც ეყრდნობა გარკვეულ სიტყვათა ფორმებს მათი მნიშვნელობის ამოსაცნობად, მოვარგოთ კვლევის მიზნებს და ერთმანეთს შევადაროთ ინდოევროპული ენათა ჯგუფის სამი განსხვავებული ოჯახის ზემოთ დახასიათებული ენა. კვლევის პრაქტიკულ მიზნებზე აქცენტის გაკეთების გამო, ვცდილობთ თეორიული მეთოდიკა ჩვენეულ პოზიციას შევუხამოთ და მივიღოთ ობიექტური ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური შედეგები.

შესაბამისად, კვლევა არა მხოლოდ ითვალისწინებს თეორიულ მიდგომებს, არამედ ასევე იყენებს მათ იმისთვის, რომ ახსნას გარე სამყაროს რეალობა, რომელიც ცდება მხოლოდ სემასიოლოგიური სტრუქტურის კვლევას მისი ექსტრალინგვისტური ანალიზის თვალსაზრისით.

ინგლისური, სპარსული და რუსული ენები მდიდარ და კარგად გამოკვლეულ ენებად გვევლინებიან, რომელთაც აქვთ სარწმუნო და კარგი რეპუტაციის მქონე ეტიმოლოგიური ლექსიკონები, რომლებშიც სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობა და მათი გამოყენებაა ასახული. ამის გარდა, ინგლისური, სპარსული და რუსული ენების ისტორიული ცვლილებები საკმაოდ კარგად არის დადასტურებული, რაც საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ცვლილებები იმ კონტექსტში, რომელშიც ეს ცვლილებები მიმდინარეობს. ინგლისის, ირანისა და რუსეთის წინა საუკუნეების ისტორიული, მათ შორის სოციო-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მოვლენების ზუსტი ანგარიში გვაძლევს კარგ საშუალებას, რომ გამოვიძიოთ ცვლილებების გარე, ექსტრალინგვისტური ფაქტორები და შევისწავლოთ, თუ რა ზეგავლენა აქვთ მათ ლექსიკურ ელემენტებზე და როგორ იწვევენ ისინი სემანტიკურ ცვლილებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი კვლევა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი იძლევა თეორიული ლინგვისტიკისა და სემანტიკისთვის მნიშვნელოვან შედეგებს, საკვლევი თემატიკის ფარგლებში, რომლებიც გვაჩვენებენ, თუ რა ურთიერთობა არსებობს ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს შორის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ინდოევროპული ენათა ჯგუფის წარმომადგენელი სამი ენის, ინგლისურის, სპარსულისა და რუსულის ევოლუციის თავისებურებების გათვალისწინებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინამდებარე კვლევა რამდენიმე მიზანს ემსახურება. მათ შორის მთავარია აღნიშნული ლექსიკური პლასტის სემანტიკური სტრუქტურის ცვლილებების გამოკვლევა და იდენტიფიცირება, ინგლისურ, სპარსულ და რუსულ ენებში მათი სემანტიკური ცვლილებების სიხშირისა და ტიპოლოგიის გამოვლენა. ეს გაადვილებს კვლევის მეორე მიზნის მიღწევას, რომელიც გულისხმობს სემანტიკური ცვლილებების ტენდენციებისა და წესების აღმოჩენას მოცემულ მასალაში ინდოევროპული ენების მაგალითზე. კვლევის მესამე მიზანს წარმოადგენს

სემანტიკური ცვლილებების მოტივაციებისა და გამომწვევი მიზეზების როგორც შიდა, ისე გარეგანი სტრუქტურების კვლევა. ერთ-ერთი საბოლოო მიზანი ამ კვლევისა კი არის ერთი ენის სიბრტყეზე მიღებული შედეგების შედარება სამივე ენაში. მიზნად ვისახავთ, დავადგინოთ, არის თუ არა რაიმე კონკრეტული ტენდენცია ამ სამ ენაში, რაც სემანტიკურ ცვლილებებს იწვევს, თუ თითოეულ ენას თავისი ინდივიდუალური პარამეტრი ახასიათებს.

კრისტიან ლეჰმანის განმარტებით, ენის საბაზისო სიტყვები შეადგენენ მისი ლექსიკონის ძირითად ნაწილს. ისინი ენის უკიდურესად მნიშვნელოვან პლასტს წარმოქმნიან, რადგანაც (1) აღნიშნავენ ადამიანის ცხოვრებისა და ფუნქციონირებისათვის ძლიერ მნიშვნელოვან კონცეპტებს; (2) იხმარებიან სხვა სიტყვების პარაფრაზისა და განმარტებისათვის. (Lehmann, 1986)

როდესაც ვსაუბრობთ პროტო-ინდოევროპული სიტყვების მნიშვნელობაზე, საქმე რთულდება, რადგანაც პროტო-ინდოევროპული საზოგადოება ძლიერ მარტივ არსენალს გვაძლევს მატერიალური ცხოვრებისა და გარემოს თვალსაზრისით. შესაბამისად, მათი ძირითადი საბაზისო ლექსიკონი მოიცავს სახლის, სოფლის მეურნეობის, საკვებისა და პანთეონის ლექსიკას. გამყრელიძისა და ივანოვის ნაშრომში (*“Indo-European and the Indo-Europeans: A Reconstruction and Historical Analysis of a Proto-Language and a Proto-Culture”*, 1995) წარმოდგენილია პროტო-ინდოევროპული ძირების საკმაოდ სრული თემატური მასალა. ძირითადად ამ მასალიდან შეირჩა 119 ერთეული, რომელიც მიეკუთვნებოდა ცხოვრების სხვადასხვა სფეროს, კერძოდ, -ცხოველებს, მცენარეებს, ტოპონომიკას, ადამიანის სხეულის ნაწილებს, ა.შ. გარდა ამისა, რაც შეეხება მასალის გრამატიკულ კატეგორიზაციას, იგი ძირითადად მოიცავდა ზმნებს, არსებით სახელებს და ზედსართავებს.

ხაზაგასმით გვინდა განვაცხადოთ, რომ მასალის ამორჩევის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექცეოდა ინდოევროპული ფუძის სიტყვებს. იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ერთეული არ მოიპოვებოდა ზემოთნახსენებ ნაშრომში, გამოყენებული იყო ზმნური ერთეულები ჩეუნგის (Cheung, (2007) ლექსიკონიდან „*Etymological Dictionary of the Iranian Verb*”. ამ ნაშრომში ავტორი არა მხოლოდ გვაძლევს ირანული ზმნების ნაირსახეობას, არამედ, ასევე წარმოგვიდგენს ნათესაურ ინდოევროპულ

კოგნატებს. გარდა ამ ორი წყაროსი, ემპირიული მასალისათვის გამოყენებულია სამივე ენაში არსებული ეტიმოლოგიური თუ განმარტებითი ლექსიკონები (იხ. გამოყენებული ლიტერატურა)

ჩვენი კვლევისათვის რელევანტური მასალის ამოკრების გარდა, ანალიზის მეორე ეტაპზე დადგა არჩეული მასალის სემანტიკური ცვლილებების მექანიზმების დადგენის საკითხი. მასალის ამ თვალსაზრისით შედარების დროს დავეყრდენით რამდენიმე წყაროს, კერძოდ, ინგლისური ენის არჩეული მასალის საანალიზოდ ძირითადად გამოვიყენეთ Oxford English Dictionary და Merriam Webster's collegiate Dictionary. ორივე ნაშრომი ეყრდნობა მასალის დალაგების ისტორიულ პრინციპებს. სპარსული მასალა გაანალიზდა დეჰხოდას, მოინისა და ამიდის მიერ გამოქვეყნებული ლექსიკონებზე დაყრდნობით. გარდა ამისა, გამოვიყენეთ ონლაინ მოწოდებული აბადის ლექსიკონი (Abad, 2017). რადგანაც ნაშრომში გაანალიზებულია რუსული მასალაც, გამოვიყენეთ შემდეგი ნაშრომები: ეფრემოვასა და ოჟეგოვის მიერ შედგენილი ლექსიკონები, ასევე რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონი, უშაკოვის რედაქციით. ეს ლექსიკონები მოიცავენ ჩვენი საკვლევი მასალისა და მათი ისტორიული განვითარების მონაცემებს.

ერთი პრობლემა, რომელიც უნდა გადაგველახა ანალიზის ვალიდურობისათვის, იყო დისერტაციაში შესწავლილი სამივე ენის (ინგლისური, სპარსული და რუსული) კვლევისათვის მნიშვნელოვანი პერიოდების ქრონოლოგიური შეთავსებადობის საკითხი. მაგალითად, მაშინ როდესაც ძველი სპარსული იწყება ძველი წელთაღრიცხვით 600 წელს და მთავრდება 300 წელს, ამავე წელთაღრიცხვით, ძველი ინგლისური დასაბამს იღებს 450 წელს, ახალი წელთაღრიცხვით. ეს ქრონოლოგიური განსხვავება დასახელებული ენებს შორის წარმოშობს პრაქტიკულ პრობლემას დიაქრონული გამოკვლევისათვის. მეორე მხრივ, მიუხედავად ამ პრობლემისა, იმის გამო, რომ დასახელებულ მონაკვეთებს შორის მანძილი შედარებით მცირეა, ისტორიული და ასევე, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების პირობების სტაბილურობისა და სავარაუდო მსგავსების გამო, ჩავთვალეთ, რომ მათი უგულვებელყოფა მისაღები იქნებოდა, მით უფრო, რომ შერჩეული მასალა

უნიკალური და შეიძლება ითქვას, ერთადერთია მსგავსი პერიოდის მასალების შესადარებლად.

სპარსული მონაცემების მნიშვნელობის მოძიებისა და დადგენის მიმართებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ ავესტურის მონაცემები გამოვიყენეთ აღიარებული გენეტიკური სიახლოვის გამო, რადგანაც ძველი სპარსული ექვივალენტი ამ კონკრეტული ელემენტებისა არ დადასტურდა. მაშინ როცა ძველი სპარსული ტექსტები და ზოგადად, ლექსიკა ამოვიღეთ ისტორიული წარწერების, თიხის ფირფიტებისა და აქემინიდების ხანის ბეჭდებიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ ავესტა მოიცავს რელიგიური ტექსტების საკმაოდ დიდ რაოდენობას, რომლებიც შექმნილია მეტნაკლებად სტანდარტული და იმ დროსათვის მისაღები დამწერლობით, რომელმაც განაპირობა ენის ფონეტიკური და ლექსიკური სიზუსტის მაღალი ხარისხი.

კვლევისათვის რელევანტური ყველა ერთეული აღიჭურვა შესაბამისი ეტიმოლოგიური ინფორმაციით, განსაზღვრებითა და აღწერით. რაც შეეხება სემანტიკური ცვლილებების მექანიზმის აღწერას, დავყვარდებით გეერაერტსის მიერ შემოთავაზებულ სქემას. (Geeraerts, 2010). ამ სქემის მიხედვით, სემანტიკური ცვლილების ძირითადი მექანიზმებია მნიშვნელობის განზოგადება, დავიწროება, დაკნინება, გაკეთილშობილება, მეტაფორული და მეტონიმიური ძვრები. კვლევის შემდეგ ეტაპზე თითოეული მექანიზმის როლი და სიდიდე გამოითვალა ინგლისურ, სპარსულ და რუსულ ენებში. ქვემოთ მოცემულია მაგალითები, რომლებიც აღწერენ კვლევის ძირითად კრიტერიუმებს.

3.2 კვლევის შედეგების ანალიზის თეორიული ჩარჩო

გეერაერტსი (Geeraerts, 2010) ლექსიკური სემანტიკისადმი სემასიოლოგიური მიდგომის შესახებ მსჯელობის დროს გამოყოფს სემანტიკური ცვლილების მექანიზმის რამდენიმე საბაზისო მექანიზმს. ქვემოთ შევეცდებით განვიხილოთ

ჩვენს მიერ განხილული მასალაში აქტუალიზებული სემანტიკური ცვლილების ტიპები.

1. მნიშვნელობის განზოგადება (გაფართოება). მნიშვნელობის გაფართოებისა და განზოგადების დროს ერთი ერთეულის მნიშვნელობა ეხება ერთზე მეტ, პირველადი მნიშვნელობიდან ამოზრდილ მნიშვნელობას. მაგალითად, PIE *k^wiw ამ ძირის პირველადი მნიშვნელობაა ცხოვრება, სიცოცხლე (ზმნა ან არსებითი სახელი). მეორე მხრივ, როგორც განზოგადების ან გაფართოების პროცესის პროდუქტი ინგლისურ და სპარსულ ენებში შემდეგ მნიშვნელობა დაუკავშირდა სხვადასხვა კონცეპტს. მაგალითად, ინგლისურში მან მიიღო ცხოვრების (“living”), დინების („flowing”) და სირბილის (“running) მნიშვნელობა. სპარსულში საწყისი მნიშვნელობა ცხოვრება (“life, live”) შეიცვალა და გახდა მთელი სამყარო (“the whole universe”).
2. მნიშვნელობის სპეციალიზაცია ან დავიწროვება არის მნიშვნელობის განზოგადების საპირისპირო ფენომენი და გულისხმობს მნიშვნელობის მოცულობის შევიწროვებას. მაგალითად, PIE *k^wiw სიტყვის მნიშვნელობა PIE *k^wiw რუსულ ენაში ვიწროვდება და ნიშნავს „მარცვალს“ (“grain”), შემდეგ პერიოდში კი იძენს პურის (“bread) ან ქერის (barley) მნიშვნელობას.
3. მნიშვნელობის დაკნინება, გაუარესება ეხება სემანტიკური ცვლილების კონოტაციურ ასპექტებს და ხაზს უსვამს ნომინაციის ემოციურ მომენტებს. იკვეთება მნიშვნელობის გაუარესებისა და უარყოფითი შთაბეჭდილების შექმნის ტენდენცია. მაგალითად, პროტო-ინდოევროპული ძირის PIE. *h₂r̥t^hk^h საწყისი მნიშვნელობაა დათვი (“bear”), მაგრამ შემდეგ ეს სიტყვა იძენს უარყოფით მნიშვნელობას და აღნიშნავს ბუზღუნას და უმეცარს, რაც რა თქმა უნდა, არ ახასიათებს დათვს რეალურ სამყაროში.
4. მნიშვნელობის გაკეთილშობილება სემანტიკური ცვლილების კონოტაციის გაკეთილშობილებას ემყარება. მაგალითად, PIE. *wrot^h-, *wrt^h- თავდაპირველად ნიშნავდა ვარდს, ხოლო შემდეგ სპარსულში მიიღო ზოგადად ლამაზი ადამიანის, მშვენიერი სახის მნიშვნელობა.

5. მეტაფორა სემანტიკური ცვლილების ყველაზე გავრცელებული მექანიზმია. ასევე, იგი ყველაზე ხშირად აქტუალიზებული ტროპია ლიტერატურაში. როგორც კვლევამ დაადატურა, მეტაფორული ცვლილებები ახასიათებს ყველა ჯგუფს, უფრო მეტად კი ზმნურ ერთეულებს. მაგალითად, PIE. *sed- ნიშნავდა “ჯდომას” და შემდეგ, მსგავსებაზე დაფუძნებული ხატოვანი გადააზრების მეშვეობით, ინგლისურსა და სპარსულში მიიღო „ცხოვრების“, „დასახლების“ მნიშვნელობა.
6. მეტონომია დაფუძნებულია საანალიზო ერთეულის წყარო და სამიზნე მომენტების გარკვეულ თანაფარდობასა და შესაბამისობაზე. იგი შეიძლება იყოს მთელი-ნაწილის შეფარდება. მაგალითად, PIE. *wot'or- წყლის ცხოველს აღნიშნავს და, ასევე, ამავე ცხოველის ბეწვსაც.

3.3. კვლევის ემპირიული მასალის შეგროვების პროცედურა და მისი

ობიექტურობა

კვლევის ობიექტურობისა და ვალიდურობისათვის მასალის არჩევის დროს ამოსავალი იყო სამივე საკვლევ ენაში საერთო ძირის არსებობა. ეს ბუნებრივია, რადგანაც კვლევის მთავარი მიზანი იყო ინგლისურ, სპარსულ და რუსულ ენებში სემანტიკური ცვლილებების პროცესის ხარისხის, რაოდენობისა და რაგვარობისადმი თვალის მიდევნება. მასალის არჩევის პროცესში გამოირიცხა ნასესხობები და ალტერნატიული ინდოევროპული ძირები. მასალის შეკრების პროცესში საერთო ძირის მნიშვნელობა ეყრდნობა იმ ფაქტორს, რომ იგი საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ერთი ინდოევროპული სიტყვის განსხვავებულ, დროში განვითარებას. მეორე მხრივ, მასალის შეკრების პროცედურამ ასევე გვაჩვენა, რომ ზოგიერთი მონათესავე სიტყვა არ მოგვეპოვება სპარსულში. მაგალითად, ეს ეხება მცენარეების ჯგუფს სპარსულში, რომელსაც აკლია თავდაპირველი, საწყისი ინდოევროპული ფორმების ნაწილი. გარდა ამისა, შედარებითი მეთოდი, რომელსაც დავეყრდენით კვლევის დროს, საშუალებას გვაძლევს გამოვიკვლიოთ, სამი საკვლევ ენის ფარგლებში, ერთეულების განვითარების ტენდენციების მსგავსება და განსხვავება. კვლევის ამ ხაზს მივყევართ სემანტიკური ცვლილების პროცესის უნივერსალურობის

საკითხთან, ამ ენების ფარგლებში. კვლევის პირველ, საწყის ეტაპზე დავადგინეთ და აღვწერეთ ლექსიკურ-სემანტიკური ევოლუციური მომენტები კვლევისათვის შეკრებილ მასალაში, ენების მიხედვით, გამოვიკვლიეთ სემანტიკური ცვლილებების პროცესის ტიპები და მექანიზმები. კვლევის ბოლო ეტაპზე შევადარეთ და შევაპირისპირეთ მიღებული შედეგები სამ საკვლევ ენაში. კვლევის პროცედურამ გამოიწვია განსხვავებული თემატური ჯგუფების შემოტანა მასალაში. ასევე, თემატურად გაანალიზებულ ლექსიკურ ჯგუფებს ახასიათებთ საერთო ძირი და განვითარების გარკვეული ტენდენცია ინგლისურ, სპარსულ და რუსულ ენებში. ქვემოთ სალუსტრაციოდ მოყვანილია რამდენიმე პროტო-ინდოევროპული ძირის სიტყვის ენათაშორისი ვარიანტულობის კვლევა სამი საკვლევ ენის ფარგლებში მათი ისტორიის გარკვეულ, განსხვავებულ პერიოდში. ასევე, მასალას თან ახლავს განმარტება და მნიშვნელობის დენოტაციური კომპონენტების აღწერა, რომელიც გვაჩვენებს სემანტიკური ცვლილების დროს მიმდინარე ფონოლოგიური და სემანტიკური ძვრების ხარისხობრივ და რაოდენობრივ კომპონენტებს. გვინდა გავიმეოროთ, რომ ამგვარი კვლევა ავლენს სემანტიკური ცვლილების ძირითად ტენდენციებს ინდოევროპული საბაზისო სიტყვების მაგალითზე. საანალიზოდ აღებულია ზოონიმების ქვეჯგუფი, ხოლო დანართში მოცემულია გაანალიზებული მასალის მთელი კორპუსი.

1. PIE. *k^ʷiw-(ცხოვრება (ზმნა და არსებითი სახელი)

Av. gaēθā/ gaiθā ⁴ > MPers. gētē, gētāh > NPers.gētī (universe)

OCS. žito (grain) > Russ. žito (bread, rye)

OE. Cwice > ME. quik > NE. quick

PIE *k^ʷiw- (live, life)

English	Persian	Russian
1. Fiery, glowing.	1. Lower world, earth	1. Grain

⁴ ავესტურსა და ძველ სპარსულში gaēθā/ gaiθā-ს მნიშვნელობებია შინაური პირუტყვი და პირადი ქონება.

2. Living, not dead	2. World condition	2. Bread, rye
3. Acting with speed	3. The whole universe	3. Stye, barley
4. Running, flowing		
5. Moving, shifting		
6. Caustic		
7. Having a sharp Angle		
8. Couch-grass		

ინგლისური. ცხადია, რომ ინგლისურ ენაში ვლინდება მეტაფორიზაცია. თუმცა მეტაფორული ძვრა, ამ შემთხვევაში, შეიძლება მნიშვნელობის სპეციალიზაციადაც განვიხილოთ. (მაგალითად, having a sharp angle და couch-grass); ერთ-ერთი მნიშვნელობა (being) caustic-გესლიანობა, მქირდავობა) უარყოფითი კონოტაციით ხასიათდება და ამიტომ, მას განვიხილავთ მნიშვნელობის გაუარესება-დაკნინების ჭრილში.

სპარსული: სპარსულ ენაში ამ სიტყვის შემდგომი მნიშვნელობები მიეკუთვნება სამყაროს, დედამიწას, მიწიერ ცხოვრებას, რაც შეიძლება განვიხილოთ, როგორც მნიშვნელობის სპეციალიზაციის, დაკონკრეტების შემთხვევა. მეორე მხრივ, მნიშვნელობა the whole universe (სამყარო) მნიშვნელობის განზოგადებისა და გაფართოების ტენდენციას გვეჩვენებს.

რუსული. სპარსულისაგან განსხვავებით, რუსულ ენაში მიღებული მნიშვნელობები შეიძლება განვიხილოთ, როგორც მნიშვნელობის დავიწროების შემთხვევები და, ასევე, მეტონიმიური სემანტიკური ძვრების მაგალითები.

2. PIE. *wlk^h-, *wlp^h (wolf) < *ulp^ho- (დახვევა, გათრევა (ძალის გამოყენებით)

Av. vāhrka (male wolf), vāhrkā (female wolf) > MPers. gurg (wolf) >
 NPers. gurg (wolf)

OCS. Vľikŭ (wolf)/ ORuss. vľk > Russ. volk

OE. Wulf (wolf), > ME. wulf > NE. wolf

PIE. *wlk^h-

English	Persian	Russian
1. The fur of a wolf	1. Subtile, sly	1. An experienced
2. A rapacious, destructive person	2. World, universe	person, one having
3. A direct and zealous man in amatory attention to women	3. A figure in a childish game	undergone hardships and dangers
4. Starvation, dire poverty	4. experienced, sophisticated	
5. Dissonance in some chords on some musical instrument		

ინგლისური. ინდოევროპული ძირის თავდაპირველი მნიშვნელობა „to tear, drag forcefully“ (დახევა, ძალით გათრევა), ასევე „rapacious, destructive person“ (ხარბი, მტაცებელი, განადგურებისაკენ მიდრეკილი ადამიანი), წარმოადგენს მეტაფორული პერსონიფიკაციის მაგალითს, რადგანაც მგელი წარმოსდგება როგორც ცხოველი, რომელიც ანადგურებს ყველაფერს. ამასთან ერთად, დიაქრონიული თვალსაზრისით, ამ ცხოველის აღმნიშვნელი კონცეპტის სემანტიკური ევოლუცია ცხადყოფს, რომ მეტონიმური ძვრები იგრძნობა

მნიშვნელობაში „the fur of the wolf“ (მგლის ბეწვი); „dissonance in some chords on some musical instrument, (მუსიკალური დისონანსი) მეტაფორიზაციის შემთხვევაა, ხოლო მნიშვნელობები “rapacious, destructive, sexually ardent, dire starvation” (ხარბი, განამადგურებელი, სექსუალურად ძლიერი, აქტიური, შიმშილი) მეტაფორიზაციისა და მნიშვნელობის დაკნინების მაგალითებს წარმოადგენენ.

სპარსული: სპარსულ ენაში მგლის სახე ეფუძნება სწრაფი და შედეგიანი ნადირობის ცნებას. ამასთან ერთად, სპარსულ კულტურაში მგელი აღიქმება როგორც გაქნილობის სინონიმი, რაც, რა თქმა უნდა, გვევლინება მნიშვნელობის დაკნინების, მისი გაუარესების შემთხვევად. გარდა ამისა, ცხოვრების სტილისა და საცხოვრებელი პირობების ანალოგიით, მგელი სპარსულში განიხილება, როგორც გამოცდილი, გამძლე, რაც მნიშვნელობის მეტაფორული გაკეთილშობილების მაგალითად შეიძლება განვიხილოთ. რაც შეეხება „მგლის“ სემანტიკურ სტრუქტურაში, ცხოვრებისა და სამყაროს მნიშვნელობას, შეიძლება ჩავთვალოთ მეტაფორულ გადააზრებად, რომლის დროსაც სამყარო იღებს სასტიკი და გაუმაძღარი მგლის მახასიათებლებს.

რუსული. რუსულ ენაში მგლის სახე მისი სემანტიკის მეტაფორული გაკეთილშობილების მაჩვენებელია.

3. PIE. * hrt^hk^h (დათვი, განამადგურებელი, მსახვრელი ძალა)

Av. Arešō (bear)

OCS. > Russ. Medved

OE. Bera (bear, brown)

PIE. * hrt^hk^h

English	Persian	Russian
1. Surly, uncouth, burly or shambling person	1.huge and ugly 2.Fat 3.hairy	1.The fur of the animal 2. Products made from the fur and skin of the

		animal 3. Huge , powerful, heavy person 4. Ill-cultured, ill- bred, hard person 5. Coffee and tea with Rome 6. Obs.Beverage drunk with wine 7. Rink, ice rink
--	--	---

ინგლისური. ამ ინდოევროპულმა ძირის სიტყვამ, რომელიც პროტო-ინდოევროპულში აღნიშნავდა დამანგრეველსა და ზიანის მიმყენებელს, თანამედროვე ინგლისურ ენაში დაკარგა აღნიშნული მნიშვნელობა. მეორე მხრივ, ინგლისურ ენაში საწყის ეტაპად განიხილება მნიშვნელობა „ყავისფერი“, რომელიც აღნიშნავს ცხოველი კანისა და ბეწვის ფერს. ამის მიუხედავად, „დათვი“ მეტაფორულად აღნიშნავს ბუზღუნა, გაუთლელ ადამიანს; ასევე, მოუხერხებელი სიარულის მანერასაც. ყველა ეს მეტაფორული გადააზრება შეიძლება განვიხილოთ, როგორც მნიშვნელობის სემანტიკური დაკნინების, გაუარესების შემთხვევები.

სპარსული. სპარსულ ენაში ამ სიტყვამ შეიძინა „უზარმაზარის, ბანჯგვლიანის, მსუქანისა და უშნოს“ მნიშვნელობები (huge, hairy, fat, and ugly), რაც დათვის მეტაფორულ ხატს ქმნის ამ კულტურაში; ბოლო სემანტიკური ძვრა (უშნო) არის მნიშვნელობის დაკნინების მაგალითი.

რუსული. ტაბუირების გამო, რუსულ ენაში ეს სიტყვა არ შესულა ინდოევროპული ძირიდან. “medved” ნიშნავს თაფლის მჭამელს (“honey-eater”) და გვევლინება ევფემიზმის მაგალითად. ამ სიტყვის სემანტიკური ისტორია გვაჩვენებს, რომ დასტურდება ამ მნიშვნელობის მეტონიმიზაცია, ცხოველის ბეწვის, კანისა და მისგან

წარმოებული პროდუქტების შემთხვევაში; ასევე, მნიშვნელობები „უზარმაზარი, ძლიერი და მძიმე წონის“ (Huge, powerful and heavy) წამოადგენენ მეტაფორიზაციის შემთხვევებს, ხოლო მნიშვნელობები „უზრდელი და რთული“ (ill-cultured, ill-bred and hard)-მნიშვნელობის დაკნინება-გაუარესების მაგალითებს. მეტაფორიზაციას მიეკუთვნება, ასევე, ალკოჰოლიანი ყავის, ჩაისა და სხვა სასმელებთან დაკავშირებული მნიშვნელობები, იგივე მოვლენა დასტურდება ამ სიტყვის მიერ ყინულის მოედნის გადააზრების მნიშვნელობაში (Rink and ice rink).

4. PIE. *w^hl-p^h-i/ē (fox, jackal) / *wl-o-p^hek^h-(ā) < *wel- (კვლა,დაგლეჯვა)

Av. Raopi (fox, jackal)/ OPers. Raubaθa > MPers. rōpāh > NP. Rōbāh (cattle killer)

OCS. Lisa > Russ. lisa

OE. fox > ME. fox > NE. fox

PIE. *wl-o-p^hek^h-(ā)

English	Persian	Russian
1. The fur of a fox	1. a deceptive and cunning person	1.The fur and skin of the animal
2. A clever, crafty person		2. Products made from the fur and the skin of the animal
3. Arch. Sword		
4. A Wisconsin American Indian		
5. A good-looking young woman or man		3. A cunning, sly, flattering person

ინგლისური. ამ სიტყვის პროტო-ინდოევროპული ძირი ნიშნავს „რქოსანი საქონლის მჭამელს ან ლემის მჭამელს“ (cattle eater or one feeding on dead cattle). საინტერესოა, რომ ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვან ინდოევროპულ ენებში ეს მნიშვნელობა ქრება. “მელიის ბეწვის“ შემთხვევაში სახეზეა მეტონიმიური გადააზრება. სემანტიკური ძვრა „ჭკვიანი და მოხერხებული“ (clever and crafty), ისევე, როგორც „კარგი იერის, კარგი შესახედავი“ (good-looking) მეტაფორულ გადააზრებას ადასტურებს. იგივე მოვლენა ფიქსირდება მნიშვნელობებში “sword” (ხმალი, არქ) და ვისკონსინის ტომის ამერიკელი ინდიელი (Wisconsin American Indian).

სპარსული. სპარსულში ეს სიტყვა გადავიდა მხოლოდ მეტაფორული გადააზრებით, როგორც მატყუარა და ეშმაკი ადამიანი.

რუსული. რუსულ ენაშიც, სხვა ენების მსგავსად, დაფიქსირებულია მეტონიმიური და მეტაფორული გადააზრების შემთხვევები მსგავსი სემანტიკით.

5. PIE. *q^hwep^h- (ტახი)

Av. Varāza > MPers. Varāz > NPers. Gurāz

Oruss. Vepr

OE. Eofor, bār > ME. bor > NE. boar

English	Persian	Russian
1. An uncastrated male swine	1. A kind of spade	1. Wild swine, boar
2. The male of any of several mammals such as guinea pig or raccoon	2. A thick rod 3. A kind of vase 4. Fig. arch. A brave and courageous person	2. (A big piece, a lump of some raw material)
3. applied to		

people		
heraldically		

ინგლისური. ძველ გერმანიკულ ტრადიციაში ტახის ეშვიანი ჩაფხუტები და საბრძოლო ფარები ფართოდ გამოიყენებოდა, როგორც ომის სიმბოლოები. შესაბამისად, ამ სიმბოლოების მნიშვნელობის გადანაცვლება ადამიანის მიმართულებით შეიძლება განვიხილოთ, როგორც მნიშვნელობის მეტაფორული გაკეთილშობილების შემთხვევა. ამასთან ერთად, მამრობითი ძუძუმწოვარი ცხოველების ნომინაცია ამ ინდოევროპული ძირით, შეიძლება მივუჩნიოთ მნიშვნელობის განზოგადებისა და გაფართოების შემთხვევებად.

სპარსული. სპარსულში ეს ძირი მეტაფორულად იხმარება გარკვეული სახის ნიჩბის, ხის ან ლითონის პალოსა და ყვავილის სახეობის აღსანიშნად. მეტაფორული ძვრა დასტურდება ამ სიტყვის მამაცი ადამიანის მნიშვნელობით ხმარების შემთხვევაშიც.

რუსული. რუსულ ენაში ეს ძირი ადასტურებს მეტაფორულ გადააზრებას, დიდი ზომის ან სისქის ანალოგიაზე დაყრდნობით.

6. PIE *q^he/op^h- , *q^he/op- (მაიმუნი, ადამიანისმსგავსი მაიმუნი)

Av. OPers. Kapik NP. Maymun, būzīnaop, k(g)api
 ORuss. Obez'jana Russ. Obez'jana < Pers. būzīna
 OE. apa > ME. apa NE. ape

PIE *q^he/op^h- , *q^he/op-

English	Persian	Russian
1. The animal of the monkey tribe	1. The hairy animal of the monkey tribe.	1. The animal of the monkey tribe.
2. A mimic, one		2. The fur and

who imitates	2. Clumsy, very ugly	skin of the animal
3. A large uncouth person	3. Happiness	3. Products made from the fur and skin
4. A foolish and silly person	4. Used as a swear word	4. The person inclined to imitate
		5. One who quavers, play the ape
		6. A very ugly person
		7. Used as a swear word

ინგლისური. ცხრილში მოყვანილი პირველი მნიშვნელობა (The animal of the monkey tribe) არის მნიშვნელობის განზოგადების შემთხვევა, რადგანაც, ამ შემთხვევაში, ეს ცნება იხმარება მაიმუნის ყველა სახეობის აღსანიშნად. რაც შეეხება, მნიშვნელობებს „მიმბაძველი, გაუთლელი და სულელი ადამიანი“ (mimic, uncouth and foolish person), სამივე მათგანი მეტაფორულ გადააზრებას ეყრდნობა და წარმოადგენს მნიშვნელობის გაუარესებისა და დაკნინების შემთხვევებს.

სპარსული. სპარსულ ენაში სიტყვა “būzīna” გამოიყენება როგორც უარყოფითი კონოტაციის სიტყვა და ემყარება მაიმუნის აუცილებელ თვისებას, რომელიც დაფუძნებული ამის გარეგნულ სიმახინჯეზე და შეიძლება განვიხილოთ, როგორც მეტაფორული გადააზრება, მნიშვნელობის გაუარესების კომპონენტით. იგივე შეიძლება ითქვას მაიმუნის სპარსულ კულტურაში აღიარებული მოუქნელობის შესახებ.

რუსული. რუსულ ენასა და კულტურაში, სპარსულის მსგავსად, ეს ლექსიკური ერთეული იხმარება უარყოფითი კონოტაციით, როგორც სალანაძლავი სიტყვა. მისი სემანტიკური ცვლილების ხაზი წარმოადგენს მეტაფორულ გადააზრებას, მნიშვნელობის დაკნინებით. მეორე მხრივ, ასევე დასტურდება მეტონიმიზაციის შემთხვევებიც (the fur and skin of the animal).

7. PIE. *eǵʰi-, *ogʰoi- (სერპენტი, გველი, ჭია)

Av. aži > MPers. až > NPers. aždahā (big serpent)

OCS. Qžī > ORuss. Už' (serpent species) > Russ. Už

(adder, viper)/ Russ. ež hedgehog (snake-eater)

OE. igil/ íl > NE. Hedgehog

PIE. *eǵʰi-, *ogʰoi-

English	Persian	Russian
1. Hedgehog	1. a mythic huge serpent with fiery mouth 2. Arch. Fig. a strong and coarse horse 3. Arch.fig. a long and heavy sword	1. an eel 2. One Severely reacting to troubles and hardships 3. Anti-tank or anti-personnel obstacles

ინგლისური. ეს ინდოევროპული ძირის სიტყვა დატურდება ძველ ინგლისურში, მაგრამ მისი სემანტიკა იცვლება შემდგომ პერიოდებში და მისი საბოლოო

მნიშვნელობა „ზღარბი“ (‘hedgehog’) სრულიად განსხვავდება თავდაპირველი რეფერენტისაგან.

სპარსული. სპარსულ ენაში ეს ძირი აღნიშნავს დიდი ზომის, მძვინვარე მითიურ სერპენტს ან დრაკონს. მეტაფორულ ანალოგიაზე (ფორმა, ზომა და მძვინვარება) დაყრდნობით, მან მიიღო დიდი ხმლისა და ცხენის მნიშვნელობა.

რუსული. რუსულ ენაში ეს ინდოევროპული ძირის სიტყვა იცვლის რეფერენტს და აღნიშნავს გველთევზას, რაც მნიშვნელობის დავიწროვებად შეიძლება განვიხილოთ. ასევე, მეტაფორული გადაადგილების საფუძველზე, იგი აღნიშნავს ტანკსაწინააღმდეგო დაბრკოლებებს.

8. PIE. *w̥r̥mi-, *w̥r̥mo- > IE. k^hormi (ჭია)

Av. kərəma- > (stārō kərəmā: comet, meteor) MPers. kirm > NPers. kirm

OCS. črvī > Russ. červ’

OE. wŷrm > ME. wŷrm > NE. worm

PIE. *w̥r̥mi-, *w̥r̥mo- > IE. k^hormi (worm)

English	Persian	Russian
1. Arch. Snake, serpent	1. A creeping soft boneless animal	2.6. A useless long animal
2. Earth worm, annelid worm	without hands and feet.	2.7. A animal resembling a worm
3. Any small elongated naked-soft animals,	2. An annoying person	3. A pitiful, worthless person,
4. A contemptful person, wretch		worthlessness
5. Something		

spiral or vermiculate 6 . Thread of a screw 7 . Archimedes' screw 8 . An invading computer program		4. The name of an alphabet in Old Slavic or Old Russian
--	--	---

ინგლისური. ინგლისური ენა ამ სიტყვაში ამჟღავნებს შემდეგ ტენდენციებს: მნიშვნელობიდან „ჭიაყელა“ გადაადგილება ყველა ტიპის წაგრძელებული ფორმის უთმო ცხოველისაკენ წარმოადგენს მნიშვნელობის გაფართოების შემთხვევას; მნიშვნელობა „საზიზღარი, ზიზღის, სიბრალულის აღმძვრელი ადამიანი“ (A contemptful person, wretch) ეფუძნება მეტაფორულ გადაადგილებას და იწვევს მნიშვნელობის დაკნინებას. დანარჩენი მნიშვნელობებიც მეტაფორული გადააზრებით წარმოიშვა დიაქრონული განვითარების პროცესში.

სპარსული. სპარსულ ენასა და კულტურაში ასევე დასტურდება მნიშვნელობის მეტაფორული დაკნინების შემთხვევა, მნიშვნელობაში „გამაღიზიანებელი ადამიანი“ (An annoying person).

რუსული. რუსულ ენაში სემანტიკური ცვილელება ეყდნობა მეტაფორულ გადაადგილებას. კერძოდ, 2, 3, 4 მნიშვნელობებში გვაქვს მნიშვნელობის მეტაფორული გადააზრება.

9. PIE. *b^hib^her-, *b^heb^her- (თახვი)

Av. bawra/bawri > MPers. babrag, bawrak > NPers. babar/bedastar

ORuss. bebr > Russ. bobr

OE. beofor > ME. bever > NE. beaver

English	Persian	Russian
1. The fur or pelt of the beaver	1. A cat like animal favoured for its fur and skin	1. An animal of a detachment of rodents with valuable fur, leading a semi-aquatic life.
2. A hat, silk hat		2. Fur, the skin of such an animal.
3. A heavy fabric of felted wool or of cotton		3. colloq. A product made of fur, skins of such an animal.
4. Vulg. The pudenda of a woman		

ინგლისური. ინგლისურ ენაში სახეზეა მეტონიმიური გადაადგილება. (The fur or pelt of the beaver; a hat, silk hat); შემდეგი ორი მნიშვნელობა ეყრდნობა მეტაფორულ გადააზრებას (a heavy fabric of felted wool or of cotton და Vulg. The pudenda of a woman)

სპარსული. სპარსულ ენაში დასტურდება მხოლოდ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა.

რუსული. რუსულ ენაში გვაქვს მხოლოდ მნიშვნელობის მეტონიმიზაციის შემთხვევები.

10. PIE. *mūs (თაგვი, თხუნელა)

MPers. mūšk/ mūš > Pers. mūš

OCS.myšī > Russ. myš

OE. mūs > ME. mūs > NE. mouse

PIE. *mūs (mouse, mole)

English	Persian	Russian
1. A timid person 2. Dark colored swelling 3. Small manual device for using computer	1. An annoying and timid creature	1. The animal

ინგლისური. ინგლისურ ენაში ამ ინდოევროპულმა ძირმა განიცადა მეტაფორული ცვლილებები და, ასევე, ვლინდება მნიშვნელობის მეტაფორული დაკნინების შემთხვევები.

სპარსული. სპარსულშიც დასტურდება ინგლისური ენის მსგავსი შემთხვევები და მეტაფორული ხატები. კერძოდ, აქაც გვაქვს მეტაფორული გადაადგილება, მნიშვნელობის დაკნინებით.

რუსული. რუსულ ენასა და კულტურაში ეს ძირი მხოლოდ თავდაპირველი მნიშვნელობით დაფიქსირდა.

11. PIE. *wot'or-წავი

Av. udara > MPers. samōr > NPers. samōr

Russ. vydra

OE. oter > ME. oter > NE. otter

PIE. *wot'or-

English	Persian	Russian
1. Any of	4. The Puree is	1. A predatory

various largely aquatic carnivorous mammals of the weasel family 2. The fur or pelt of an otter. 3. Slang. A sailor (oxf.)	a smaller meat-eater than a fox with a narrow, stretched body, its skin is soft and tender and precious.	animal of the family of cuni, with valuable fur of dark- brown color 2. Fur, the skin of such an animal. 3. Colloq. Thin, ugly woman.
---	---	---

ინგლისური. ინგლისურ ენაში და კულტურაში დადასტურდა მეტონიმიზაციის შემთხვევები. ასევე, ცხოველის ცხოვრების სტილზე დაფუძნებული მეტაფორული გადააზრებით მივიღეთ ახალი სლენგი, მნიშვნელობით „მეზღვარი“ (3) Slang. A sailor (oxf.)).

სპარსული. სპარსული ენა ამ ცხოველის მხოლოდ პირველად მნიშვნელობას გვთავაზობს უცვლელად.

რუსული. რუსულ ენაში დასტურდება მეტონიმიზაციის შემთხვევები; გარდა ამისა, (3) მნიშვნელობა (Colloq. Thin, ugly woman) ეფუძნება მეტაფორიზაციის პროცესს და ადასტურებს მნიშვნელობის გაუარესების პროცესს.

12. PIE. *mu(s) (ბუზი, ბუზანკალი)

OIr. *makasa- > MPers. makas > NPers. magas < *makoko-/mokoko

Av. maxši > MPers. maxš

OCS. muxa > ORuss. mouxa > Russ. muxa

OE. mysc < Lat. musca > NE. mosquito

OE. mycg < OTeut. *mugjo-z > ME. migge > NE. midge

PIE. *mu(s) (fly, gadfly)

English	Persian	Russian
1. A tiny dipteran fly (with slender organs to puncture the skin of the animals and suck their blood)	1. An insect with two small wings, usually found in dirty areas.	1. Insect detachment of Diptera.
2. fig. One who irritates, torments, or worries another		2. sth. kind of resembling such an insect.

ინგლისური. ინგლისურ ენაში დაფიქსირდა სიტყვის მხოლოდ მნიშვნელობის კონოტაციის მეტაფორული დაკნინების შემთხვევა, კერძოდ, ის, ვინც აღიზიანებს ან აწამებს სხვას. (One who irritates, torments, or worries another).

სპარსული. სპარსული ენა არ ადასტურებს ამ სიტყვის სემანტიკურ განვითარებას.

რუსული. რუსული ენა მხოლოდ მეტაფორულ განზოგადებს გვთავაზობს, (2) დასახელებული მწერის მსგავსი რამ (sth. kind of resembling such an insect).

13. PIE. *wob^hsā (ბზიკო,კრაზანა) > *web^h (ქსოვა)

Av. Vawžaka (scorpion)> MPers. wabz> (a kind of bee)/ zanbur / bi(u)z

OCS. osa > Russ. osa (dial. Osva)

OE. wæfs > ME. waspe NE. wasp

PIE. *wob^hsā (wasp, hornet)

English	Persian	Russian
1. Any of the socially or solitary winged hymenoptero us insects.	1. Bee	2. Predatory hymenoptero us stinging insect with a bright (usually black and yellow) color

როგორც ჩანს, ეს ინდოევროპული ძირი საინტერესო არ აღმოჩნდა არცერთი ჩვენი საკვლევი ენისათვის.

14. PIE. *p^het^h (ჩიტო)

Av. patarəta (flying) >

ORuss. jastręb > Russ. jastreb (fast-flying)

OE. feðar > ME. feder NE. feather

PIE. *p^het^h (bird)

English	Persian	Russian
1. A light horny epidermal outgrowth from the	1. To fall	1. A bird of prey with a short hooked beak, sharp

external covering of the body of birds		curved claws, short rounded wings and a long tail.
--	--	--

ინგლისური. ეს ინდოევროპული ძირი, რომელიც პროტო-ინდოევროპულ ენაში ნიშნავდა „ჩიტს“ (bird), ინგლისურ ენაში გვთავაზობს მეტონიმურ გადააზრებას და აღნიშნავს მხოლოდ მის ერთ ნაწილს- „ბუმბულს“ (feather);

სპარსული. სპარსულ ენაში, ასევე, დაფიქსირდა მეტონომიზაციის პროცესი და მნიშვნელობის დავიწროვება;

რუსული. რუსულ ენაში ინდოევროპული ძირის თავდაპირველი მნიშვნელობა დავიწროვდა და აღნიშნა მისი ერთი სახეობა, ქორი (hawk). ამგვარად, სახეზე გვაქვს მნიშვნელობის დავიწროებისა და სპეციფიკაციის პროცესი..

15. PIE. *k'er- (ყვავი)

Av. vārəθn > *krāka-/*karaka- > MPers. varak/ varax > Npers. kalār

OCS. vrana > Russ. vorona

OE. crawe ME. crowe > NE. crow

PIE. *k'er-

English	Persian	Russian
1. A bird of the genus Corvus; in England commonly applied to the Carrion Crow (Corvus	1. The bird is a chariot of meat with white feathers and black and black beetles that hunts	1. Bird of the order of crows of medium size, with black or gray-black plumage. 2. Colloq. Drag.

Corone), ‘a large black bird that feeds upon the carcasses of beasts’	insects and small animals.	distracted, inattentive person.
2. A member of an American Indian region		
3. The language of the Crow people		
4. Humble pie		

ინგლისური. ეს ინდოევროპული ძირი ადასტურებს მნიშვნელობის სპეციალიზაციით გადაადგილებას ინგლისურ ენაში და აღნიშნავს ამერიკელი ინდიელებით დასახლებული ერთ-ერთი რეგიონის წევრს; რაც შეეხება მნიშვნელობას, (4) Humble pie (თავის დამცირება), იგი მეტაფორული ძვრის გარდა, მნიშვნელობის დაკნინებასაც გულისხმობს.

სპარსული. სპარსული ენისათვის ეს ლექსიკური ერთეული საინტერესო არ აღმოჩნდა.

რუსული. რუსულ ენაში ფიქსირდება საინტერესო მეტაფორული გადააზრება, მნიშვნელობის დაკნინებით.

16. PIE. *he/or (არწივი)

Av. əθəzi-fya > OPers. *ardufya (direct flyer) > MPers. āluh > NPers. āluh

OCS. orilŭ > Russ. orel (eagle)

OE. earn/erne > ME. > NE. eagle

OE. eador > ME. egle > NE. eagle

PIE. *he/or

English	Persian	Russian
PIE. *men- (think, thought, mind, reason)	Av. manah- (thought) >MPers. menišn(thought) > NPers. maniš	OCS. mǫnjǫ/ pamęť (memory) > Russ. mnit'/pamjat'

ინგლისური ენა. ძველი რომაელების პერიოდიდან მომავალი, და ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი მნიშვნელობები (Eagle bearing standard of the ancient Romans და A pair of eagle-bearing silver insignia) მეტონიმიურ გადააზრებას ადასტურებს, ხოლო 4 და 5 მნიშვნელობები (A golf score და a member of fraternal order) მეტაფორული სპეციალიზაციის შემთხვევებია.

სპარსული. სპარსული ენა არ გვთავაზობს სემანტიკურ განვითარებას ამ სიტყვის მიმართებით, თუმცა არაფორმალურ მეტყველებაში, სპარსულ კულტურაში, არწივი მიიჩნევა მჭრელი თვალის მქონედ და მეტაფორული გადააზრებაც ამ მიმართებით ხდება.

რუსული. რუსულ ენაში დაფიქსირდა ამ ინდოევროპული ძირის მეტონიმიური და მეტაფორული ძვრები.

17. PIE. *men- (ფიქრი, აზროვნება)

Av. manah- (thought) >MPers. menišn(thought) > NPers. maniš

OCS. mǫnjǫ/ pamęť (memory) > Russ. mnit'/pamjat'

OE. gemynd (memory, remembrance) >ME.mynd> NE. mind

PIE. *men-

English	Persian	Russian
1. Recollection, memory	1. Temperament,	1. Arch. Think, believe
2. Intention, desire	2. Thought	(usually false, in vain).
3. The normal or healthy condition of the mental abilities	3. Great character	2. Hope, count.
4. Opinion	4. Behavior	
5. Disposition, mood	5. Satisfaction	
6. Intellectual ability	6. Happiness	
	7. Disposition, mood	

ინგლისური. ეს ინდოევროპული ძირი მხოლოდ ძველ ინგლისურ სიტყვაში “gemynd” ნარჩუნდება, რაც შემდეგ, სემანტიკური განვითარების შედეგად, გვაძლევს ახალი ინგლისურის სიტყვას გონება (“mind”). სემანტიკური ცვლილებები მოიცავს მეტონიმას, როდესაც სიტყვის მნიშვნელობა თავდაპირველი ინდოევროპული მნიშვნელობიდან „გონება“ (“mind”) გადაინაცვლებს მნიშვნელობისაკენ „მახსოვრობა“ („memory and recollection”), რომელიც გონების სპეციფიკურ აქტივობას აღნიშნავს. ამავე სიტყვის სხვა მნიშვნელობები მოიცავს მეტონომიურ გადაინაცვლებებს (განზრახვა, სურვილი (“intention, desire”), აზრი (“opinion”), განწყობა (“mood, disposition”) და ინტელექტუალური შესაძლებლობა, უნარი (“intellectual ability”).

სპარსული. სპარსულ ენაში ინდოევროპული ძირის ძირითადი მნიშვნელობა „ფიქრი“ (“thought”) ნარჩუნდება ავესტურიდან თანამედროვე სპარსულამდე, თუმცა სხვა პროცესებიც არსებობს, მაგალითად, ცვლილება მნიშვნელობისაკენ „ტემპერამენტი, განწყობა, ქცევა“ (“temperament, mood, behavior”), „ბედნიერება, კმაყოფილება და განწყობა (“happiness”, “satisfaction” and disposition”). ყველა ეს

მაგალითი წარმოადგენს მნიშვნელობის დაკონკრეტების, სპეციალიზაციის შემთხვევებს. მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვლინდება ზოგადი დიაქრონული ცვლილება გონების აბსტრაქტული მახასიათებლების მიმართულებიდან, როგორცაა ფიქრი და ბედნიერება (მდგომარეობა) ფიზიკური ქმედებისაკენ -ქცევა,

რუსული. ინდოევროპული ძირი ინარჩუნებს „ფიქრის, აზროვნების“ (“thinking” ან “thought”) მნიშვნელობას, თუმცა ადასტურებს მნიშვნელობის დაკნინებისა და გაკეთილშობილების მაგალითებსაც (იხ. ცხრილი).

18. PIE.*b^hraHt^her- (ძმა)

Av. /OPers. Brātar > MPers. brātar > NPers.barādar
 OCS. brat(r)ŭ >OSlav. Bratrъ/brat > Russ. brat
 OE. brōþor> ME. brōþor> NE. brother

PIE. b^hraHt^her-

English	Persian	Russian
1. The son of the same parents	1. A boy who has a parent or daughter with another	1. Each of the sons in relation to other
2. Including more distant kin: A kinsman, as uncle, nephew, cousin.	2. Fig. Friend, fellow companion	2. The one with whom they are united, bringingtoge
3. Said affectionatel y of one	3. Close relative 4. Compatriot 5. Person of equal status	

<p>regarded or treated as a brother; one who fills the place of a brother</p> <p>4. A fellow-clansman, fellow-citizen, fellow-countryman (one who claims the same patria or fatherland)</p> <p>5. A fellow-member of a Christian society, or of the Christian Church as a whole; a fellow-christian</p>		<p>ther</p> <p>common interests, living conditions, etc.; like-minded, fellow.</p> <p>3. Member of the religious brotherhood; monk.</p> <p>4. as a familiar or friendly appeal to a man, a young man, a boy.</p>
---	--	--

ინგლისური. საწყისი ინდოევროპული ძირის მნიშვნელობა მოიცავს არამხოლოდ დედამამიშვილის, არამედ ბიძაშვილის, ანუ მამის ძმის შვილის მნიშვნელობას. ამ

თვალსაზრისით, ხდება ამ მნიშვნელობის განზოგადება მნიშვნელობად „ნათესავი“ (“kinsman”). ასევე თვალნათლივია მეტაფორული გაკეთილშობილება მნიშვნელობაში „ის, ვინც ძმად განიხილება, ძმადნაფიცი“; მეტაფორული გადააზრება მნიშვნელობაში „ყმაწვილი“ და მეტაფორული დაკონკრეტება, დავიწროება მნიშვნელობაში „ბერი“ (monk).

სპარსული. სპარსულ ენაში დასტურდება მეტაფორული გადააზრება, რომელიც დასაბამს იღებს მეტაფორებიდან „მეგობარი, ყმაწვილი“; ვლინდება მნიშვნელობის განზოგადება მნიშვნელობაში „ახლო ნათესავი“ (“a close relative”), მეტაფორა მნიშვნელობაში „თანამემამულე“ (“compatriot”) და მნიშვნელობის განზოგადება მნიშვნელობაში „თანატოლი, თანასწორი (“a person of an equal status”).

რუსული. რუსულ ენაში დასტურდება მეტაფორა მნიშვნელობაში „მეგობარი, ყმაწვილი“ (“friend, fellow”), მეტაფორა მნიშვნელობაში „ბერი“ (“monk”), და მეტაფორული გაკეთილშობილება მნიშვნელობაში „ახალგაზრდა მამაკაცისადმი მეგობრული განწყობა (“a friendly appeal to a young man”).

19. PIE.*s^oesor- (და)

Av. x^van̄har > MPers. xwār > NPers. xvāhar

OCS. sestra>OSlav. sestra> Russ. sestra

OE. sweostor> ME. suster/sister NE.sister

PIE.*s^oesor-

English	Persian	Russian
1. A female in relationship to another person or persons	1. A girl who has a parent with another person	1.The daughter of the same parents in relation to

<p>having the same parents</p> <p>2. Used to designate the mother-in-law of one's daughter.</p> <p>Obs</p> <p>3. A female holding a similar position to another; a fellow-queen</p> <p>4. A female member of a religious order, society, or guild; spec. a nun.</p> <p>5. A member of a body of nurses; also spec. a head-nurse having charge of a</p>		<p>their other children.</p> <p>2. A woman who is united with smb. on common interests, aspirations.</p> <p>3. The person of the average medical personnel in medical institutions.</p> <p>4. The nun.</p> <p>5. As an appeal to a female person.</p>
--	--	---

ward in an infirmery or hospital		
--	--	--

ინგლისური. ამ ინდოევროპული ძირის სიტყვის საწყისი მნიშვნელობა აღნიშნავს სისხლისმიერ ნათესაობას. ფაქტობრივად, ინდოევროპულ საზოგადოებაში ქალი დამოუკიდებელი იყო, სანამ გათხოვდებოდა და სხვა ოჯახის წევრი გახდებოდა. ამის გამო, საწყისი ფორმა ნიშნავს „საკუთარი თავის პატრონ ქალს“. ამის გამო, ინგლისური ენა ქმნის რამდენიმე მეტაფორას, მათ შორის „ექთანი“, „მთავარი ექთანი“, „ქალიშვილის დედამთილი (მძახალი)“ (“nurse” or a “head nurse”, “one’s daughter’s mother-in-law”), რომლებიც წარმოადგენენ მნიშვნელობის დაკონკრეტებისა და სპეციალიზაციის შემთხვევას. იგივე შეიძლება ითქვას რელიგიური ორდენის ქალ წევრზე (“a female member of a religious order”), ხოლო მნიშვნელობა „ნებისმიერი ქალი, რომელიც ამ სტატუსს ფლობს“ (“any female of holding similar status”), შეიძლება განვიხილოთ, როგორც მნიშვნელობის მეტაფორული განზოგადება.

სპარსული. როგორც კვლევამ დაადასტურა, ეს ლექსიკური ფორმა არ ამჟღავნებს სემანტიკურ განვითარებას სპარსულში და ინარჩუნებს თავდაპირველ ინდოევროპულ მნიშვნელობას.

რუსული. რუსული ენაში ხდება მნიშვნელობის სპეციალიზაცია მნიშვნელობაში „ქალი, რომელიც საერთო ინტერესით დაკავშირებულია სხვასთან“ (“a woman united with the other in having common interests”) და მეტაფორული დაკონკრეტება-სპეციალიზაცია მნიშვნელობებში „მონაზონი“ და „მედეა, ექთანი“ (“nun”, “nurse”). გარდა ამისა, საინტერესოა მეტაფორული გაკეთილშობილების ფაქტი, როდესაც ეს სიტყვა იხმარება, როგორც მიმართვა ქალისადმი (“an appeal term to a female person”).

20. PIE. *p^hH^ter- (მამა)

Av. Pitar/piθr/ Opers. pitar > MPers.pitar > NPers.pidar
 OCS. Otičǫ>ORuss. ot'c' > Russ. otec
 OE. fæder > ME. fader > NE. father

PIE. *p^hHt^her-

English	Persian	Russian
1. One by whom a child is or has been begotten, a male parent, the nearest male ancestor	1. A man who has a child	1. A man in relation to his children.
2. The teacher to whom a person owes his religious life	2. Supervisor and older in a family	2. as a familiar appeal to an elderly man.
3. father-in-law, stepfather, or one who adopts another as his child	3. Fig. the founder, creator	3. One who paternally cares for others; patron, benefactor.
4. colloquially by a wife addressing or referring to her husband	4. Adam	4. The ancestor, the founder of smth.
	5. One of the trinity figures	5. When naming ministers of worship, monks or when addressing them (usually associates with a name or rank).
		6. Male in relation to his offspring (usually about pedigree,

5. to the relative or friend who 'gives away' a bride		thoroughbred horses,
6. one who shows paternal kindness		
7. Applied to Christ		
8. The Pope		
9. The oldest member of a society		
10. the First Person of the Trinity		
11. The leading men or elders of a city or an assembly		

ინგლისური. ინგლისური ენა ადასტურებს ერთეულის მნიშვნელობის მეტაფორულ გაკეთილშობილებებს შემდეგ მნიშვნელობაში: მოამაგე მასწავლებელი (“the teacher to whom one owes....”), არაფორმალური მიმართვის ფორმა ქმრისადმი (“colloquial way of wife’s addressing her husband”), პაპი (“pope”), ლიდერი (“leading men”), საზოგადოების წევრი (“the member of a society”) და ის, ვინც მამობრივ ზრუნვას ამჟღავნებს (“one who shows paternal kindness”). ამასთან ერთად, დასტურდება მეტაფორული სემანტიკური გადაადგილება მნიშვნელობებში „მეგობრის ნათესავი, რომელიც ქორწილზე პატარძალს საკურთხევლამდე მიაცილებს (“the relative or friend who gives

away a bride)” და ის, ვინც იშვილებს ბავშვს (“one who adopts another as his child). ასევე, მეტაფორული სპაციალიზაცია დასტუდება მნიშვნელობაში „სამების პირველი პირი“ (the first person of the trinity).

სპარსული. სავარაუდოდ, სპარსული ძირი ენათესავება ინდოევროპული ენის ფორმას PIE. *pa/pā/pō, რომელიც ნიშნავს ზრუნვას (“to watch, to take care”). ასევე, ფიქსირდება სუფიქსი *-teral, თუმცა, ასევე ფიქრობენ, რომ ძირი მოდის ბავშვის მეტა-ენიდან *pa (pa). შემქმნელი და დამფუძნებელი (“founder and creator”), სამების ერთ-ერთი წევრი (“one of the trinity figures”) და „უფროსი, ოჯახის უხუცესი წევრი (“supervisor and older in a family”).

რუსული . რუსულ ენაში ეს ფორმა განსხვავდება ინგლისური და სპარსული ფორმებისაგან ძირის ცვლილების გამო. ფაქტობრივად, რუსული ფორმა მომდინარეობს ძველი სლავური საეკლესიო ენიდან რომელიც წარმოშობს რუსულ tjatja, tata. იგივე პროცესი შეიძლება ვნახოთ სხვა ძველ ინდოევროპულ ენებშიც. რუსული ენა წარმოშობს რამდენიმე მეტაფორას, როგორცაა მფარველი („patron and benefactor”), მამა (“A male in relation to his offspring”), მიმართვის ფორმა ბერისადმი (“when addressing monks”) და მეტაფორული გაკეთილშობილება ქვემნიშვნელობაში „მიმართვა ასაკოვანი კაცისადმი (“addressing an elderly man’).

21. PIE. *maHt^her- (დედა)

Av. mātar , OPers. mātar > MPers. mātar > NPers. mādar

OCS. MatiORuss. mati> Russ. mat’

OE. mōdor> ME. moder> NE. mother

PIE. *maHt^her-

English	Persian	Russian
1. A female parent; a woman who	1. A woman who has a child, mum,	1. A woman in relation to her

<p>has given birth to a child</p> <p>2. a frequent designation of the Virgin Mary in Catholic use</p> <p>3. That which is characteristic of motherhood; maternal affection</p> <p>4. A female ancestress</p> <p>5. Applied to a stepmother or a mother-in-law</p> <p>6. an exclamation of surprise, dismay</p> <p>7. Said of the earth</p> <p>8. Said of a country</p> <p>9. A title given</p>	<p>parent</p> <p>2. . Main, Primary, Primitive</p> <p>3. Land, soil</p> <p>4. Fig. triggering, causing</p> <p>5. Arch. Fig. Any of the four basic elements; soil, water, wind, fire</p> <p>6. Fig. garden</p>	<p>children.</p> <p>2. A woman who has or has children.</p> <p>3. The female of the animal in relation to her cubs.</p> <p>4. What is the source that gave birth to life, what gave birth to something, became the cause of something, from where they draw energy, vitality.</p> <p>5. As a permanent epithet with the words: earth, motherland,</p>
--	---	---

<p>to the head or superior of a female religious community</p> <p>10. the head of the maids of honour in a Royal household</p> <p>11. A term of address for an elderly woman of the lower class</p>		<p>Russia, etc.</p> <p>6. as a familiar appeal to an elderly woman</p> <p>7. The nun.</p> <p>8. The wife of a clergyman.</p> <p>9. Used when expressing disappointm ent, admiration, astonishmen t, displeasure, etc., as well as in the form of abusive expressions or expressions that replace them.</p>
---	--	--

ინგლისური. ინგლისურ ენაში დასტურდება რამდენიმე მეტაფორული ცვლილება (ღვთისმშობელი (“Virgin Mary”), დედამიწა (“earth”), ქვეყანა (“country”), რელიგიური

საზოგადოების წინამძღოლი (“head of a group of maids and a religious community”). ამასთან ერთად, მნიშვნელობა „დედობრივი სიბოძო“ (“maternal affection”) არის მეტონიმური ძეგრა, ხოლო მნიშვნელობა „მდედრობითი სქესის წინაპარი“ („female ancestress“) ეყრდნობა მნიშვნელობის განზოგადებას. მეორე მხრივ, მნიშვნელობები „დედინაცვალი“ ან „დედამთილი/სიდედრი“ წარმოადგენს მნიშვნელობის მეტაფორულ დაკონკრეტებას, სპეციალიზაციას. ასევე, დასტურდება მნიშვნელობის მეტაფორული გაკეთილშობილებაც, კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ერთეული იხმარება, როგორც მიმართვის ფორმა.

სპარსული. ამ სიტყვის საწყისი მნიშვნელობა მოდის ბავშვის მეტყველებიდან და არ ახასიათებს რაიმე მოტივაცია და მნიშვნელობა. სპარსულ ენაში დასტურდება მეტაფორიზაციის შემთხვევები, კერძოდ, მნიშვნელობებში „მიწა, ბალი“ და „მთავარი, პირველადი, პრიმიტიული“ (“land, soil”, “garden” and “main, primary, primitive”). საფუძველი ცხადია, რადგანაც ყველა მათგანს საფუძველად უდევს დედასთან მსგავსება.

რუსული. რუსული ენაში დასტურდება მნიშვნელობის განზოგადების ტენდენცია, განსაკუთრებით მნიშვნელობაში „ქალი, რომელსაც ბავშვები ჰყავს“ (“any woman having children”), ასევე, მნიშვნელობის სპეციალიზაცია, დაკონკრეტება მნიშვნელობაში „დედალი ცხოველი“ (“female of animals”), „ფოფოღია“ (“wife of a clergyman”) და მეტაფორული მნიშვნელობის გაკეთილშობილება მნიშვნელობაში “ხანშიშესული ქალისადმი მიმართვა”, (“an appeal to an elderly woman”), ხოლო მეტაფორა მნიშვნელობაში „მონაზონი“, „სიცოცხლის წყარო“ (“the nun” და source of life”).

22. PIE. *b^h(e)rǵ^h- (high, originally meaning (ადგომა, აღმასვლა))

Av. barəzah (mountain, height) / OPers. *br̥zant>MPers. burz NPers. burz (high)
 OSlav. breg < Ger. berg > Russ. bereg
 OE. beorg, beorh (mountain) > ME. bergh> NE. berg/ barrow

PIE. *b^h(e)rǵ^h-

English	Persian	Russian
1. A mountain, mount, hill, or hillock	1. Height elevation.	1. Mountain
2. A mound of earth or stones erected in early times over a grave	2. Height (man). 3. Trunk (stem). 4. The glory of greatness.	2. Shore 3. The land edge, adjacent to the water surface.
3. A mound or heap	5. Beauty. 6. Youth and stability	4. Mainland, land as opposed to the sea, ship

ინგლისური. ამ ინდოევროპული სიტყვის არქაული გამოყენება *bhergh ატრიბუტული ფუნქციით, მნიშვნელობით „მაღალი“ და კოლოკაციით სიტყვასთან „მთა“ ხშირად იწვევს ამ ძირის დერივატივების სუბსტანტივაციას სიტყვის „მთა“ სპეციფიკური გამოყენებით: „high mountain“ > „high“ > „height“ > „mountain“. ამგვარად, მაშინ როცა ინდოევროპული ძირის საწყისი მნიშვნელობა არის ‘ადგომა’ (“rise, stand up and get up”), ინგლისურ ენაში გვადღევს მეტაფორულ განზოგადებას. მეტაფორულად ნახმარი „გროვა“ (“mound” და “heap”) ამასთან ერთად გულიხმობს კონცეპტს „მაღალი“.

სპარსული. სპარსულ ენაში არ შენარჩუნებულა სიტყვის „მაღალი“ (“high”) თავდაპირველი მნიშვნელობა. ამასთან ერთად, დასტურდება მეტაფორული სპეციალიზაციისა და გაკეთილშობილების შემთხვევები

რუსული. რუსულ ენაში დასტურდება გადაადგილება სიტყვიდან “berg” ფორმისაკენ “bereg”, რომელიც ახლა ნიშნავს ნაპირს, თუმცა ადრე იგი ნიშნავდა მთას. ეს ვარაუდი ეყრდნობოდა ფაქტს, რომ ადრინდელი მნიშვნელობა ზოგიერთ ინდოევროპულ დიალექტში, მაგალითად, ალბანურში „burg“ აღნიშნავდა „მთას, მთაგრეხილს“ („mountain, mountain range“). ამის მიუხედავად, ეს არის მნიშვნელობის

მეტაფორული დავიწროების სპეციალიზაციის შემთხვევა. უფრო სწორად, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა „მთიდან“ გადაინაცვლებს მნიშვნელობისაკენ „ნაპირი“, მეტაფორაზე დაყრდნობით. იგი ჯერ აღნიშნავს წყლის პირას მდებარე მიწის მონაკვეთს, შემდეგ კი, განზოგადებაზე დაფუძნებით, იგი აღნიშნავს ხმელეთს.

23. PIE. *nebʰ (ცა, ნისლი, ღრუბელი, სივრცე)

Av. nabah- > (sky, air, space)> NPers. nāve (a container)

OCS. / ORuss. nebo> Russ. nebo (sky)

OE. nifo /neowol (fog, mist/ dark, gloomy, precipitous: headlong: prone, prostrate, Æ, Bo (i): obscure, deep down, abysmal > NE. nuel (Obs; prone, prostrate)

English	Persian	Russian
1. Prone, prostrate	1. A wooden container 2. Everything hollow inside 3. A groove , a track on a human being's back	1. Visible space above the surface of the earth, air space in the form of a vault, a dome; the firmament. 2. The spherical space surrounding the Earth, the place of the apparent arrangement

		<p>of the stars.</p> <p>3. Space or - according to religious beliefs - the seat of God.</p> <p>4. Arch. Providence, divine powers.</p>
--	--	--

ინგლისური. ამ ინდოევროპული ძირის თავდაპირველი მნიშვნელობა ეხმაურება ფიზიკურ რეალობას, ფაქტს, რომ ცა ხშირად იფარება ღრუბლითა და ნისლით. ინგლისურ ენაში სემანტიკური ცვლილება შეიძლება ეყრდნობოდეს ნისლისა და ბურუსის ცაზე გავრცელების მოვლენას. სემანტიკური ცვლილების მექანიზმი ეყრდნობა მეტაფორულ სპეციალიზაციას და აღნიშნავს ნისლის დედამიწაზე გავრცელების პროცესს.

სპარსული. სპარსულ ენაში თავდაპირველი მნიშვნელობა „ცა, ჰაერი და სივრცე“ (“sky, air and space”) ჩანაცვლდა სხვა სიტყვებით, რომლებიც ასევე აღნიშნავენ ცას, მაგალითად, “asman”. მიუხედავად ამისა, მნიშვნელობა „ჰაერი და სივრცე“ შენარჩუნებულია სიტყვაში „nāve“, რომელიც აღნიშნავს ღრმა კონტეინერს. ეს პროცესი არის მეტონიმაზე დაფუძნებული გადაადგილება.

რუსული. ინდოევროპული ძირის მნიშვნელობა „ცა“ და ასევე სხვა მნიშვნელობები დაკავშირებულია ცასთან და ატმოსფეროსთან. ამასთან ერთად, მნიშვნელობები „ღმერთის საბრძანებელი“ (“seat of god”) და ზეციერი ძალაუფლება (“divine powers”) სპეციალიზაციის პროცესს შეიძლება მივაწეროთ.

24. *wormu-/ morwi

English	Persian	Russian
1. An ant: any	1. A small	1. A small insect of

of the family of colonial hymenoptero us insects with a complex social organization	insect with a three-part body that lives socially. 2. Fig. a worthless and small person	the suborder of stinging hymenopterans, living in large communities
--	---	---

ინგლისური. ინგლისური ფორმა „ჭიანჭველა“ მოდის ძველი ინგლისური ფორმიდან *æmete*, რომელიც დაკავშირებულია ძველ მაღალგერმანულ *Meizan*-თან, რომელიც ნიშნავს „დაჭრას“ (“to cut”); შესაბამისად „ჭიანჭველა“ ადრე ნიშნავდა „მჭრელს ან მკბენელს (“the cutter or biter off”). ინგლისურ ენაში არ დასტურდება სემანტიკური ცვლილება.

სპარსული. სპარსულ ენაში ჭიანჭველა არის პატარა და უღირსი კონცეპტის არსების სინონიმი და ეს მნიშვნელობა ეფუძნება მეტაფორულ მნიშვნელობის გაუარესების პროცესს.

რუსული. რუსული ენა არ ადასტურებს სემანტიკურ ცვლილებებს.

3.3. ემპირიული მასალის ანალიზი

დისერტაციის ეს ქვეთავი ეძღვნება დისერტაციაში განხილული პრობლემის აღმნიშვნელი და აღმწერილი ემპირიული მონაცემების პრეზენტაციას, კვლევის წარმართვას და შედეგების წარმოდგენას. შედეგები და მასალა წარმოდგენილია ორ დონეზე: მიკრო და მაკროდონეებზე. შედეგები ანალიზის მიკროდონეზე მოიცავს სემანტიკური ცვლილებების სიხშირის, ზოგადი სემანტიკური დინამიკისა და ცვლილებისადმი მდგრადობის პარამეტრების აღწერას სამივე ენაში. ასევე, ამ პრობლემასთან დაკავშირებული დისკუსიასა და განმარტება-ანალიზს. მეორე მხრივ, ანალიზის მაკროდონეზე აღვწერთ სემანტიკური ცვლილების ბუნებასა და მათი

ქცევის წესებს. ასევე, აქ წარმოდგენილია ჩვენი დისერტაციის ემპირიული მასალის კვლევის შედეგების განხილვა და ანალიზი,

3.4. 1. შედეგები შედეგების ანალიზის მიკროდონზე

შედეგების ანალიზის მიკროდონე მოიცავს სემანტიკური ცვლილებების მექანიზმების წარმოდგენას, მათი ზოგადი სემანტიკური დინამიკისა და უცვლელობის აღწერას ინგლისურ, სპარსულ და რუსულ ენებში; ასევე საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებულ დისკუსიასა და შედეგების ანალიზის წარმოდგენას.

სემანტიკური ცვლილებების მექანიზმები: სიხშირე, პროცენტული რაოდენობა, მნიშვნელობა და სტატისტიკური მონაცემები

დისერტაციაში შესწავლილია ინდოევროპული საბაზისო სიტყვების 12 თემატური ჯგუფის სიხშირე, რომლებიც თემატურად და რაოდენობრივად დაყოფილია შემდეგნაირად: 27 ზოონიმი (*wlk^o-, *hrt^hk^h, *wlp^h-i/ē, *q^hwep^h-, *q^he/op^h- , *eġ^hi-, *wɾmi-, *b^hib^her-, *mūs, *wot^oor-, *mu(s), *wob^hsā, *k^hɾs-en, *morwi-, *p^het^h, *he/or, *k^oer-, *k^oer-, *ek^oos, *k^oou-, *Howi, *q^hok^h^-, *k^hun-, *sū- , *k^hat^h- , *k^herk^h-) 6 მცენარის დასახელება (*t^ore/ou-, *b^herHk^h^-, *(H)osp^h-, *wei-, *K^hɾno-, *wrot^o-), 6 ტოპოგრაფიული სიტყვა (*b^h(e)ɾġ^h-, *neb^h-, *t^hek^ho-, *wet^o-, *or-, *p^hleu-), 8 მეტეოროლოგიური ფენომენი (*Hwent^h-, *wē(i)-, *wers-, *sneig^ho-, *(y) ek^o-/* eis-, *g^hoer-m-, t^hep^h-, *wer-), 4 ასტრონომიული ფენომენი (*s(a)wHel-/n-, *meH-s-, *louk^hsnā-, *Hast^her-), სასოფლო-სამეურნეო ლექსიკის აღმნიშვნელი 3 ლექსიკური ერთეული (*k^or-no-/*dhōnā, *yēr-, *Hak^hro-), 1 კვება (*et^o-), 12 ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვა; (*k^oen-, *wid^heu-, *s^oek^hru-, *s^oek^hro-, *snuso-, *braHt^her-, *s^oesor-, *p^hHt^her-, *maHt^her-, *suyo-/sūnu-, *d^hug^hHt^her-, *nep^hot^h-), 10 ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვა (*s^oe/ok^ho-, *b^hruh-, *o(H)us-, *k^her-t^o-, *nas-, *mreg^h-, *sp^helġ^h, *yek^ho^or/n-t^h, *t^oak^hru-/*ak^hru-, *sk^her/n-t^o-), 11 adjectives (*wesu-/su-, *t^ous-, *nī -, *p^h(e)l-H-/t^h-, *Hang^hu-, *p^hlH-(no), *mek^hH-, *t^hen-, *t^oelH(n)g^ho-, *newo-, *iūn-); გრამატიკული კატეგორიების მიხედვით: , 18 ზმნა (*ġyeuh-, *leiġ^h-, *yes-/ġeug^h-s-, *ġneh-, *swep-, *swópnos-, *kleu-, *wert-, *b^hend^h-, *b^her-, *grabH-, *sed-, *suenH₂-, *huar-, *Har-, *keH₂u-s-, *steH₂-, *step-)და 14

შერეული სიტყვისაგან შედგენილი ჯგუფი: (*k'iw-, *ǵ^hel-, *k^ho(e/o)k^ho^lo-, *k^hruH-, *p^hek^ho-, *t'er-, *we/oik^h-, . *d^hur-, g^h(e)rd^h-, *sel-, *men-, *ǵ^heim-). ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია სემანტიკური ცვლილებების მექანიზმების გამოვლენის სიხშირე რელევანტურ ჯგუფებში (პროცენტულად) .

ცხრილი 3.1. სემანტიკური ცვლილებების სიხშირის რაოდენობრივი მონაცემები ინგლისურ ენაში

	მეტაფ.	მეტონ.	გაფართ.	დავიწროვ.	დაკნინება.	გაკეთილშობ
ზოონიმები	61	13	12	44	25	2
ფლორა	10	6	2	6	0	0
ტოპ.	3	3	1	5	6	0
მეტეორ.	20	7	1	23	1	0
ასტრონომ	16	10	2	7	0	3
კვება.	2	0	0	0	2	0
სასოფლო-						
სამ	2	2	4	4	0	0
ნათესაობა	28	2	6	17	6	8
სხეული	15	15	5	4	0	0
ზედს	34	7	0	15	16	3
ზმნა	91	6	0	47	2	0
სხვადასხვა.	12	6	5	21	1	0

ცხრილი 3.2. სემანტიკური ცვლილებების სიხშირის რაოდენობრივი მონაცემები სპარსულ ენაში

	მეტაფ.	მეტონ.	გაფართ.	დავიწროვ.	დაკნინება	გაკეთილშობ
ზოონიმები	28	1	1	6	12	2
ფლორა	2	1	0	1	0	1
ტოპ.	10	2	0	5	0	3
მეტეორ.	8	0	0	7	1	0
ასტრონომ	7	0	1	3	2	0
კვება.	0	0	0	1	0	0
სასოფლო-						
სამ	2	3	1	4	0	0

ნათესაობა	11	1	1	3	0	13
სხეული	6	3	2	8	0	0
ზედს	6	1	0	13	0	2
ზმნა	52	4	0	7	1	0
სხვადასხვა.	13	5	3	10	0	0

ცხრილი 3.3. სემანტიკური ცვლილებების სიხშირის რაოდენობრივი მონაცემები რუსულ ენაში

	მეტონ	გაფარ	დავიწრ	დაკნი	გაკეთილშ	
	მეტაფ.	თ	ოვ.	ნ	ობ	
ზოონიმები	26	11	1	14	17	1
ფლორა	2	9	1	4	0	1
ტოპ.	17	3	0	7	0	1
მეტეორ.	16	0	3	16	0	0
ასტრონომ	6	5	0	8	0	0
კვება.	7	0	0	0	5	0
სასოფლო- სამ	2	3	0	4	0	0
ნათესაობა	15	1	2	6	0	5
სხეული	19	6	0	7	8	4
ზედს	24	2	2	6	7	6
ზმნა	131	0	1	68	0	0
სხვადასხვა.	15	8	2	7	0	0

ცხრილი 3.4. სემანტიკური ცვლილებების სიხშირის პროცენტული მონაცემები ინგლისურ ენაში

მეტაფ.	მეტონ.	გაფართ	დავიწროვ.	დაკნინება	გაკეთილშ	
ზოონიმები	38.8%	8.20%	7.60%	28%	15.90%	1.2%
ფლორა	41.6%	25%	8.30%	25%	0%	0%
ტოპონიმ	16.6%	16.6%	5.50%	27.7%	33.3%	0%
მეტეორ.	40%	14%	2%	46%	2%	0%
ასტრონომ	42.1%	26.305	5.20%	18.40%	0%	7.8%
კვება.	50%	0%	0%	0%	50%	0%
სასოფლო-სამ	16.6%	16.60%	33.3%	33.3%	0%	0%
ნათესაობა	41.7%	2.90%	8.90%	25.3%	8.9%	11.9%
სხეული	38.4%	38.4%	12.8%	10.2%	0%	0%
ზედს	45.3%	9.30%	0%	20%	21.3%	4%
ზმნა	62.3%	4.10%	0%	32.1%	1.3%	0%
სხვადასხ	26.6%	13.3%	11.1%	46.6%	2.2%	0%
სულ	38.3%	14.5%	8.8%	26.05%	11.2%	2.07%

ცხრილი 3.5. სემანტიკური ცვლილებების სიხშირის პროცენტული მონაცემები სპარსულ ენაში

.	მეტაფ.	მეტონ	გაფართ	დავიწრ	დაკნინ.	გაკეთილ
ზოონიმ	56.00%	2.00%	2.00%	12%	24.00%	4.00%
ფლორა	40.00%	20%	0.00%	20%	0%	0%
ტოპონ.	50.00%	11.10%	0.00%	25.00%	0.00%	17%
მეტეორ.	50%	0%	0%	44%	6%	0%
ასტრო.	53.80%	0.00%	7.60%	23.00%	15%	0.00%
კვება.	0%	0%	0%	1%	0%	0%
სასოფლ	20.00%	30.00%	10.00%	40.00%	0%	0%
ნათეს	37.90%	3.40%	3.40%	10.30%	0.00%	44.80%
სხეული	31.50%	15.70%	10.50%	42.10%	0%	0%
ზედს	28.50%	4.70%	0%	62%	0.00%	10%

ზმნ	77.60%	6.25%	0%	10.90%	1.50%	0%
სხვადასხ	41.90%	16.10%	9.60%	32.20%	0.00%	0%
სულ	40.25%	9.1%	3.59%	26.87%	3.87%	6.31%

ცხრილი 3.6. სემანტიკური ცვლილებების სიხშირის პროცენტული მონაცემები რუსულ ენაში

	მეტაფ.	მეტონ	გაფართ	დავიწრ	დაკნინ.	გაკეთილ.
ზოონიმ	37.10%	15.70%	1.40%	20%	24.20%	1.40%
ფლორა	11.70%	53%	5.80%	24%	0%	6%
ტოპონ.	60.70%	10.70%	0.00%	35.00%	0.00%	55%
მეტეორ	46%	0%	9%	46%	0%	0%
ასტრონ	31.50%	26.30%	0.00%	21.00%	0%	0.00%
კვება.	58%	0%	0%	0%	42%	0%
სასოფლ.	22.20%	33.30%	0.00%	44.40%	0%	0%
ნათესაობა	51.70%	3.40%	6.80%	20.60%	0.00%	17.20%
სხეული	43.10%	13.60%	0.00%	15.90%	18%	9%
ზედს	51.00%	4.20%	4%	13%	14.80%	13%
ზმნა	65.50%	0.00%	0%	34.00%	0.00%	0%
სხვადასხ	46.80%	25.00%	6.20%	21.80%	0.00%	0%
სულ	43.77%	15.43%	2.76	24.64%	8.25%	8.46%

ცხრილი 3. 7. სემანტიკური ცვლილებების მექანიზმების ენათაშორისი მონაცემები

	მეტაფ.	მეტონ.	გაფართ	შევიწრო.	დაკნინ	გაკეთი
ინგლისური	38.3%	14.5%	8.8%	26.5%	11.24%	2.07%
სპარსული	40.25%	9.1%	3.59%	26.87%	3.87%	6.31%
რუსული	43.77%	15.43%	2.75%	24.64%	8.25%	8.46%
სულ	31.35%	13.01%	5.04%	26%	7.78%	5.61%

როგორც მონაცემებიდან ჩანს, რომ სამივე საკვლევ ენაში

სემანტიკური ცვლილების მექანიზმების დომინანტური მიმართულება არის მეტაფორა, რომელიც სამივე ენაში შეადგენს შემთხვევათა 31.35%. მას მოსდევს მნიშვნელობის დავიწროება (26%). ხოლო მესამე ადგილზეა მეტონიმისა და სინექდოქეს შემთხვევები (13.01%). ნაკლებად პოპულარული მექანიზმებია მნიშვნელობის დაკნინება (7.78%), გაკეთილშობილება და განზოგადება-გაფართოვება (5.61% და 5.04%).

3.. 4. 2 ემპირიული მასალის სემანტიკურ სტრუქტურაში გამოვლენილი ცვლილებების განხილვა-ანალიზი

დისერტაციის ამ ნაწილში არის კვლევის ფარგლებში გამოვლენილი ტენდენციების ანალიზის მცდელობა.

მეტაფორა

მეტაფორის ასეთი მაღალი სიხშირე, ჩვენი აზრით, ემყარება მეტაფორის ბუნებას, გამოხატოს ერთმანეთისგან განსხვავებული და ერთმანეთთან დაუკავშირებელი ელემენტების რეალური ან წარმოსახვითი მსგავსება. ეს, როგორც ჩანს, ჩვენ მიერ საკვლევი სამივე ენისთვის მნიშვნელოვანი მომენტია. შედეგი გულისხმობს ახალი მნიშვნელობების შემოტანას სემანტიკური ცვლილების წყაროსეულ და სამიზნე ელემენტებს შორის.

მნიშვნელობის დავიწროება-სპეციალიზაცია

სემანტიკური ცვლილების ეს ტიპი საკმაოდ პოპულარულია სამივე ენაში, რაც გულისხმობს, რომ ახალი მნიშვნელობის

შემოტანა ენაში ახალი რეფერენტების სახელების საწინააღმდეგო ენის ევოლუციის მანძილზე.

მეტონიმია

მეტონიმისა და სინექდოქეს გამოყენების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალ ხარისხს გვიჩვენებს, განსაკუთრებით მთელი-ნაწილის დამოკიდებულების თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებით ეხება ზოონიმების ქვეჯგუფს, სადაც ცხოველის სახელი იხმარება მისი ტყავის და ხორცის აღსანიშნად.

მნიშვნელობის დაკნინება

როგორც ცნობილია, ემოციური კონოტაციის გადმოცემა ენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. სამივე ენაში, მნიშვნელობის გაუარესების, დაკნინების მაჩვენებელი უსწრებს მისი გაკეთილშობილების მაჩვენებელს, რაც გვაჩვენებს ენის ტენდენციას, უფრო მეტად გამოხატოს მნიშვნელობის ნეგატიური ასპექტი, ვიდრე პოზიტიური.

მნიშვნელობის გაკეთილშობილება

მნიშვნელობის გაკეთილშობილება გვევლინება ლექსიკური ერთეულების სემანტიკური სტრუქტურის ცვლილების კიდევ ერთ მახასიათებლად. მნიშვნელობის გაკეთილშობილების მაჩვენებლის ხარისხი უფრო დაბალია, ვიდრე მისი დაკნინების მაჩვენებლისა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რეფერენტების პოზიტიური ასპექტების გამოხატვა ენისთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია, მის საპირისპირო მიმართებასთან შედარებით.

მნიშვნელობის გაფართოება (განზოგადება)

მნიშვნელობის განზოგადება წარმოადგენს სიტყვის

სემანტიკური სტრუქტურის მოცულობის გაფართოების ტენდენციას. ჩვენი საკვლევი მასალაში მნიშვნელობის განზოგადება ნაკლებად გავრცელებული ტენდენციაა, რაც მოულოდნელი იყო, რადგანაც ეს შემთხვევა ეწინააღმდეგება კარგად ცნობილ ენის ეკონომიის პრინციპს და ხაზს უსვამს კიდევ ერთ ტენდენციას, რომლის მიხედვითაც ენა ცდილობს უფრო ხშირად შემოიყვანოს ახალი რეფერენტი ენაში შესაფერისი სემანტიკური რეფერენციის უზრუნველყოფით.

დისერტაციაში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა სემანტიკური ცვლილების მექანიზმების გამოხატვას კვლევის ენებში მათი აქტუალიზაციის სიხშირის მიხედვით. ქვემოთ მოცემულია ემპირიული მასალის ანალიზის რამდენიმე სტატისტიკური მონაცემი.

Table 3. 8. სემანტიკური ცვლილების მექანიზმების ენათაშორისი რეპრეზენტაცია მათი სიხშირის მიხედვით

სიხშირის მაჩვენებელი	ინგლ	სპარსული	რუსული
1.	მეტაფ.	მეტაფ.	მეტაფ.
2.	სპეც.	სპეც	სპეც
3.	მეტონ.	მეტონ.	მეტონ
4.	დაკნინება	გაკეთილ	დაკნინება
5.	განზოგად.	დაკნინება	გაკეთილშ
6.	გაკეთილშ	განზოგადება	განზოგადება

ცხრილი გვაჩვენებს, რომ სემანტიკური ცვლილების პირველი-სამი დომინანტური მექანიზმი სამივე ენაში

ემთხვევა ერთმანეთს. N 4-6 მექანიზმები განსხვავდება დისტრიბუციით და მნიშვნელობის გაუარესების მაჩვენებელი უფრო მაღალია ინგლისურ და რუსულ ენებში, მაშინ როცა იგი სპარსულ ენაში შედარებით მაღალია მნიშვნელობის გაკეთილშობილების მაჩვენებელი. როგორც კვლევა გვაჩვენებს, ინგლისურ ენაში უფრო მაღალია მნიშვნელობის განზოგადების მაჩვენებელი რუსულ და სპარსულ ენებთან შედარებით. ეს გარემოება შეიძლება მიეწეროს იმას, რომ სემანტიკური ცვლილებების უმთავრესი მაჩვენებელი ემთხვევა სამივე ენაში. მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ ენები განსხვავდებიან ემოციური მნიშვნელობის გამოხატვის მხრივ, შეიძლება მიეწეროს განსხვავებულ კულტურულ, ეკონომიურ და გეოგრაფიულ მახასიათებლებს, რომლებშიც ვითარდებოდა სამივე კულტურის ეთნოსი.

2.4. 3 კორელაციისა და დამოუკიდებლობის

სტატისტიკური ტესტი.

ქვემოთ მოყვანილი ორი ცხრილი გვიჩვენებს თემატური ჯგუფებისა და სემანტიკური ცვლილების მექანიზმების კორელაციის მაჩვენებლებს. ამასთან ერთად, მოცემულია χ^2 test (Chi Squared) ტესტის მაჩვენებლებიც სამივე საკვლევ ენაში.

როგორც ცნობილია, ეს ტესტი ყველაზე ხშირად გამოყენებადი კრიტერიუმია. იგი ამოწმებს ჰიპოთეზას შერჩევის მონაცემების განაწილების ჰიპოთეტური განაწილების ფუნქციასთან თანხმობის შესახებ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ტესტი გვაჩვენებს, არის თუ არა მოცემული შერჩევა მიღებული შემთხვევითი

სიდიდისაგან კონკრეტული განაწილების ფუნქციით.

წინამდებარე კვლევის დასკვნებისა და შედეგების გადამოწმების მიზნით, საჭიროდ ჩავთვალეთ გარკვეული სტატისტიკური პროცედურების ჩატარება და მათი შედეგების გათვალისწინება. რადგანაც ჩვენი კვლევა ეფუძნება, ერთი მხრივ, სამი ენის რელევანტურ მასალაზე დაკვირვებას და, მეორე მხრივ, მოიცავს შესასწავლი ლექსიკის სემანტიკური სტრუქტურის ცვლილებების ექვსი ძირითადი მექანიზმის ანალიზს სამი ინდოევროპულ ენის მასალაზე, ამ მიზნებისათვის გამოვიყენეთ კორელაციის ტესტი და Q კვადრატის ტესტი. კვლევის შემდეგ მიღებული მაგალითები და შედეგები გაანალიზდა ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში კარგად ცნობილ SPSS სტატისტიკური მონაცემების გამომთვლელ პროგრამაზე დაყრდნობით.

ჩვენი მონაცემები წარმოადგენს ნომინალურ მონაცემებს. სემანტიკური ცვლილების მექანიზმების ექვსი ტიპის სიხშირე განიხილება, როგორც დამოკიდებული ცვლადი ხოლო 12 თემატური ჯგუფი განიხილება როგორც დამოუკიდებელი ცვლადები. ჩვენი ამოსავალი ნულოვანი ჰიპოთეზა ეყრდნობა ვარაუდს, რომ საკვლევ ენებში არ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები თემატურ ჯგუფებში სემანტიკური ცვლილების მექანიზმების სიხშირეს შორის და რომ ჩვენი ცვლადები დამოუკიდებელია. შესაბამისად, მთავარი შეკითხვები შემდგენაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: არსებობს თუ არა რაიმე დამოკიდებულება თემატური ჯგუფების სემანტიკასა და სემანტიკური ცვლილების მექანიზმების სიხშირეს შორის? გარდა ამისა, გვინტერესებს, შესაძლებელია თუ

არა, რომ ამ სამ ენაში არსებული და გამოვლენილი სიხშირეები წარმოადგენდეს ზოგადლინგვისტურ ტენდენციას ყველა ინდოევროპული ენისათვის.

ცხრილი 9. სიმეტრიული განზომილებები

(თემატური ჯგუფებისა და სემანტიკური ცვლილების მექანიზმების კორელაციის მაჩვენებლები).

ენა		
სპარსული	ნომინალინომინალით	უღლების კოეფ.
	N ვალიდური შემთხ.	
ინგლისური	ნომინალინომინალით	უღლების კოეფ.
	N ვალიდური შემთხ.	
რუსული	ნომინალინომინალით	უღლების კოეფ.
	N ვალიდური შემთხ.	
სულ	ნომინალინომინალით	უღლების კოეფ.
	N ვალიდური შემთხ.	

ამ ტესტით კვლევამ გვაჩვენა, რომ ურთიერთდამოკიდებულებას თემატურ ჯგუფებსა და სემანტიკური ცვლილების მექანიზმებს შორის ახასიათებს ჭეშმარიტი მნიშვნელობა სამივე ენაში.

ცხრილი 10. თანხმობის Q-კვადრატ ტესტი

(დამოუკიდებლობის ტესტი)

ენა		ღირებულებ
სპარსული	პიერსონისხი-კვადრატ	192.727 ^b
	მსგავსების მაჩვ.	166.429
	წრფივი ასოციაცია	4.352
	N ვალიდური შემთხვ	281

	პიერსონის ხი-კვადრატ(პიერსონის ქი/ჩიკვადრატი)	238.714 ^c	55	.000
ინგლ	მსგავსების მაჩვ.	229.957	55	.000
	წრფივი ასოციაცია	5.466	1	.019
	N ვალიდური შემთხვ	677		
	პიერსონისხი-კვადრატ	288.900 ^d	55	.000
	მსგავსების მაჩვ.	273.873	55	.000
რუსული	წრფივი ასოციაცია	5.608	1	.018
	N ვალიდური შემთხვ	539		
	პიერსონისხი-კვადრატ	481.261 ^a	55	.000
	მსგავსების მაჩვ.	442.691	55	.000
Total	წრფივი ასოციაცია	16.331	1	.000
	N ვალიდური შემთხვ	1497		

როგორც ნაჩვენებია ცხრილში, დამოუკიდებლობის შედეგები უარყოფილია, რაც ნიშნავს, რომ სამივე საკვლევ ენაში ენაში დაფიქსირებულია მნიშვნელოვნების მქონე ურთიერთდამოკიდებულება თემატურ ჯგუფებსა და სემანტიკური ცვლილებების მექანიზმებს შორის. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ გაანალიზებული 12 თემატური ჯგუფის მიხედვით, მექანიზმების ქცევის დონე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და თანამიმდევრულია. ეს გვამღევეს საშუალებას დავასკვნათ, რომ ჩვენი კვლევის მიერ აღწერილი ტენდენციები ინგლისურ, სპარსულ და რუსულ ენებში განიზომება ზოგადი ლინგვისტური ტენდენციებით და მიეკუთვნება ენის ზოგადი განვითარების სფეროს.

3. 4. 4 სემანტიკური ცვლილებების მექანიზმების ენათაშორისი შედარება თემატური ჯგუფების მიხედვით

ქვემოთ ნაჩვენებია სემანტიკური ცვლილებების დისტრიბუციის კვლევა დისერტაციის საკვლევი ემპირიული მასალის 12 თემატურ ჯგუფში. ამ მხრივ, ჩვენი მიზანია ინგლისურ, სპარსულ და რუსული ენებში დადასტურებული სემანტიკური ცვლილებების მექანიზმების დეტალური შესწავლა.

ცხრილი 1. ზოონიმების ქვეჯგუფის სემანტიკური ცვლილებების სიხშირე

	მეტაფ.	მეტონ.	განზოგად.	დავიწრ.	დაკნ.	გაკეთილ
ინგლისური	38.8%	8.2%	7.6%	28%	15.9%	1.2%
სპარსული	56%	2%	2%	12%	24%	4%
რუსული	37.1%	15.7%	1.4%	20%	24.2%	1.4%
სულ 43.9 %	8.6%	3.6%	20%	21.3%	2.2%	

ამ ქვეჯგუფში გამოვლენილი შედეგები ცხადყოფს, რომ მეტაფორას ახასიათებს ყველაზე მაღალი სიხშირე სამივე ენაში. ასევე, ამ ქვეჯგუფში დადასტურდა მნიშვნელობის გაუარესების, დაკნინების სტატისტიკურად უფრო მაღალი მაჩვენებელი. თვალნათლივია ისიც, რომ მნიშვნელობის დავიწროვება, სპეციალიზაცია და შესაბამისად, ახალი რეფერენტებისადმი მიმართების ხარისხი მაღალია. ყველაფერი ეს დადასტურებულია შემაჯამებელ ხაზშიც.

ცხრილი 2. სემანტიკური ცვლილების სიხშირის ხარისხი მცენარეების ქვეჯგუფში

	მეტაფ.	მეტონ.	განზოგად.	დავიწრ.	დაკნ.	გაკეთილ
ინგლისური	41.6%	25%	8.3%	25%	0%	0%
სპარსული	40%	20%	0%	20%	0%	20%

რუსული	11.7%	52.9%	5.8%	23.5%	0%	5.8%
სულ 30 %	32.6 %	4.7%	22.8%	0%	8.6%	

როგორც ამ ქვეჯგუფის მახასიათებლებიდან ჩანს, მცენარეების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებისათვის არ არის დამახასიათებელი სემანტიკური ცვლილებების ცალსახა და მსგავსი გადანაწილება. ორი მნიშვნელოვანი რამ, რაც გვინდა აღვნიშნოთ არის (1)მნიშვნელობის დაკნინების

არარსებობა და (2) მეტონიმიური გადაადგილების შედარებით მაღალი სიხშირე. ეს გარემოება გამოწვეული უნდა იყოს ექსტრალინგვისტური პირობებით. კერძოდ, ადამიანის, ამ შემთხვევაში, ინგლისური, სპარსული და რუსული ეთნიკური ჯგუფების მიერ ფლორის ინტენსიური გამოყენებით. ცნობილია, რომ მცენარეებისა და მათი ცალკეული ნაწილების (ფოთლების, ძირისა და ტოტების) გამოყენება მეტონიმიისა და სინექდოკეს დიდ რაოდენობას წარმოშობს ამ თემატურ ჯგუფში. შესაბამისად, დიდია მეტონიმიური გადააზრების ხვედრითი წილი. გარდა მეტონიმიისა, აქტიურობით ხასიათდება მეტაფორა და მნიშვნელობის დავიწროების აღმნიშვნელი მექანიზმიც. ემოციური კონოტაციები არ არის მკვეთრად გამოხატული, განსაკუთრებით ხეების დასახელების თალსაზრისით.

ცხრილი 3. სემანტიკური ცვლილების სიხშირის ხარისხი ტოპოგრაფიული ლექსიკის ქვეჯგუფში

	მეტაფ.	მეტონ.	განზოგად.	დავიწრ.	დაკნ.	გაკეთილ
ინგლისური	16.6%	16.6%	5.5%	27.7%	33.3%	0%
სპარსული	50%	11.1%	0%	25%	0%	16.6%
რუსული	60.7%	10.7%	0%	35%	0%	5%
სულ 42.2%	12.8%	1.8%	29.2%	11.1%	7.2%	

ამ ქვეჯგუფში მეტაფორა და მნიშვნელობის სპეციალიზაცია

გაცილებით მაღალი ხარისხის აქტივობით ხასიათდება, ვიდრე სემანტიკური ცვლილებების სხვა მახასიათებლები. ეს, რა თქმა უნდა, დადასტურებულია საერთო მაჩვენებლით. მეორე მხრივ, მექანიზმების ზოგადი დისტრიბუცია არ ხასიათდება მსგავსებებით. მაგალითად, მაშინ როცა ინგლისური ენა ადასტურებს მნიშვნელობის დაკნინების მაღალ პროცენტს (33.3 %), რუსულ და სპარსულ ენებში დასტურდება ამ სემანტიკური მაჩვენებლის დაბალი ხარისხი. მეორე მხრივ, რუსული და სპარსული ენები მნიშვნელობის გაკეთილშობილების გაცილებით მაღალ მაჩვენებელს გვთავაზობენ.

ცხრილი 4. სემანტიკური ცვლილების სიხშირის ხარისხი მეტეოროლოგიური მოვლენების აღმნიშვნელ ქვეჯგუფში

	მეტაფ.	მეტონ.	განზოგად.	დავიწრ.	დაკნ.	გაკეთილ
ინგლისური	40%	14%	2%	46%	2%	0%
სპარსული	50%	0%	0%	43.7%	6.2%	0%
რუსული	45.7%	0%	8.5%	45.7%	0%	0%
სულ	45.2%	4.6%	3.5%	45.1%	2.7%	0%

მეტაფორა და მნიშვნელობის დავიწროება, როგორც ჩანს, ამ ქვეჯგუფისათვის წარმმართველია, სხვა სახეებთან შედარებით. აღინიშნება მცირე განსხვავება მეტაფორისა და მნიშვნელობის დავიწროების მაჩვენებლების თვალსაზრისით. ეს ქვეჯგუფი არ ავლენს მნიშვნელობის გაკეთილშობილების შემთხვევებსაც. ქვეჯგუფის ემოციური შეფერილობა დაბალია ტიპოლოგიის სხვა მექანიზმებთან შედარებით.

ცხრილი 5. სემანტიკური ცვლილების სიხშირის ხარისხი ასტრონომიული მოვლენების აღმნიშვნელ ქვეჯგუფში

	მეტაფ.	მეტონ.	განზოგად.	დავიწრ.	დაკნ	გაკეთილ
ინგლისური	42.1%	26.3%	5.2%	18.4%	0%	7.8%
სპარსული	53.8%	0%	7.6%	23%	15.3%	0%

რუსული	31.5%	26.3%	0%	21%	0%	0%
სულ	42.4 %	17.5%	4.2%	20.8%	5.1%	2.6%

ამ ქვეჯგუფში არ დასტურდება საერთო ტენდენცია ენათაშორისი თვალსაზრისით. მაშინ როდესაც მეტაფორა ყველაზე მაღალი პროცენტული რაოდენობით ხასიათდება სამივე ენაში, რუსული და ინგლისური ენები, სპარსულთან შედარებით, უპირატესობას ანიჭებენ მეტონიმის. ამასთან ერთად, სპარსულ ენაში შთამბეჭქდავია მნიშვნელობის გაუარესების 15, 3 % შედარებით რუსულ და სპარსულ ენებთან. როგორც საერთო მონაცემებით ჩანს, მეტაფორა და მნიშვნელობის დავიწროვება ბევრად უსწრებს სხვა მონაცემებს.

ცხრილი 6. სემანტიკური ცვლილების სიხშირის ხარისხი სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის აღმნიშვნელ ქვეჯგუფში

	მეტაფ.	მეტონ.	განზოგად.	დავიწრ.	დაკნ.	გაკეთილ
ინგლისური	16.6%	16.6%	33.3%	33.3%	0%	0%
სპარსული	20%	30%	10%	40%	0%	0%
რუსული	22.2%	33.3%	0%	44.4%	0%	0%
სულ	19.6%	26.6%	14.4%	39.2%	0%	0%

მეტაფორა და მნიშვნელობის დავიწროვება ამ ქვეჯგუფის წამყვანი მახასიათებლებია, თუმცა არ იკვეთება საერთო თვისებები მათ გადანაწილებაში. თვალშისაცემია ისიც, რომ არ დაფიქსირებულა მნიშვნელობის დაკნინება-გაუარესებისა და გაკეთილშობილების არცერთი შემთხვევა, რაც შეიძლება აიხსნას თავად ერთეულების სემანტიკითა და მათი გამოყენების სპეციფიკით. მეტონიმია და მნიშვნელობის განზოგადება, მნიშვნელობის სხვა მექანიზმებთან შედარებით, საშუალო დონეს უახლოვდება.

ცხრილი 7. სემანტიკური ცვლილების სიხშირის ხარისხი კვების/ჭამის აღმნიშვნელი ლექსიკის ქვეჯგუფში

	მეტაფ.	მეტონ.	განზოგად.	დავიწრ.	დაკნ.	გაკეთილ
ინგლისური	50%	0%	0%	0%	50%	0%
სპარსული	0%	0%	0%	1%	0%	0%

რუსული	58.3%	0%	0%	0%	41.6%	0%
სულ	36.1%	0%	0%	0.3%	30.5%	0%

ამ ქვეჯგუფში გაანალიზდა ერთი ინდოევროპული ზმნის ჩვენ საკვლევ ენებში გადატანის სპეციფიკა.

ცხრილი 8. სემანტიკური ცვლილების სიხშირის ხარისხი ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკის ქვეჯგუფში

	მეტაფ.	მეტონ.	განზოგად.	დავიწრ.	დაკნ.	გაკეთილ
ინგლისური	41.7%	2.9%	8.9%	25.3%	8.9%	11.9%
სპარსული	37.9%	3.4%	3.4%	10.3%	0%	44.8%
რუსული	51.7%	3.4%	6.8%	20.6%	0%	17.2%
სულ	43.5%	3.2%	6.3%	18.7%	2.9%	24.6%

ეს ქვეჯგუფი წარმოადგენს სემანტიკური ცვლილების მექანიზმების შესწავლის კარგ მაგალითს. ეს განსაკუთრებით ეხება მეტაფორას, მნიშვნელობის სპეციალიზაციას და მის გაკეთილშობილებას. სამივე საკვლევი ენა გვიჩვენებს მსგავს შედეგებს. მეორე მხრივ, მნიშვნელობის გაკეთილშობილების თვალსაზრისით, სპარსული ენა ადასტურებს სიხშირის უფრო მაღალ ხარისხს, ინგლისურ და რუსულ ენებთან შედარებით. ასევე, საინტერესოა სპარსულ და რუსულ ენებში მნიშვნელობის გაუარესების ტენდენციის მაჩვენებელიც.

ცხრილი 9. სემანტიკური ცვლილების სიხშირის ხარისხი სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკის ქვეჯგუფში

	მეტაფ.	მეტონ.	განზოგად.	დავიწრ.	დაკნ.	გაკეთილ
ინგლისური	38.4%	38.4%	12.8%	10.2%	0%	0%
სპარსული	31.5%	15.7%	10.5%	42.1%	0%	0%
რუსული	43.1%	13.6%	0%	15.9%	18.1%	9%
სულ	37.6%	22.6%	7.7%	22.7%	6%	3%

ემპირიული მასალის ეს ქვეჯგუფი გვაჩვენებს, რომ არ არსებობს განაწილების მსგავსი ტენდენცია სამივე ენაში. როგორც ჩანს, მნიშვნელობის გაკეთილშობილება აქ ყველაზე ნაკლებ დადასტურებული ცვლილების სახეა. მეორე მხრივ, ყველაზე სემანტიკური ძვრის ყველაზე პოპულარულ სახედ გვევლინება

მეტაფორა. მეტაფორასთან ერთად, ამ თემატურ ჯგუფში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეტონიმიურ გადააზრებებსაც. ცხრილი 10. სემანტიკური ცვლილების სიხშირის ხარისხი ზედსართავების ქვეჯგუფში

	მეტაფ.	მეტონ.	განზოგად.	დავიწრ.	დაკნ.	გაკეთილ
ინგლისური	45.3%	9.3%	0%	20%	21.3%	4%
სპარსული	28.5%	4.7%	0%	61.9%	0%	9.5%
რუსული	51%	4.2%	4.2%	12.7%	14.8%	12.7%
სულ	41.6%	6%	1.4%	31.5%	12%	8.7%

ამ ქვეჯგუფში მეტაფორას წამყვანი ადგილი უჭირავს მნიშვნელობის დავიწროვებასთან ერთად. გარდა ამისა, სხვა ტიპები განვითარების განსხვავებულ გზას გვიჩვენებენ. საბოლოო თვალსაზრისით, ოდნავ სჯობნის მნიშვნელობის გაუარესების მაჩვენებელი, თუმცა სპარსული ენა ამ უკანასკნელი პარამეტრის დიდ განსხვავებას გვიჩვენებს.

ცხრილი 11. სემანტიკური ცვლილების სიხშირის ხარისხი ზმნების ქვეჯგუფში

	მეტაფ.	მეტონ.	განზოგად.	დავიწრ.	დაკნ.	გაკეთილ
ინგლისური	62.3%	4.1%	0%	32.1%	1.3%	0%
სპარსული	77.6%	6.25	0%	10.9%	1.5%	0%
რუსული	65.5%	0%	0.5%	34%	0%	0%
სულ	68.4%	0.9%	3.45%	0.1%	25.6%	0%

ზმნების კატეგორიის ქვეჯგუფში მეტაფორა დაფიქსირდა, როგორც სემანტიკური ცვლილების წამყვანი პარამეტრი. ამასთან ერთად, ეს ქვეჯგუფი არ ადასტურებს კონოტაციური კომპონენტების შეცვლისადმი (მნიშვნელობის გაუარესებისა და გაკეთილშობილების) მიდრეკილებას.

ცხრილი 12. სემანტიკური ცვლილების სიხშირის ხარისხი ქვეჯგუფში- სხვადასხვა

	მეტაფ.	მეტონ.	განზოგად.	დავიწრ.	დაკნ.	გაკეთილ
ინგლისური	26.6%	13.3%	11.1%	46.6%	2.2%	0%
სპარსული	41.9%	16.1%	9.6%	32.2%	0%	0%
რუსული	46.8%	25%	6.2%	21.8%	0%	0%
სულ	38.4%	18.1%	8.9%	33.5%	0.7%	0%

მეტაფორა და მნიშვნელობის შევიწროვება ბევრად უსწრებს მნიშვნელობის გაუარესებასა და გაკეთილშობილებას, რომელთაც აქვთ შედარებით დაბალი ან ნულოვანი სიხშირის მახასიათებელი როგორც ენათაშორის, ისე საშუალო მონაცემების სკალაზე.

3.5. სემანტიკური ცვლილებების მახასიათებლების სიხშირის ზოგადი დახასიათება ინგლისური, სპარსული და ინგლისური ენების მასალაზე

ქვემოთ მოცემულია სემანტიკური ცვლილებების პარამეტრების სიხშირის ზოგადი მაჩვენებლები (ცხრილი 13). შეიძლება ითქვას, რომ ზოგადი თვალსაზრისით, სამივე საკვლევის ენის მასალა ადასტურებს, რომ ზოგადად, სემანტიკური ცვლილებების სახეები სამივე ენაში მსგავს ტენდენციას გვაჩვენებს. მაგალითად, მეტაფორიზაცია ინგლისურ, სპარსულ და რუსულ ენებში მნიშვნელობის ცვლილების მექანიზმის ყველაზე მაღალი კომპონენტია. შემდეგი პარამეტრია მნიშვნელობის მოცულობის დავიწროვება. მეტონიმიზაცია ასევე გვევლინება პროდუქტიულ პარამეტრად, მას მოსდევს მნიშვნელობის დაკნინება. რაც შეეხება მნიშვნელობის გაკეთილშობილების მახასიათებელს, რუსულ და სპარსულ ენებში იგი მეხუთე ადგილს იკავებს, ხოლო იგივე ადგილზე, სიხშირის მიხედვით, ინგლისურ ენაში არის მნიშვნელობის განზოგადება. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, ინგლისურ ენაში, ყველაზე ნაკლებ პროდუქტიული არის მნიშვნელობის გაკეთილშობილება, ხოლო რუსულ და სპარსულ

ენებში ამ ადილს იკავებს მნიშვნელობის განზოგადების კომპენენტი.

ქვემოთ წარმოგიდგენთ სემანტიკური ცვლილებების მახასიათებლების რეპრეზენტაციის სპეციფიკას ინგლისურ, სპარსულ და რუსულ ენებში.

ცხრილი 13. სემანტიკური ცვლილების მექანიზმების შედარებითი მონაცემები ინგლისურ და სპარსულ ენებში

	მეტაფ.	მეტონ.	განზოგად.	დავიწრ.	დაკნ	გაკეთილ
ინგლისური	42%	11.4%	5.3%	27.2%	8.2%	4.9%
სპარსული	52%	7.1%	3.9%	28.6%	4.3%	3.9%

როგორც ცხრილიდან ჩანს, ორივე ენას ახასიათებს მსგავსი ტენდენციები სემანტიკური ცვლილებების მექანიზმების აქტუალიზაციის თვალსაზრისით. ორივე ენაში მეტაფორა წამყვან ადგილს იკავებს და მას მოსდევს მეტონიმია და მნიშვნელობის დავიწროვება. ორივე ენა ემსგავსება მნიშვნელობის დაკნინების კომპონენტის გამოყენების თვალსაზრისით, ხოლო განზოგადება წინ უსწრებს მნიშვნელობის გაკეთილშობილებას. საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინგლისურ ენაში მნიშვნელობის გაფართოება უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე მისი გაკეთილშობილება, ხოლო სპარსული ენა ორივე კომპონენტს თანასწორ ყურადღებას უთმობს.

ცხრილი 14. სემანტიკური ცვლილების მექანიზმების შედარებითი მონაცემები ინგლისურ და რუსულ ენებში

	მეტაფ.	მეტონ.	განზოგ.	დავიწრ.	დაკნინ.	გაკეთილ
ინგლისური	42%	11.4%	5.3%	27.2%	8.2%	4.9%

რუსული 53% 9.3% 2.4% 26.3% 6.2% 2.6%

ამ თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ენის მასალაში მეტაფორას აქაც უსწრებს სემანტიკური ცვლილებების სხვა კომპონენტებს. მას მოსდევს მნიშვნელობის დაკნინების მაჩვენებელი ორივე ენაში. ინგლისურ ენაში მნიშვნელობის ორი მახასიათებელი არის განზოგადება და გაკეთილშობილება, მაშინ როცა რუსული ენა, ამ მხრივ, ადასტურებს მნიშვნელობის დაკნინებასა და გაკეთილშობილებას.


ცხრილი 15. სემანტიკური ცვლილების მექანიზმების შედარებითი მონაცემები სპარსულ და რუსულ ენებში

	მეტაფ.	მეტონ.	განზოგად.	დავიწრ.	დაკნინ	გაკეთილ
სპარსული	52%	7.1%	3.9%	28.6%	4.3%	3.9%
რუსული	53%	9.3%	2.4%	26.3%	6.2%	2.6%


როგორც ჩანს, სპარსული და რუსული ენები ადასტურებენ მეტაფორის სემანტიკური პარამეტრის უპირობო უპირატესობას, რომელსაც მოსდევს მნიშვნელობის დავიწროვება და მეტონიმია. რაც შეეხება მნიშვნელობის გაუარესებას, მას უჭირავს მესამე ადგილი ორივე ენაში. მნიშვნელობის განზოგადება და გაკეთილშობილება სპარსულ ენაში თანაბარ მაჩვენებლებს ადასტურებს და უახლოვდება რუსული ენის მონაცემებს. თუმცა რუსულ ენაში უფრო მაღალია მნიშვნელობის გაკეთილშობილების პროცენტული რაოდენობა.

ქვემოთ მოცემულია სემანტიკური ცვლილებების სიხშირის მექანიზმების მაჩვენებლები.


ნახატი 1. სემანტიკური ცვლილების მექანიზმების მაჩვენებლები ინგლისურ ენაში



ნახატი 2. სემანტიკური ცვლილების მექანიზმების მაჩვენებლები სპარსულ ენაში



ნახატი 3. სემანტიკური ცვლილების მექანიზმების მაჩვენებლები რუსულ ენაში



3.6. ზოგადი სემანტიკური დინამიურობისა და უცვლელობის ენათაშორისი შედარება

ცხრილში N 16 მოცემულია დისერტაციაში ნაკვლევი ემპირიული მასალის სემანტიკური დინამიზმისა და ცვილებისადმი მდგრადობის მაჩვენებლები ინგლისური, სპარსული და რუსული ენების მასალაზე

ცხრილი 16. უცვლელობის მთლიანი სიხშირე პროცენტულად

	ინგლისური	სპარსული	რუსული
რაოდენობა	8	35	15
პროცენტი	0.6 %	29.4%	12.6%

როგორც მონაცემებიდან ჩანს, ჩვენ მიერ საკვლევი ენათაგან სპარსულში ვლინდება სემანტიკურ ცვლილებათა ყველაზე დაბალი ნიშნული, შესაბამისად ამ ენაში სემანტიკური უცვლელობის მაჩვენებელი მაღალია. შეიძლება დავასკვნათ, რომ სპარსული ენა, ამ მიმართებით, უფრო მაღალი ხარისხის

კონსერვატულობით გამოირჩევა რუსულ და ინგლისურ ენებთან შედარებით. ამის საპირისპიროდ, ინგლისური ენა ამჟღავნებს სემანტიკური განვითარების უმაღლესს ხარისხს და დინამიზმს.

3.7. კვლევის შედეგები და დასკვნები მაკროდონეზე

ამ მიმართებით, საინტერესოა აღინიშნოს, რომ კვლევის მაკროდონეზე მოცემულია საკვლევი მასალაში დადასტურებული სემანტიკური ცვლილებების ბუნება და მახასიათებლები. ამის შემდეგ, შემოთავაზებულია კვლევის თეორიული ჩარჩო და განხილულია რამდენიმე მაგალითი.

3.7. 1 სემანტიკური ცვლილებების კვლევის შემაჯამებელი კომენტარი

1. შეიძლება ითქვას, რომ ცხოველების/ზოონიმების ამსახველი ლექსიკური ერთეულები ადასტურებენ სემანტიკურ ცვლილებებს ექსტრალინგვისტურ სამყაროსთან ურთიერთობის მიმართებით. სემანტიკური ცვლილების ხარისხი პირდაპირპროპორციულია ცხოველის პოპულარობისა კონკრეტულ ეთნიკურ კოლექტივში. რაც უფრო მეტია კონკრეტული ცხოველის პოპულარობა, მით მეტია სემანტიკური ცვლილების ზოგადი ზომა და ხარისხი. მაგალითად, მაიმუნი ან ადამიანის მსგავსი მაიმუნი არ წარმოადგენს ინდოევროპული ლინგვისტური ტერიტორიისთვის ენდემურ ცხოველს. სპარსულ კულტურაში, ასევე, თახვი ნაკლებად გავრცელებულია გეოგრაფიული მდებარეობისა და წყლიანი და ნესტიანი ადგილებიდან შორი მდებარეობის გამო. ამ ვითარების გამო, წყლის ცხოველების აღმნიშვნელი ინდოევროპული ძირის სიტყვები სპარსულ ენაში არ ადასტურებენ შემდგომ სემანტიკურ განვითარებას. გარდა ნახსენები ლექსიკური ერთეულისა, სხვა არსებითი სახელებიც, მაგალითად, *wob^hsā (ბზიკი) და *k^hrs-en (კრაზანა) , მიუხედავად მათი შედარებით მაღალი სიხშირისა, არ

